საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (406)
9 - 15 აგვისტო, 2017
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

# «სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა, მან ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო ნორმები და საკუთარ ქვეყანაში ომი გააჩაღა»

აუცილებლად სანახავი დოკუმენტური ფილმი

## ყურადღება, ლაპარაკობს ქართველი ხალხი!

4

# ქართული ოცნებიდან გეოპოლიტიკურ ფსიქოზამდე

2



## «ხელისუფლებაში ბევრს სჭირდება ფსიქიატრიული დახმარება»

«ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, ყველა სუბიექტი იმეორებს ერთსა და იმავეს – დასავლეთი მოკავშირეა, ნატო ჩვენთანაა, სხვა გზა არ არსებობს, რუსეთი უნდა დაეცეს... ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის სიბეცე, რომელიც სჭირთ პოლიტიკურ ავადმყოფებს»

6

## ერეკლე მეფე ღირსია, წმინდანად შეირაცხოს!

5

ქართველი პატრიოტების მიმართვა საქართველოს საპატრიარქოს

## შევარდნაძის სიძის თაღლითობა თუ «მაგთიკომის» გაუმაძღრობა?

8

# ლეგალიზებული სიკვდილი

9

## განათლება განათლების გარეშე

12

რატომ ვერ ეღირსა საქართველოს განათლების სისტემა ნორმალურ მინისტრს



მამა გიორგი (რაზმაძე):

10

## სააკაშვილის მანიაკური რეჟიმი წავიდა, მაგრამ მოვიდა ძალა, რომელიც სხვა მეთოდებით, უფრო შეფარულად და მუხანათურად ახორციელებს იმავე გეგმას

«თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვკითხავ ბატონ გიორგი კვირიკაშვილს: ქრისტიანულ მორალში თუ ჯდება სექსუალური აღზრდის გაკვეთილები, სექტემბრიდან რომ შეგაქვთ სკოლებში?!»

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კრემლმა განაცხადა, რომ ასეულობით ამერიკელმა დიპლომატმა რუსეთი უნდა დატოვოს, მკვეთრად გაზარდა ბელარუსთან ერთად გასამართი სწავლებების მასშტაბი (მასში მონაწილეობა შეიძლება 100 ათასამდე სამხედრომ მიიღოს), ხოლო პრეზიდენტი პუტინი სოხუმში ჩავიდა და იქ საკმაოდ ხისტი განცხადებები გააკეთა. ამგვარად, საქართველო, პირველად ხუთი წლის განმავლობაში, ისევ აღმოჩნდა დაპირისპირების ეპიცენტრში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ივანიშვილის ხელისუფლების „გენერალურ ხაზს“ ეწინააღმდეგება.**

# ქართული ოცნებიდან გეოპოლიტიკურ ფსიქოზამდე

**აგვისტოს პირველ კვირაში ქართველი საზოგადოება საგარეო პოლიტიკაზე გადაერთო. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტმა თბილისში და რუსეთის პრეზიდენტის „კონტრ-ვიზიტმა“ სოხუმში. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც ქართველ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს მოეჩვენათ, რომ ქვეყნის არასახარბიელო, მაგრამ თავისებურად სტაბილურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, ნეგატიური ცვლილებები მოხდება.**



სააკაშვილის ხელისუფლება საგარეო პოლიტიკის მიმართ ინტერესს ხელოვნურად აღვივებდა. ჯერ ერთი, ცდილობდა, საშინაო პრობლემებისგან ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა და, ამასთანავე, ამ პრობლემების პირველწყაროდ საგარეო ფაქტორები წარმოეჩინა. შეიძლება ითქვას, რომ იმ წლებში ქვეყანა გეოპოლიტიკური ფსიქოზის რეჟიმში ცხოვრობდა. ჩამოყალიბდა რეალობის აღწერის უცნაური, კონსპიროლოგიური სტილი, რომლის ფარგლებში ნებისმიერი უმნიშვნელო დეტალი განიხილებოდა, როგორც საქართველოსთან დაკავშირებული აპოკალიფტური ცვლილებების უტყუარი ნიშანი. სტატიები „რაზე შეთანხმდნენ ბუში და პუტინი?“ ტიპის სათაურებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, რომ, მკითხაობის გარდა, არაფერს შეიცავდა.

ივანიშვილის ხელისუფლებამ ეს პრაქტიკა შეცვალა – პრობლემების პირველწყაროდ წინა რეჟიმი წარმოაჩინა, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკა — უგუნურების განსახიერებად. „ქართული ოცნების“ პირველმა წლებმა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების ნიშნის ქვეშ ჩაიარა, თუმცა მას შემდეგ, რაც აბაშიძემ და კარასინმა ამოწურეს იმ საჭირბოროტო, თუმცა მაინც მეორეხარისხოვანი საკითხების ნუსხა, რომელიც სასწრაფო დარეგულირებას საჭიროებდა, გაირკვა, რომ გარღვევას ორი ქვეყნის ურთიერთობებში ადგილი არ აქვს. მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე არ გამართულა, მხარეთა პოზიციებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გააგრძელა წინამორბედის კურსი, თანაც ზედმეტი ისტერიკის გარეშე, ამასთანავე, შეწყვიტა სააკაშვილის „ჩრდილოკავკასიური პროექტები“, რომლებიც მოსკოვს ძალზე აღიზიანებდა და კონტრდარტყმის საფრთხეს ზრდიდა. ორიენტაცია ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე არ შეცვლილა, ისევე, როგორც „სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა“, რომელიც რუსეთის მოახლოებული დაშლის იდეას ეფუძნება და, შესაბამისად, მასთან გრძელვადიანი, ყოვლისმომცველი შეთანხმებების იდეას უარყოფს. მაგრამ, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც ცდილობდა, საქართველო აშშ-რუსეთის დაპირისპირების, ლამის მესამე მსოფლიო ომის ეპიცენტრად გადაექცია, რაც ძალიან არ მოსწონდა ობამას ადმინისტრაციას „გადატვირთვის“ პერიოდში, ივანიშვილმა პრობლემის „გაყინვა“ ამჯობინა. პარალელურად, ხელისუფლება შეეცადა, საზოგადოებაში დაახლოებით ასეთი მოსაზრება დაემკვიდრებინა: „თავს ზევით ძალა არაა. დაველოდოთ“. საგარეო პოლიტიკის გარშემო გასული კვირის ემოციური შტორმი უფრო დამახასიათებელია სააკაშვილის, და არა ივანიშვილის, ეპოქისთვის და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.

**დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ, საქართველოში, ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, დაბნეულობა გამოიწვია. პროდასავლურმა ელიტამ იგრძნო, რომ მოსახლეობაში სწრაფად ვრცელდება ეჭვები იმის თაობაზე, რომ ამერიკას საქართველო აღარ აინტერესებს და შეიძლება დაივიწყოს, „გაცვალოს“ და ა.შ. ეს აისახა კიდეც სოციოლოგიურ გამოკითხვებში. რაც მთავარია, მმართველ პროდასავლურ ელიტას ჰაერივით სჭირდებოდა ძალიან მკაფიო მესიჯი ვაშინგტონიდან იმის თაობაზე, რომ ძველი, ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის ეპოქაში მონიშნული პიორიტეტები — ნატოში გაწევრება, სტატეგიული პარტნიორობა და ა.შ. კვლავინდებურად აქტუალურია. საბოლოოდ, მან მიიღო ის, რაც სურდა: მაიკ პენსმა თბილისში გაცილებით მკაფიო მესიჯები ჩამოიტანა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა, თანაც მათი გაჟღერება სამხედრო ძლიერების დემონსტრირების (სწავლება „ღირსეული პარტნიორი-2017“ და ამერიკული ტექნიკის მარში საქართველოს მთავარ ტრასაზე) ფონზე მოხდა. ამან ზოგი ქართველი პოლიტიკოსისა და ექსპერტის ეიფორია გამოიწვია.**

გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე იმ დღეებში მოხდა, როდესაც აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო. ამან კრემლს რიტორიკა შეაცვლევინა. თუ ტრამპის ინაუგურაციიდან დღემდე პერიოდში მოსკოვი იმედოვნებდა, რომ ახალ ადმინისტრაციასთან, „დიდი გარიგების“ გაფორმებას თუ არა, ურთიერთგაგების მიღწევას მაინც მოახერხებდა და ამის მნიშვნელოვან წინაპირობად მიაჩნდა თანამშრომლობა სირიაში, ახლა სიტუაცია შეიცვალა. **კრემლმა განაცხადა, რომ ასეულობით ამერიკელმა დიპლომატმა რუსეთი უნდა დატოვოს, მკვეთრად გაზარდა ბელორუსთან ერთად გასამართი სწავლებების მასშტაბი (მასში მონაწილეობა შეიძლება 100 ათასამდე სამხედრომ მიიღოს), ხოლო პრეზიდენტი პუტინი სოხუმში ჩავიდა და იქ საკმაოდ ხისტი განცხადებები გააკეთა. ამგვარად, საქართველო, პირველად ხუთი წლის განმავლობაში, ისევ აღმოჩნდა დაპირისპირების ეპიცენტრში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ივანიშვილის ხელისუფლების „გენერალურ ხაზს“ ეწინააღმდეგება.**

აქ, ალბათ, ერთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უნდა შევეხოთ. ივანიშვილის ხელისუფლება, ერთი მხრივ, უარს ამბობს პირდაპირ მოლაპარაკებაზე რუსეთთან, მაგრამ, მეორე მხრივ, მასთან კონფრონტაციის გარღმავებას ერიდება. ტონალობის შერბილებისა და უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, საქართველოს პრობლემატიკა ნაწილობრივ ამოვარდა დასავლელი დიპლომატების დღის წესრიგიდან — მთავარი ადგილი უკრაინის კონფლიქტმა დაიკავა. ამან გამოიწვია ოფიციალური თბილისის შიში, რომ „ჩვენ დაგვივიწყებენ“. შესაძლოა, ამიტომ მან ბოლო დროს რუსეთის მიმართ რიტორიკა უფრო ხისტი გახადა. ეს, სავარაუდოდ, არ ნიშნავს „წინა ხაზზე“ გასვლის სურვილს, რაც ივანიშვილის ფრთხილ პოლიტიკას აპრიორი არ შეესაბამება. თუმცა, ცნობილ ფილმში რომ იტყოდნენ, სურვილი ერთია, ხოლო შესაძლებლობა — სულ სხვა რამ: რაღაც მომენტში საქართველოს შეიძლება არ აღმოაჩნდეს საკმარისი ძალა იმისთვის, რომ „ახალი ცივი ომის“ ლოგიკას შეეწინააღმდეგოს და ისევ ფრონტის ხაზზე აღმოჩნდება.

ყველაზე საინტერესო ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, რომ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა ისეთი ცალსახა არაა, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს. ის რაღაცით ჰგავს დონალდ ტრამპის „ტვიტერის“ ჩანაწერებს, ნაწილობრივ ე.წ. ტროლინგის იდეას ეფუძნება და საკუთარ თავში მთელ რიგ წინააღმდეგობებს შეიცავს. **თეთრი სახლის ნამდვილი მიზნების ამოცნობაზე ევროპის ქვეყნები უამრავ ენერგიას ხარჯავენ. ბევრი რამ ბუნდოვანია რუსეთის მიმართაც — ერთი მხრივ, ძალაში შედის სანქციები; მეორე მხრივ, სახელმწიფო მდივანი ტილერსონი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილს გამოხატავს, ხოლო თვით პრეზიდენტ ტრამპისგან ძნელად გასაშიფრი, წინააღმდეგობრივი სიგნალები მოდის. საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება ყოველივე ეს სწორად ვერ გაიგოს და ისე, როგორც სააკაშვილის დროს ხდებოდა, სასურველი რეალურად ჩათვალოს, მითუმეტეს ბოლოდროინდელი ეიფორიის გათვალისწინებით.**

**თეთრი სახლის ნამდვილი მიზნების ამოცნობაზე ევროპის ქვეყნები უამრავ ენერგიას ხარჯავენ. ბევრი რამ ბუნდოვანია რუსეთის მიმართაც — ერთი მხრივ, ძალაში შედის სანქციები; მეორე მხრივ, სახელმწიფო მდივანი ტილერსონი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილს გამოხატავს, ხოლო თვით პრეზიდენტ ტრამპისგან ძნელად გასაშიფრი, წინააღმდეგობრივი სიგნალები მოდის. საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება ყოველივე ეს სწორად ვერ გაიგოს და ისე, როგორც სააკაშვილის დროს ხდებოდა, სასურველი რეალურად ჩათვალოს, მითუმეტეს ბოლოდროინდელი ეიფორიის გათვალისწინებით**

ის, თუ როგორ ესმით ქართველ მაღალჩინოსნებს საგარეო პოლიტიკა, ნათლად გამოჩნდა მაიკ პენსის ვიზიტისას, როდესაც გიორგი მარგველაშვილი საქართველოში აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლის დანიშვნის ინიციატივით გამოვიდა. თავი დავანებოთ იმას, რომ მარგველაშვილს, ვასილ ჩაპაევის არ იყოს, „აკადემიები არ დაუმთავრებია“ და არ იცის, რომ არ უნდა ურჩიოს აშშ-ს, რა ფორმით წარმართოს თავისი საგარეო პოლიტიკა, არ ესმის პრეზიდენტის და სახელმწიფო დეპარტამენტის როლი, სპეცწარმომადგენლის ინსტიტუტის არსი და ა.შ. გაცილებით შემაშფოთებელია ის, რომ ამ მატრაბაზობის გარშემო მასშტაბური, სავსებით სერიოზული დისკუსია გაიმართა. **ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს ხელისუფლება შეძლებს, სწორად გაშიფროს რთული, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი სიგნალები მოსკოვიდან და ვაშინგტონიდან, ისე, რომ საქართველო უფსკრულში არ გადაჩეხოს.**

ივანიშვილის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას ისე ხშირად უწოდებდნენ წარმატებულს, რომ დაგვავიწყდა — ის წარმატებულია მხოლოდ სააკაშვილის იმპროვიზაციების ფონზე, იმ კონიუქტურის გათვალისწინებით, რომელიც „გადატვირთვის“ დასკვნით ეტაპზე შეიქმნა ან თუნდაც „ახალი ცივი ომის“ საწყის ეტაპზე, როდესაც, სირიისა და უკრაინის გამო, საქართველოსთვის არავის ეცალა. მოგვიანებით დაიწყო ტრამპთან დაკავშირებული გაუგებრობა და ა.შ. საქართველო ამ პერიოდში „გადატვირთვის ნაკრძალად“ რჩებოდა და მიიღო, თითქოს ლატარეაში მოიგო, გარკვეული დრო იმისთვის, რომ შიდაპოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაცია მოეხდინა (ამ დროის დიდი ნაწილი გაფლანგა, მაგრამ მაინც). ახლა ეს პაუზა სასათბურე პირობებით, როგორც ჩანს, დასრულდა და ივანიშვილის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ხარისხიც სწორედ ახლა გამოჩნდება.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საზოგადოება დარწმუნდა, რომ საშინაო პოლიტიკაში „არ გააკეთო ცუდი“ და „გააკეთო კარგი“ ერთი და იგივე არ არის. ახლა ანალოგიური რამ საგარეო პოლიტიკის მიმართაც მოხდება, როდესაც ხელისუფლება იძულებული გახდება, „მოძრაობა გააკეთოს“, თემურ ქეცბაიას თქმის არ იყოს. ეს ერთობ შემაშფოთებელი პესპექტივაა, მითუმეტეს, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას თითქოს ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკა აქვთ (მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილის უფლებები შეზღუდულია, ამას მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგი მოაქვს); მეტიც, ისინი თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს უცხოელების წინაშე და, შესაძლოა, ვერ გრძნობენ, რომ მათ თვალში აბსოლუტურ იდიოტებად გამოიყურებიან. იმის გათვალისწინებით, რომ ტალეირანის როლი ამ პირობებში მიხეილ ჯანელიძემ უნდა შეასრულოს, მშვიდი ძილი, ალბათ, დიდხანს არ გველირსება. მოკლედ რომ ვთქვათ, **ჩვენ, როგორც ყოველთვის, არ ვართ მზად ცვლილებებისთვის და ამის გამო მომავალს შიშის თვალით ვუყურებთ.**

**ჩვენ, როგორც ყოველთვის, არ ვართ მზად ცვლილებებისთვის და ამის გამო მომავალს შიშის თვალით ვუყურებთ**

**როდესაც პრეზიდენტი ბუში თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ისტორიულ სიტყვას წარმოთქვამდა, იმ მომენტში ვლადიმერ პუტინის ყოფნა თბილისიდან დაახლოებით 200 კილომეტრით დაშორებულ სამხედრო ბაზაზე იყო ის დიპლომატიური ჟესტი, რომელიც ნიშნავდა, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ნატოში საქართველოს შესვლას, ანუ საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზის შექმნას, რაც რუსეთისთვის ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო ახლო მომავალში მთლიანად კავკასიის დაკარგვას ნიშნავს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ხელისუფლებას დაფიქრება მართებს და არა ხოხვა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის წინაშე

**მკითხველს, ალბათ, ახსოვს ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ და ამ რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი — შოშია, რომელიც მთავარ გმირ ზაზა ნაკაშიძეს ეუბნება: „ჩემო ზაზა, დიდი კაცის დასიზმრებამ უბედურება იცის. აი მე 41-ში სკოლის დირექტორი დამესიზმრა და ომიც დაიწყო“... თუ შოშიას სიზმარს დღევანდელი საქართველოს კონტექსტში ცხადად შევხედავთ, გამოვა, რომ დიდი სახელმწიფოების ლიდერთა ვიზიტები გეოპოლიტიკურ თამაშებში ჩართული პატარა სახელმწიფოებისთვის, როგორც წესი, ცუდად მთავრდება ხოლმე. ამის მაგალითები საქართველოს უახლეს ისტორიაში სანთლით საძებარი ნამდვილად არ არის.**



2005 წლის 9 მაისი, აშშ-ის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშის-უმცროსის** „ისტორიული“ ვიზიტი თბილისში, როდესაც შიზოიდ სააკაშვილს რეგიონის დემოკრატიის შუქურა უწოდა, თუმცა ეს ვიზიტის მეორე დღეს, 10 მაისს, მოხდა ჯერ კიდევ გულწრფელ ეიფორიაში (აშშ დაგვიბრუნებს დე ფაქტო დაკარგულ ტერიტორიებს და საერთოდაც გვიპატრონებს, გადაგვარჩენს) მყოფი ქართველებით გადაჭედილ თავისუფლების მოედანზე.

9 მაისს კი ვაზელინით უხვად შეზავებული დახვედრა მოუწყვეს „ძვირფას სტუმარს“ — ალბათ, გახსოვთ **ლიზი ბაგრატიონის** (რომელსაც არაფერს ვერჩი) მიერ შესრულებული სიმღერა „შენ ერთადერთი ხარ ჩემი ღმერთი“, რომლის ადრესატის გამოცნობა ძნელი არ იყო, თუმცა ისიც კარგად გვახსოვს, რა მშიშარაც ყოფილა ღმერთს გატოლებული აშშ-ის პრეზიდენტი. **ქართული ცეკვების ბავშვთა ანსამბლის წევრებს ტრადიციული ქამარ-ხანჯლის გარეშე შეასრულებინეს ქართული ცეკვების კლასიკა — „მთიულური“ და ცეკვების მეფე — „ქართული“, — არიქა, რომელიმე ბავშვმა ხანჯალი არ ჩასცესო აშშ-ის პრეზიდენტს. ამ ცეკვების უქამარხანჯლოდ შესრულება კი იგივეა, რაც უპატარძლო ქორწილი.** ახლა მავანი იტყვის, ეგ რა პრეზიდენტის ბრალია, ყველაფერს მისი დაცვის სამსახური წყვეტსო, მაგრამ პრეზიდენტი რის პრეზიდენტია, თუ საჭირო კორექტივები არ შეიტანა დაცვის პროტოკოლში?! ასეთ სულმოკლეობას ნამდვილად არ იკადრებდა რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი**, მაგრამ ამაზე და სხვა რაღაცებზეც პუტინის შესახებ — ქვემოთ, რადგან რუსეთის პრეზიდენტი ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) გმირია წინამდებარე სტატიისა.

ეს, ისე, როგორც იტყვიან, მცირე ლირიკული გადახვევა.

დღეს ცოტას თუ ახსოვს ან, თუ ახსოვს, ცოტა თუ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას იმას, რასაც ახლა თქვენთან ერთად გავიხსენებ:

2005 წლის 9 მაისს, როდესაც აშშ-ის ბორტი №1 თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა, თბილისიდან 2000 კილომეტრის დაშორებით რუსეთის პრეზიდენტი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს იბარებდა მოსკოვში, წითელ მოედანზე. ხოლო, როდესაც ჯორჯ ბუში-უმცროსი 9 მაისის ღამეს თბილისში, მეიდანზე, ბაღდადურს როკავდა, რუსეთის ბორტი №1 სომხეთის ქალაქ გიუმრის რუსეთის სამხედრო ბაზაზე დაეშვა და მეორე დღეს, 10 მაისს, ბუშის მიერ სააკაშვილის დემოკრატიის შუქურად გამოცხადებაც იქ შეიტყო ვლადიმერ პუტინმა.

დიპლომატია არა მხოლოდ ვერბალური ან წერილობითი ჟანრია, არამედ ჟესტების, ქმედებების ან, საჭირო შემთხვევაში (ამაზეც ქვემოთ), უმოქმედობის ხელოვნებაც.

**და, როდესაც პრეზიდენტი ბუში თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ისტორიულ სიტყვას წარმოთქვამდა, იმ მომენტში ვლადიმერ პუტინის ყოფნა თბილისიდან დაახლოებით 200 კილომეტრით დაშორებულ სამხედრო ბაზაზე იყო ის დიპლომატიური ჟესტი, რომელიც ნიშნავდა, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა ნატოში საქართველოს შესვლას, ანუ საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზის შექმნას, რაც რუსეთისთვის ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო ახლო მომავალში მთლიანად კავკასიის დაკარგვას ნიშნავს.**

ამ ჟესტის შინაარსი იქნებ გაიგეს კიდეც პოტომაკის ნაპირებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიაქციეს, რადგან რუსეთი ელცინისდროინდელი მომაკვდავი იმპერია ეგონათ, რომელიც დღეს თუ ხვალ თავისით უნდა ჩამოშლილიყო, მაგრამ ამას მოჰყვა 2007 წელს პუტინის მართლაც ისტორიული გამოსვლა მიუნხენში, სადაც პირდაპირ განაცხადა, დღეიდან მსოფლიო აღარ არის ერთპოლუსიანიო. სწორედ მიუნხენში დაესვა წერტილი 17-18 წლის განმავლობაში აშშ-ის დაუსჯელ პარპაშს. **2008 წელს კი აშშ-ისგან გულმოცემული სააკაშვილი რუსეთმა ადვილად „წამოიკიდა“ პროვოკაციაზე. დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი და ამჯერად დე იურედაც დავკარგეთ ის, რაც დე ფაქტო დიდი ხნის წინათ გვქონდა დაკარგული, პლუს — ახალგორი და კოდორის ხეობა.**

აი ასეთი სამწუხარო შედეგი გამოიწვია დიდი კაცის პირველმა ვიზიტმა პატარა საქართველოში, რომელიც გლობალურ თამაშებში პაიკის როლს ასრულებს და ამიტომაც ჩვენ „სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ, თუ არ ჩავთვლით სასმელი წყლითა და პამპერსებით დატვირთულ სამხედრო გემებს, სხვა ვერაფრით დაგვეხმარა.

იმავე ნეხვში, იმავე მიზეზებით, საქართველოზე ღრმად ზის უკრაინა, რომელსაც მაღალი თანამდებობების ამერიკელი მაღალჩინოსნების (მათ შორის, აშშ-ის იმჟამინდელი ვიცეპრეზიდენტის — **ჯო ბაიდენისა** და მისი თანაშემწის — **ვიქტორია ნულანდის**) ვოიაჟებმა, ერთი ციცქნა სოხუმ-ცხინვალი რა მოსატანია, საქართველოზე 2-3-ჯერ დიდი ტერიტორიები დააკარგვინა ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის სახით, რომელთა დაბრუნებასაც ვერავითარი სანქციები ვერ აიძულებს რუსეთს.

ეს ყველაზე უკეთ სანქციების დამწესებელმა ამერიკელებმა იციან. ჰოდა, უკრაინამ თავის თავს მიხედოს, ხოლო ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ.

რისთვის დამჭირდა ეს ვრცელი ექსკურსი უახლოეს წარსულში?

რისთვის და, მეშინია, კვლავ არ განმეორდეს 2008 წლის მოვლენები საქართველოში, რადგან გასულ კვირას კიდევ ერთი მაღალი თანამდებობის სტუმარი გვეწვია — აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი **მაიკ პენსი**, რომელსაც ხბოს აღტაცებით შეხვდა სულგაყიდული ხელისუფლებაც და ოპოზიციაც.



ზემოთ დიპლომატიური უმოქმედობა ვახსენე და, თუ ჯორჯ ბუში-უმცროსის ვიზიტს საქართველოში რუსეთის პრეზიდენტმა გიუმრიში ჩასვლით უპასუხა და ამან საქართველოსთვის დამანგრეველი შედეგები მოიტანა. ახლა, მაიკ პენსის ვიზიტისას, რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 6 თვის განმავლობაში ამაოდ ელოდა აშშ-ის ადმინისტრაციისგან აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარების სურვილის იმპულსებს, ითვალისწინებდა რა, რომ პრეზიდენტ ტრამპს მთელი ნეოლიბერალური კონგრეს-სენატი, შოუ-ბიზნესი, მასმედია და ა.შ. ებრძოდა. ჩემი მხრიდან კი დავამატებ: ბატონ პუტინს, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ კონგრეს-სენატის მარიონეტი დონალდ ტრამპი, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი პრეზიდენტი იქნებოდა, მაგრამ... ამიტომ **ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ სტრატეგიული მოთმინების (უმოქმედობის) ხანა დამთავრდა და რუსეთი უპასუხოდ აღარ დატოვებს არც ერთ ანტირუსულ გამოხდომას, სანქციები იქნება ეს თუ სხვა რამ.**

ვფიქრობ, **პუტინის ეს განცხადება გიუმრის ჟესტზე გაცილებით მძაფრი, კატეგორიული და სამხედრო ძალაზეა ორიენტირებული, რომლის ეფექტიანობაც რუსეთმა მსოფლიოს დაანახვა სირიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებით — ჰაერიდან, წყლიდან თუ წყალქვეშიდან უზუსტესი დარტყმებით.**

აქედან გამომდინარე, **საქართველოს ხელისუფლებას დაფიქრება მართებს და არა ხოხვა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის წინაშე.**

ნიშანდობლივია, რომ მაიკ პენსი შეხვდა საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პარტიების ლიდერებს: **დავით ბაქრაძეს** („ევროპული საქართველო, მოძრაობა თავისუფლებისთვის“), **ნიკა მელიას** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), **დავით უსუფაშვილს** („შენების მოძრაობა“), **შალვა შავგულიძეს** („თავისუფალი დემოკრატები“). საქართველოს ხელისუფლებაც (საკანონმდებლოც და აღმასრულებელიც) რომ ლიბერალურ რელსებზე შედგა, სამწუხაროდ, არახალია.

და, თუ ჩამოთვლილ საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო „ოპოზიციურ“ პარტიებს გადავხედავთ, რომლებსაც მაიკ პენსი შეხვდა, თამამად შეიძლება სამწუხარო დასკვნის გაკეთება: **აშშ-ის კონგრესი, სახელმწიფო დეპარტამენტი და მათგან გაფარჩაკებული პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც მხარს უჭერენ მხოლოდ ნეოლიბერალური იდეოლოგიის პარტიებს და არა ქართველი ხალხის უმრავლესობას, რომელსაც სძულს ყოველივე ნეოლიბერალური, როგორც ქართველობის, მართლმადიდებლობის მტერი.**

ცალკე საუბრის თემაა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც საპარლამენტო პარტიაა, მაგრამ მის წარმომადგენლებს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტთან აუდიენციის პატივი არ დასდეს. პატრიოტები ამას პრემიერ **გიორგი კვირიკაშვილის** პროტოკოლის სამსახურს აბრალებენ, — სპეციალურად დაგვბლოკესო. ასეც რომ იყოს, თვით აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ხომ იცოდა „პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ და ამიტომ პროტოკოლის გაუთვალისწინებლად თვითონ უნდა მოეთხოვა პატრიოტთა საპარლამენტო ფრაქციასთან შეხვედრა. რადგან ასე არ მოხდა, მივმართავ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“: **ამაზე დიდი შეურაცხყოფა და თავლაფდასხმა გაგონილა? ახლა მაინც ვერ ხვდებით, რომ ბრიუსელ-ვაშინგტონში არავის სჭირდებით?**

რუსეთის პარლამენტში ვიზიტებს მივესალმები, მაინც კრემლის აგენტებს გიწოდებენ და ხომ არ დადგა დრო საგარეო ორიენტირების კარდინალურად და უშიშრად გადახედვისა?

დღეს რისკის დროა, პატრიოტებო, რისკის!..

**დავით მხეიძე**

**P.S. „საქართველო და მსოფლიოს“ ეს ნომერი, რომელიც ახლა ხელში გიჭირავს, მკითხველო, 8 აგვისტოს გამოვიდა, ანუ ზუსტად 9 წლისთავზე 2008 წლის ტრაგიკული მოვლენებიდან.**

**ამ თარიღის აღნიშვნას ომის გამჩაღებელი ნაცები ე.წ. მცოცავ მავთულხლართებთან აპირებენ.**

**ნაწილი, ალბათ, ხელისუფლებასთან ერთად, ძმათა სასაფლაოზეც მივა, სადაც ყველაზე მეტ ნიანგის ცრემლებს ისინი დაღვრიან, ვინც 9 წლის წინათ ერთმანეთს ასწრებდა სარფისა თუ წითელი ხიდის გამშვებ პუნქტებზე.**

**მე, როდესაც ძმათა სასაფლაოს ვუყურებ, სიამაყის ნაცვლად, უსაზღვრო სინანულის გრძნობა მეუფლება აშშ-ის ინტერესებისა და სააკაშვილის ავადმყოფური ამბიციებისთვის უაზროდ დაღუპული ქართველი ბიჭების გამო!**

**აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტის დღეებს დაემთხვა ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი მამლუქის დაღუპვა.**

**სად და რატომ, რისთვის და ვისთვის?**

**ეს რიტორიკული კითხვა არ მასვენებს...**

08.08.08.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სააკაშვილმა თავისი ხელმოწერით აღადგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომია და საზღვარი, რომლებიც ბუნებაში არ არსებობდა, მხოლოდ რუკაზე იყო მონიშნული. ახლა იმ საზღვრებშია განლაგებული რუსეთის ჯარი, თუმცა ამ ტერიტორიებს საზღვრავენ დღეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ყველაფერზე ხელი სააკაშვილს აქვს მოწერილი. ტერიტორიები მან დაგვაკარგვინა და დღეს რუსეთი საბჭოთა კავშირისდროინდელი ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით ხელმძღვანელობს“.**



## გულბაათ რცხილაძე:

# სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა, მან ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო ნორმები და საკუთარ ქვეყანაში ომი გააჩაღა

**2008 წლის აგვისტოს ომიდან 9 წელიწადი გავიდა. ამ ომის შედეგად საქართველომ დაკარგა ტერიტორიის 20%; დაკარგა კონტროლი ახალგორზე, ცხინვალის გარშემო მდებარე 53 სოფელზე, რომლებშიც ქართველები ცხოვრობდნენ, აგრეთვე, კოდორის ხეობაზე. 2008 წლის ომის შედეგად საქართველომ დაკარგა 230-მდე სამხედრო მოსამსახურე (თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით) — 23 ოფიცერი, 1 რიგითი, 9 რეზერვისტი, 136 სერჟანტი/კაპრალი, 1 სამოქალაქო პირი. უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედროებიდან, დნმ-ის ანალიზის შედეგის მიხედვით, ამოიცნეს 51 ჯარისკაცი და ამ ყველაფრის ფონზე იმჟამინდელმა პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველო გამარჯვებულად გამოაცხადა, კონცერტიც გამართა რუსთაველის პროსპექტზე, შემდეგ კი თქვა, — ქვა-ღორღის მეტი არაფერი დაგვიკარგავს, სამაგიეროდ, მთელმა მსოფლიომ ნახა რუსული აგრესიაო...**

## ყურადღება, ლაპარაკობს ქართველი ხალხი!











9 წელიწადი გავიდა და დღემდე გამოუძიებელია ომის დაწყების დეტალები. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება ომის მიზეზების გამოძიება და დამნაშავეების დასჯა იყო, ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. 2008 წლის ომის გამოძიება ჰააგის სასამართლოშიც დაიწყო და საქართველოს შარშან ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე ფატუ ბენსუდა ეწვია, მაგრამ რამე მნიშვნელოვანი არც ჰააგის სასამართლოს უთქვამს. „ჩადენილ იქნა სისხლის სამართლის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მაგალითად, მკვლელობა, მოსახლეობის იძულებით გადაადგილება და დევნა, აგრეთვე, ომის დანაშაულები, როგორიცაა სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, განზრახ მკვლელობები, თავდასხმები მშვიდობისმყოფელებზე, ქონების განადგურება, ძარცვის ფაქტები, რომლებიც 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში აღირიცხა“, — წერია ჰააგის სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ვინ ჩაიდინა ეს დანაშაულები? ვის რა წვლილი მიუძღვის ტერიტორიების დაკარგვაში? პასუხს, ალბათ, ობიექტური გამოძიების შემდეგ შევიტყობთ...

მანამდე კი ვესაუბრეთ **გულბაათ რცხილაძეს**, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ავტორს ფილმისა „ლაპარაკობს ქართველი ხალხი“.

**— თქვენ გადაიღეთ დოკუმენტური ფილმი, რომელშიც წარმოჩენილია შიდა ქართლის მოსახლეობის აზრი. რამ განაპირობა ამ ფილმის გადაღება?**

— ფილმს ჰქვია „ლაპარაკობს ქართველი ხალხი“. ჩვენ გვაინტერესებდა, რას ფიქრობს შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონასთან ახლოს, მცხოვრები მოსახლეობა. ფილმში აზრს გამოთქვამენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი თვალით ნახეს 2008 წლის აგვისტოს ომი, ისინი მემატიანეები არიან. ჩვენ ჩავწერეთ დირბის, მეღვრეკისის, ზემოულეთისა და სხვა სოფლების მცხოვრებნი...

**„ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიით გაჟღენთილი მასმედია 2008 წლიდან ხალხს უნერგავს, რომ რუსული ჯარი მაროდიორობდა, ქონებას ართმევდა ხალხს, ხოცავდა, აწამებდა მოსახლეობას, რაც სრული სიცრუე აღმოჩნდა.**

მკითხველს გავახსენებ შს ყოფილი მინისტრის — **ვანო მერაბიშვილის** ნათქვამს რუსი ჟურნალისტებისთვის: **„ჩვენ, მე და გივი თარგამაძე, ვაწარმოებდით მოლაპარაკებას რუს სამხედროებთან, რათა აეფეთქებინათ გორში სტალინის ძეგლი“...** რუს ჯარისკაცებს მათი თხოვნა რომ შეესრულებინათ, იმას ნიშნავდა, რომ სტალინის მოძულეებიც კი გაღიზიანდებოდნენ და რუსი ჯარისკაცების დესპოტიზმზე ალაპარაკდებოდნენ, მაგრამ ჯარისკაცებმა მერაბიშვილსა და თარგამაძეს უარი უთხრეს.

ჩვენ პრობლემას არ ვჩქმალავთ, უბრალოდ, ფაქტებზე ვსაუბრობთ და ფილმში ეს ნათლად ჩანს. იქ არ არის ზედმეტი კომენტარები, ფილმი მე და ჩემმა მეგობარმა **გივი ვანიშვილმა** გადავიღეთ, თუმცა არსად ვჩანვართ. ეს სპეციალურად გავაკეთეთ — არ გვინდოდა, რამეში ჩავრეულიყავით. ფილმი გაჯერებულია მოსახლეობის აზრით და, რა თქმა უნდა, ფაქტებით. ჩვენ **არ გვიგრძნია კონფლიქტის ზონასთან ახლოს მცხოვრები ადამიანების ნეგატიური განწყობა რუსი ჯარისკაცების მიმართ, ორადორი შემთხვევა იყო მხოლოდ და, როგორც გაირკვა, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მხრიდან.** არავის ვეკითხებოდით აზრს ომზე, მხოლოდ ვსვამდით კითხვას: რა გადაგხდათ თავს? **გაირკვა, რომ, როგორც კი გამოჩნდა რუსეთის ჯარი, სოფლის მოსახლეობას აღარ ეშინოდა, აღმოიფხვრა მაროდიორობა, შურისძიება... მოგეხსენებათ, სააკაშვილმა ოსები ძალიან გაამწარა და ეთნოკონფლიქტი გაამწვავა ჯერ კიდევ 2004 წელს. სწორედ ეს იყო ქართველი მოსახლეობის შიშის მიზეზი — ოსების შურისძიების ეშინოდათ და თავი დაცულად იგრძნეს, როდესაც რუსეთის ჯარი შემოვიდა. დღეს ეს სოფლები ცარიელია, მხოლოდ ხანდაზმული ადამიანები ცხოვრობენ, რადგან შიში ჯერ კიდევ არსებობს.**

რამდენიმე წლის წინათ დაწყებული ფილმის გადაღება წელს დავასრულეთ. აქვე აღვნიშნავ, რომ არც ამერიკა გვაფინანსებს და არც რუსეთი.

**— რა შედეგი მოიტანა ფილმის გადაღებამ?**

— ფილმი სოციალურ ქსელშია ატვირთული, ყველას შეუძლია მისი ნახვა. შედეგი იყო ის, რომ ხალხის აზრი შევიტყვეთ და, ასე ვთქვათ, ერთგვარი ლუსტრაციაც მოხდა. **სოციალურ ქსელში ხშირად „შემოცვივდებიან“ მიშისტები, მათ გულზე ხვდებათ ეს უწყინარი ფილმი და ღიზიანდებიან. მათი შეფასებები ასეთია: „37-მანეთიანები“, „გაუნათლებლები“, „მოსყიდულები“, „ოღონდ ვაშლი გაყიდონ“. ამას ამბობენ მშრომელ, გაუსაძლის პირობებში მცხოვრებ ადამიანებზე.** ამას წერენ ადამიანები, რომლებსაც სოციალურ ქსელში გამოფენილი აქვთ უკრაინის, ამერიკის დროშები, აგინებენ პუტინსა და რუსეთს... არის ინტელიგენციის წვრილფეხობაც, მაგალითად, **დავით ზურაბიშვილი**, უნივერსიტეტის თანამშრომელი, პროფესორი... არიან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები და საზღვარგარეთ მცხოვრები „ჭკუის დამრიგებლები“.

**ისინი ხშირად ახსენებენ გიორგი ანწუხელიძეს, მაგრამ, რომ ჰკითხავ, რა შუაშია ანწუხელიძეო, პასუხი არ აქვთ, რადგან გიორგი აწამეს მიშას მიერ გამწარებულმა ოსებმა. წამების კადრებში არსად ჩანს რუსი ჯარისკაცი და ეს თვითონაც მშვენივრად იციან.** ომი ნამდვილად იყო და ჩვენი ჯარისკაცები დაიღუპნენ, მაგრამ ფილმი, რომელიც ჩვენ გადავიღეთ, არ ეხება ოსურ ბანდფორმირებებს, ჩვენ რუსეთის ჯარის ქმედებებზე ვსაუბრობთ. ფილმში გაქარწყლებულია აზრი, რომ რუს ჯარისკაცებს უნიტაზები მიჰქონდათ, რომ ბორჯომის ტყე-პარკი გადაწვეს და ა.შ.

სოციალურ ქსელში არის ასეთი კომენტარებიც: „ეს თაობა მოსასპობია“, „გადაეთრიეთ რუსეთში, პუტინთან“, „რუსეთი მალე დაინგრევა“... ამასთანავე, ფილმს ბევრი მოწონებაც აქვს, ამ ქვეყანაში საღად მოაზროვნე ადამიანებიც არიან და, თანაც, საკმაოდ ბევრი.

**— არ აქვთ მიზეზი, რომ ცუდად ილაპარაკონ რუსებზე? დღემდე არ წყდება მავთულხლართების გაბმა და საზღვრის გადმოწევა...**

— ე.წ. მცოცავ ოკუპაციაზე ჩემი სიტყვებით რომ არ ვილაპარაკო, უმრავლესობის ლიდერის — **მამუკა მდინარაძისა** და ჯანდაცვის მინისტრ **დავით სერგეენკოს** ნათქვამს შეგახსენებთ: **„არ ხდება საზღვრის არანაირი გადმოწევა, არამედ ხდება დემარკაცია იმ ხაზისა, რომელიც შეთანხმებული იყო 2008 წელს, მედვედევისა და სარკოზის დროს“.**

თავდაპირველად შეთანხმება იყო 6-პუნქტიანი, ხოლო 2008 წლის 8 სექტემბერს ეს შეთანხმება განავრცეს — ჯარების გაყვანა სენაკიდან და ფოთიდან შვიდ დღეში, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიიდან, მაგრამ შეთანხმებაში არ არის ნახსენები, შიგნით რა იქნებოდა. სააკაშვილმა თავისი ხელმოწერით აღადგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომია და საზღვარი, რომლებიც ბუნებაში არ არსებობდა, მხოლოდ რუკაზე იყო მონიშნული, ახლა იმ საზღვრებშია განლაგებული რუსეთის ჯარი, თუმცა ამ ტერიტორიებს დღეს საზღვრავენ. **ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ყველაფერზე ხელი სააკაშვილმა მოაწერა. ტერიტორიები მან დაგვაკარგვინა და დღეს რუსეთი საბჭოთა კავშირისდროინდელი ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით ხელმძღვანელობს.** მე ამ ქმედებას მხარს არ ვუჭერ და, სადაც შესაძლებელია, ვამბობ კიდეც.

ხშირად ვისმენთ, რომ ადამიანები გაიტაცეს, თუმცა რუსებს ამაზე ასეთი პასუხი აქვთ: ქართველები, რომლებიც გადადიან საზღვრის იქით, თუნდაც ხის მოსაჭრელად, უნდა დააკავონ მათივე უსაფრთხოებისთვის. ეს კანონდარღვევააო. მათ აღიარებული აქვთ სამხრეთ ოსეთი და შესაბამისი კანონმდებლობაც არსებობს.

**— ცხრა წელიწადი გავიდა აგვისტოს ომიდან, მაგრამ დღემდე არ არის გამოძიებული, რა მოხდა სინამდვილეში. გამოძიება დაიწყო და არ დასრულებულა, დამნაშავეების ვინაობა არ დაუდგენიათ. 2008 წლის ომს ჰააგის სასამართლოც იძიებს და არც იქიდან არის რამე ცნობილი.**

— ნაციონალები ხშირად იმეორებენ, სააკაშვილს არ შეეძლო ომის დაწყება, რადგან საკუთარ ქვეყანაში ომს არავინ იწყებსო. იმხანად ქართული მასმედიის მხრიდან საშინელი სიცრუე წამოვიდა. გახსოვთ. ალბათ, იმასაც ამბობდნენ და ზეიმობდნენ, რომ ომი მოიგეს. დაიკარგა ქართული სოფლები: ქურთა, თამარაშენი, კოდორის ხეობა, სააკაშვილმა კი განაცხადა, — რა დაიკარგა, ქვა-ღორღის მეტი არაფერი იყო, სამაგიეროდ, მსოფლიომ რუსეთის აგრესია დაინახაო. ანუ, მიშას აზრით, ომი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, საჭირო იყო იმისთვის, რომ მსოფლიოს რუსეთის აგრესია დაენახა, თუმცა არსად, არც ერთ დოკუმენტში არ არის ნახსენები, რომ რუსეთმა აგრესია გამოავლინა. სააკაშვილს პოპულისტური პოლიტიკით სურდა თავისი პოზიციების განმტკიცება, მას არ ეგონა, რომ რუსეთი პასუხს გასცემდა.

**— ამერიკას არ წაუქეზებია?**

— როგორ არა. ომს უსწრებდა ამერიკის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივნის — **კონდოლიზა რაისის** ვიზიტი საქართველოში. ახლა ამერიკელები ამბობენ, რომ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ასე არ არის. **მიშა ამერიკელების ნებართვის გარეშე არაფერს მოიმოქმედებდა, ის სრულად იყო მოქცეული ამერიკელების გავლენის ქვეშ.** ომის პირობებში ყველაფრის კეთება შეიძლება, მათ შორის, ფულის გათეთრება. გახსოვთ, ალბათ, რომ საქართველომ 4 მილიარდი დოლარი მიიღო დევნილების დასახმარებლად, მაგრამ, საბოლოოდ, ეს ფული მათთვის არ დახარჯულა და სოროებში აცხოვრებენ, არაადამიანურ პირობებში ამყოფებენ დევნილებს. მილიარდები მოხმარდა დასავლეთის ბიუროკრატიას, რეჟიმის სტაბილიზაციას, არასამთავრობოებმაც მოითბეს ხელი და ა.შ.

**— დღეს თუ ხედავთ ომის საფრთხეს?**

— ახლა სიმშვიდეა და, სააკაშვილისგან განსხვავებით, ამჟამინდელი ხელისუფლება არ არის საომრად განწყობილი, თანაც, არც ამერიკას აქვს გადაწყვეტილება მიღებული რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებაზე. ცუდი ფაქტი იყო ნატოს ტანკების გასეირნება ახალგორთან ახლოს, ამან, ალბათ, გააღიზიანა რუსეთი, მაგრამ უშუალოდ ომის დაწყების საფრთხის წინაშე არ ვდგავართ. თუმცა გამორიცხული არაფერია, ომის მომზადება და ვითარების დაძაბვა ერთი წუთის საქმეა. ომის საფრთხე ჩრდილოეთ აფრიკაშიც არ ჩანდა, არც სირიაში, მაგრამ თურმე ჩუმად მზადდებოდა. ასე რომ, დაზღვეული ნამდვილად არ ვართ.

**— როგორ შეაფასებს ისტორია 2008 წლის აგვისტოს ომს?**

— ყველაფერი ნათელია, ვისაც დანახვა არ უნდა, ის ვერც დაინახავს, მაგრამ იდიოტი უნდა იყოს ადამია- ▶

**პატარა კახი არ უყვართ მათ, ვინც ამორალურობას უჭერს მხარს. ეს იმიტომ, რომ მისი ბრძანებით, მამათმავლებს არ ინდობდნენ, ზნეობა უპირველესი იყო მისთვის. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მეფე ერეკლემ უდიდესი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა. რომ არა მისი ჭკვიანური გადაწყვეტილება, რუსეთთან ერთად ყოფნა, ამ ქვეყანაში ქართულს ვერ გავიგონებდით და ქართველს ვერ ვიხილავდით. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატამდე 720 ათასი ადამიანი ცხოვრობდა საქართველოში, ჩვენ ვიყავით მომაკვდავი ერი, გადაგვარების გზაზე მდგარი.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნი, ვერ მიხვდეს, რა ხდებოდა 7 აგვისტოს... ბევრი ფიქრობს, რომ ომი მას შემდეგ დაიწყო, როცა რუსეთის ჯარი დაგვესხა თავს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვისროლეთ „გრადებიდან", რომელთაც ზუსტი სამიზნე არ აქვს და რას მოხვდება, არავინ იცის. გარდა ამისა, ტერიტორიაზე, რომელიც საქართველომ სამიზნეში ამოიღო, განლაგებული იყო სამშვიდობო ჯარი. იქ 1990-იანი წლებიდან იდგნენ რუსები, ოსები და ქართველები.

**ომის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო „დაგომისის ხელშეკრულების" დენონსაცია, შემდეგ ჯარების გაყვანაზე უნდა გვეზრუნა, მაგრამ ასე არ მოხდა. საქართველომ არ წაუყენა ულტიმატუმი რუსეთს და ქურდულად დაიწყო მასშტაბური საომარი ოპერაცია. საქართველომ აგრესია გამოხატა — რუსეთის ტერიტორიაზე არ შევჭრილვართ, მაგრამ თავს დავესხით რუსულ ჯარს, ქართველმა სამშვიდობოებმა ზურგში ესროლეს რუს სამშვიდობოებს. 68 ჯარისკაცი დაიღუპა ცხინვალის მისადგომებთან. ისინი ჭურვის ნამსხვრევებით კი არ დაღუპულან, არამედ ტყვიით, თანაც, 58-ე არმიის წევრები კი არა, სამშვიდობოები. ეს ის ფაქტებია, რომელთა დავიწყებაც და იგნორირებაც არ შეიძლება.**

სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა. მან ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო ნორმები და საკუთარ ქვეყანაში ომი ანტიკონსტიტუციურად გააჩაღა, ხელისუფლების უზურპირება მოახდინა და ქართული ჯარი სამშობლოში აბრძოლა.

ახალმა ხელისუფლებამ კი სააკაშვილი არ გაასამართლა და განაგრძო მისი რიტორიკა, რომ რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და რომ რუსები ოკუპანტები არიან. **საქართველოს აუცილებლად უნდა გაესამართლებინა სააკაშვილი, ამით პოზიციებს გავიმყარებდით რუსებთანაც, ოსებთანაც და აფხაზებთანაც. ჩვენ მათ ვეტყოდით, რომ სამხედრო დამნაშავე დავსაჯეთ და რომ მისი ეს ნაბიჯი არ იყო ქართველი ხალხის ნება.** ჩვენ მათ წინაშე მართლები ვიქნებოდით. რუსებს იმასაც ვეტყოდით, რომ სწორედ მათი მხარდაჭერით სარგებლობდა სააკაშვილი 2003 წელს, როდესაც **შევარდნაძე** გააძევა და როდესაც **ასლან აბაშიძე** წაიყვანეს. შეცდომა რუსების დაშვებულია და ჩვენ ამის თქმის საშუალება მოგვეცემოდა. მიშა რომ არ გავასამართლეთ, ამით ჩვენი პოზიციები დასუსტდა. სააკაშვილი 2008 წელსვე უნდა გასამართლებულიყო, მაგრამ იმხანად პოლიტიკოსები სოროებში შეძვრნენ. მერე უკვე გვიან იყო, რადგან პოზიციები გაიმყარა „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებამ.

სააკაშვილს სინდისის ნატამალი რომ ჰქონდეს, უნდა აღიაროს დანაშაული; უნდა თქვას, რას ეუბნებოდა **მაკეინი, კონდოლიზა რაისი;** განაცხადოს, რომ მსხვერპლი იყო ამერიკის. ეს საქციელი მას ქულებს მოუტანდა, მაგრამ გარეწარია და მისგან ამას არავინ ელის.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# ერეკლე მეფე ღირსია, წმინდანად შეირაცხოს!

**2016 წლის მარტში ორგანიზაცია „ფოლადის" წევრებმა, ძირძველმა თელაველებმა, საქართველოს საპატრიარქოს თხოვნით მიმართეს. გთავაზობთ ამონარიდს ამ მიმართვიდან: „ქვეყნის გადასარჩენად მეფე ერეკლემ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შესაძლებელი იყო იმ დროისთვის. მეფე ერეკლე მეორის ღირსება და დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან სწორად განჭვრიტა მართლმადიდებელი ქვეყნისა და ერის გადარჩენის სწორი გზა, მათ შორის, ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის დამყარებით. შედეგად, საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა რამდენიმეჯერ და, უფლის ნებით, გადარჩა, როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა. შთამომავლობამ ერეკლე მეფეს მშობლიურ ქალაქში ძეგლი დაუდგა, არის მისი სახელობის გამზირი, ქუჩები და მოედნები. მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად საზოგადოებაში ბუნებრივად წარმოიშვა აზრი, ერეკლე მეორის წმინდანად გამოცხადების შესახებ". ორგანიზაცია „ფოლადის" წევრებს განცხადებაზე პასუხი დღემდე არ მიუღიათ. ჩვენ რამდენიმე მათგანს ვესაუბრეთ.**



## „ერეკლე მეფე ქრისტეს კვართის გვერდით არის დაკრძალული მცხეთაში, კოსმოსში „ჩაკრულო" რომ გაუშვეს, იმ „ჩაკრულოში" ერეკლე მეფეა მოხსენიებული"

**ივანე ბუჩუკური:**

— ჩვენ ვითხოვთ, ერეკლე მეფის წმინდანად შერაცხვის საკითხი განიხილონ, რადგან ვთვლით, რომ პატარა კახს არაფრისზე ნაკლები დამსახურება არ აქვს ქვეყნის წინაშე. ცუდად არ გამიგოთ, ჩვენ ყველა წმინდანს უდიდეს პატივს მივაგებთ და მათ სახელებზე ვლოცულობთ...

**— ერეკლე მეორეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, როგორ აუხსნით მათ, რომ თქვენი მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულდეს?**

— ჩვენ დღეს მართლმადიდებელი ქართველები რომ ვართ, გვაქვს ენა და მამული, სწორედ ერეკლე მეფის დამსახურებაა. იშვიათია მეფე, რომელსაც ისეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდეს ხალხის, როგორც მეფე ერეკლეს. მას სიყვარულით „პატარა კახიც" კი უწოდეს. მეფე ერეკლემ სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ბრძოლაში გაატარა, თანაც, უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. მეფე ერეკლეს მოღვაწეობა ქართველმა ხალხმა ნათლად ასახა ფოლკლორში — ქართველი კაცის ცნობიერებაში ის უძლეველია, მის სახელს იფიცებდნენ. იმ პერიოდში, როდესაც ეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე მეფობდა, ქვეყანა უდიდესი გამოწვევების წინაშე იდგა და ძალიან დიდი ნიჭი და გამჭრიახობა იყო საჭირო, განადგურებისგან რომ გადაერჩინა, დიდმა მეფემ ეს შეძლო. მეფე ერეკლემ ზუსტად განჭვრიტა, ვისთან დაახლოებით შევძლებდით გადარჩენას. იმ პერიოდში 45 ათასი ქართული ოჯახი ყოფილა დარჩენილი საქართველოში, მაგრამ ჭკვიანი მეფის გადაწყვეტილებით რუსეთის მფარველობის ქვეშ აღმოვჩნდით და ამან გადაგვარჩინა, ას წელიწადში უკვე 5 მილიონი გავხდით.

მადლიერი ქართველი კაცი დიდი მეფის ძეგლს ეფერება, ამაყობს მისით. სამწუხაროა, რომ ერეკლე მეფის ძეგლი დედაქალაქში არ დგას.

ძალიან ბევრი ადამიანი გვიდგას მხარში, მათი ხელმოწერილი მოთხოვნა შევიტანეთ საპატრიარქოში, რათა სინოდმა ერეკლე მეორის წმინდანად შერცხვის საკითხი განიხილოს.

ერეკლე მეფე ქრისტეს კვართის გვერდით არის დაკრძალული მცხეთაში, კოსმოსში „ჩაკრულო" რომ გაუშვეს, იმ „ჩაკრულოში" ერეკლე მეფეა მოხსენიებული...

## „ვინც ემტერება მეფეს, ყველამ ვიცით. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც სამშობლო არ უყვართ, რომლებსაც წარსულის გახსენება არ სურთ და ზნეობა არაფრად ულირთ"

**გივი პაატაშვილი:**

— მეფე ერეკლეზე უამრავი რამის თქმა შემიძლია. ის იყო მეფე, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებდა და რომელმაც ქვეყნის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთა. დღეს კაცს ჯერ ნიშნავენ სახელმწიფო თანამდებობაზე და მერე აპატიმრებენ, ფული გაფლანგაო... ერეკლე მეფემ კი სპარსეთიდან ფული ჩამოიტანა და ხალხს მოახმარა, თვითონ კი სომხების ფულით დაიმარხა.

**პატარა კახი არ უყვართ მათ, ვინც ამორალურობას უჭერს მხარს. ეს იმიტომ, რომ მისი ბრძანებით, მამათმავლებს არ ინდობდნენ, ზნეობა უპირველესი იყო მისთვის. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მეფე ერეკლემ უდიდესი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა. რომ არა მისი ჭკვიანური გადაწყვეტილება, რუსეთთან ერთად ყოფნა, ამ ქვეყანაში ქართულს ვერ გავიგონებდით და ქართველს ვერ ვიხილავდით. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატამდე 720 ათასი ადამიანი ცხოვრობდა საქართველოში, ჩვენ ვიყავით მომაკვდავი ერი, გადაგვარების გზაზე მდგარი.**

**«საპატრიარქოს ფუნქციებში არ ვიჭრებით, ასეთ მკრეხელობას არ ჩავიდენთ, მაგრამ ვთხოვთ, რომ ხალხისა და ერის გასახარი საქმე გააკეთონ — ერეკლე მეფე წმინდანად შერაცხონ»**

მადლიერმა ქართველმა ერმა ერეკლე მეფეს ღვაწლი დაუფასა, ქართულ შემოქმედებაში მას მოიხსენიებენ, როგორც მზეს, ნათელს, მნათობს, რკინის კარს... ახლახან ასპინძაში ძეგლი დაუდგეს, ასპინძის ომმა ხომ ბევრი რამ გადაწყვიტა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. დიდმა მეფემ ხმალი ერთხელ რომ აიღო ხელში, სიკვდილამდე აღარ ჩაუგია ქარქაშში.

**საპატრიარქოს ფუნქციებში არ ვიჭრებით, ასეთ მკრეხელობას არ ჩავიდენთ, მაგრამ ვთხოვთ, რომ ხალხისა და ერის გასახარი საქმე გააკეთონ — ერეკლე მეფე წმინდანად შერაცხონ.**

წარმოვაჩინოთ ერეკლე მეფე, გავაცნოთ ახალგაზრდებს მისი ღვაწლი. **ვინც ემტერება მეფეს, ყველამ ვიცით. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც სამშობლო არ უყვართ, რომლებსაც წარსულის გახსენება არ სურთ და ზნეობა არაფრად ულირთ.**

ერეკლე მეფეს ებრძვიან არასამთავრობოები, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან. გგონიათ, დავით აღმაშენებელი უყვართ? არა, რომ უყვარდეთ, ვერავინ გაბედავდა, ეთქვა, „დიდგორობა" არ აღნიშნოთო...

მსოფლიო აღიარებს, რომ ქართველი ერი უდიდესი კულტურის მქონეა, კულტურის აკვანი. უამრავ ქვეყანაში ქართული კულტურის უძველესი ნიმუშებია გამოფენილი, მაგრამ ჩვენ ჩვენსას არ ვაფასებთ. სკოლაში აღარ ვასწავლით ნამდვილ ისტორიას, რაც ისწავლება, სიმართლე არ არის...

## „თელავის პირველი სკოლა დაარსებიდან 250 წლისთავს აღნიშნავს, ამერიკამ კი დაარსების 240 წელი აღნიშნა, განა სირცხვილი არ არის, რომ ჩვენ მათ დაკრულზე ვცეკვავთ?"

**ნოდარ გაგნიძე:**

— ზოგჯერ ერები ისტორიას თვითონ თხზავენ, პიროვნებებს, გმირებს გამოიგონებენ, რათა თაობები აღზარდონ, ჩვენ კი ეს არ გვჭირდება — გმირები საკმარისად გვყავდა. 80 წლის კაცი ვარ, მჯერა, რომ ერეკლე მეორის ადგილი წმინდანების გვერდით არის. მეფე რომ გარდაიცვალა, მადლიერმა ქართველმა ხალხმა თელავიდან მცხეთამდე მისი ნეშტი ხელით ატარა. ნუთუ დღეს ქართველები ისე დავეცით, რომ ერეკლე მეფის ღვაწლის დაფასება აღარ გვინდა? თელავის პირველი სკოლა დაარსებიდან 250 წლისთავს აღნიშნავს, ამერიკამ კი დაარსების 240 წელი აღნიშნა, განა სირცხვილი არ არის, რომ ჩვენ მათ დაკრულზე ვცეკვავთ?!

ჩვენს სიმდიდრეს მოვლა უნდა. მრცხვენია კიდეც, ერეკლე მეფეზე ამდენი ლაპარაკი რომ გვიწევს. თუ მართლა არ იციან, ერეკლე მეფე ვინ იყო და რა გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი გადარჩენისთვის, დავღუპულვართ და ეგ არის...

## „ყველამ უნდა იცოდეს, რანი ვიყავით და საით მივექანებოდით, რომ არ გამოჩენილიყო ეს უდიდესი პიროვნება და მას ასეთი სახელმწიფოებრივი აზროვნება არ ჰქონოდა"

**ვიტალი მარგალიტაშვილი:**

— ბრმა უნდა იყო, ერეკლე მეფის ღვაწლი ვერ დაინახო. ყველამ უნდა იცოდეს, რანი ვიყავით და საით მივექანებოდით, რომ არ გამოჩენილიყო ეს უდიდესი პიროვნება და მას ასეთი სახელმწიფოებრივი აზროვნება არ ჰქონოდა, რომ არ ყოფილიყო თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ერთგული მეფე.

ქართველობას თურქული შეგვეყარა, უკვე მეეჭვება, ვართ თუ არა ქართველების შთამომავლები, ერეკლეს მემკვიდრეები. თუ ჩვენ ერეკლეს გზით არ ვიარეთ, არაფერი გამოგვივა, თუ მას არ მივბაძეთ და სულიერ გაჯანსაღებაზე არ ვიზრუნეთ, დავიღუპებით. ვთქვა თუ არა, არც კი ვიცი... ქართველი კაცი ცოლს საზღვარგარეთ რომ გაუშვებს სამუშაოდ, იმას ქართველი ჰქვია? საუკეთესო ახალგაზრდები სად გავუშვით? სად ვღუპავთ? ორ მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყნიდან არის წასული, შაჰ-აბასს არ უქნია ისეთი რამ, რაც ჩვენმა მთავრობებმა დაგვმართეს. წმინდა აღარაფერი შეგვრჩა. ერეკლე მეფეს ამისთვის არ უბრძოლია. ვაღიაროთ ეს დიდებული მეფე წმინდანად, შევასწავლოთ მისი ღვაწლი ახალგაზრდებს, ვისწავლოთ მასავით აზროვნება და გადავრჩებით.

ერეკლე მეფეს შეცდომა არ დაუშვია, დემაგოგიას ნუ აჰყვებიან ახალგაზრდები, ტელეეკრანზე ვაიპატრიოტებს კი არ უნდა უყურონ, წიგნი უნდა წაიკითხონ, ისწავლონ, საკუთარი ქვეყნის ისტორიით დაინტერესდნენ და სალად იაზროვნონ.

საპატრიარქოს ვთხოვთ, განიხილოს ერეკლე მეფის წმინდანობის საკითხი, განიხილოს და პასუხის ღირსი გაგვხადოს...

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" ამჯერად მხოლოდ საინფორმაციო მასალას გაწვდით, სექტემბერში კი ვრცლად და დეტალურად ვისაუბრებთ ერეკლე მეორის ღვაწლსა და სამშობლოს საკეთილდღეოდ გადადგმულ მის ყოველ ნაბიჯსა და გადაწყვეტილებაზე, რათა საზოგადოება დავარწმუნოთ, რომ ერეკლე მეფე ღირსია, წმინდანად შეირაცხოს.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრს სჭირდება ფსიქიატრიული დახმარება, იმიტომ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მესმის განცხადებები, რომლებიც ამოვარდნილია რაციონალურობის ჩარჩოებიდან. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას სრულიად პოლიტიკურ სპექტრზეც, ვინაიდან, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, ყველა სუბიექტი იმეორებს ერთსა და იმავეს — დასავლეთი მოკავშირეა, ნატო ჩვენთანაა, სხვა გზა არ არსებობს, რუსეთი უნდა დაეცეს... ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის სიბეცე, რომელიც სჭირთ პოლიტიკურ ავადმყოფებს“.



ვალერი ხაბურძანია:

# ხელისუფლებაში ბევრს სჭირდება ფსიქიატრიული დახმარება

**რუსეთისთვის სანქციების გამკაცრებაზე ამერიკის კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც პრეზიდენტმა ტრამპმა, როგორც ამბობენ, მისივე ნების საწინააღმდეგოდ ხელი უკვე მოაწერა, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ზარ-ზეიმით შეხვდნენ. უმცირესობაც და უმრავლესობაც, ხელისუფლებაც და ოპოციზიაც ერთ ჭკუაზე არიან, — სანქციებმა ოფიციალურ მოსკოვს თავზარი დასცა და პუტინის ხელისუფლება, წელს თუ არა, გაისად მაინც დაემხობაო. თუმცა ისტორია გვკარნახობს, რომ ბუნებრივი რესურსებით უმდიდრეს რუსეთს მსგავსი სანქციები ვერაფერს აკლებს. საქართველო კი დღითიდღე დიდი დარტყმის საფრთხის წინაშე დგება, მაგრამ ამერიკული წყლისა და პამპერსების იმედად დარჩენილ ქვეყანას, თითქოს ერთი სული აქვს, ზესახელმწიფოთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ეპიცენტრში მოექცეს. რას ემსახურება რეალურად რუსეთისთვის სანქციების გამკაცრება, რა ზომებს მიიღებს საპასუხოდ ოფიციალური მოსკოვი და როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე, გვესაუბრება უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია.**



**— ბატონო ვალერი, რუსეთისთვის სანქციების გამკაცრებას საქართველოში ბევრი ოპტიმისტურად უყურებს. ზოგს სწორედ ეს ნაბიჯი მიაჩნია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობად. რას მოგვიტანს ეს პროცესები და, საერთოდ, საქართველომ როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს დიდი სახელმწიფოების დაპირისპირებაში?**

— ამ ვითარებაში კონკრეტული დასკვნის გამოტანა ძალიან რთულია. მე, უბრალოდ, საქართველოზე ვფიქრობ. სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში ბევრს სჭირდება ფსიქიატრიული დახმარება, იმიტომ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მესმის განცხადებები, რომლებიც ამოვარდნილია რაციონალურობის ჩარჩოებიდან. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას სრულიად პოლიტიკურ სპექტრზეც, ვინაიდან, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, ყველა სუბიექტი იმეორებს ერთსა და იმავეს — დასავლეთი მოკავშირეა, ნატო ჩვენთანაა, სხვა გზა არ არსებობს, რუსეთი უნდა დაეცეს... ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის სიბეცე, რომელიც სჭირთ პოლიტიკურ ავადმყოფებს.

რაც შეეხება სანქციებს, ჯერ ერთი, ეს სანქციები ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ კონგრესმენებს ეს სჭირდებოდათ პოლიტიკური თვალსაზრისით, ტრამპის შესატორტმანებლად. მოგეხსენებათ, ტრამპს თავდაპირველად ლოიალური კურსი ჰქონდა კრემლის მიმართ აღებული და ამ დოკუმენტის მიღებით ეს ლოიალურობა გააუქმეს, ანუ რეალურად მოხდა რა, მანამდე ე.წ. მაგნიტსკის სიაში თუ იყო, ვთქვათ, 43 კაცი, ახლა არის 73. ეს არაფერს ნიშნავს და თვით ევროპა რომ განაცხადებს, რუსეთისთვის სანქციების დაწესებით პრობლემები მექმნებაო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა უაზრო სანქციებზეა საუბარი?!

რაც შეეხება იმ ქართველებს, რომლებსაც ფსიქიატრიული დახმარება სჭირდებათ, ვთქვათ, დავუშვათ, დაიშალა რუსეთი, **წარმოიდგინეთ თავის ნებაზე მიშვებული ჩრდილოეთ კავკასია უკონტროლო იარაღითა და და შეიარაღებული დაჯგუფებებით. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი მესაზღვრეები მყარად დადგებიან თავიანთ ადგილზე და ეს პროცესები აქეთ არ გადმოვა, ძალიან ცდება. რუსეთის დაშლა ჩვენთვის არც ერთ შემთხვევაში არ მოიტანს კარგ შედეგს და, ვინც ფიქრობს, რომ მხოლოდ ეს შეიძლება იყოს საქართველოს ხსნა, ის არის სამკურნალო.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმორებ, რომ ასეთი ადამიანების ადგილი არათუ ხელისუფლებაში და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, საერთოდ, პოლიტიკურ სპექტრში არ უნდა იყოს, რადგან ასეთი ხალხი სახელმწიფოსთვის ყოველთვის წარმოადგენს საფრთხეს, თავისი სიბეცით, უცოდინარობითა თუ ბოროტებით, რა მნიშვნელობა აქვს...

**— სანქციების დოკუმენტში ადგილი საქართველოსაც დაეთმო. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ვაშინგტონმა უნდა განაგრძოს მოქმედება, რათა საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის გავლენის სფეროდან გათავისუფლება შესაძლებელი შეიქნეს. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სწორედ ამას მოჰყვა ყველაზე მეტი ოვაცია. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— ეს არის, უბრალოდ, საუბრები, რომელიც ვერ გასცდება საუბრებს. მიაქციეთ ყურადღება სიტყვების თამაშს: გაღრმავებული ურთიერთობა, ღირსეული პარტნიორობა, უფრო ღმა და ღირსეული... ამ სიტყვების მაღალ ხარისხში აყვანა ხდება იმისთვის, რომ მორიგი სატყუარა გადაუგდონ ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც, სამწუხაროდ, ასეთ არაჯანსაღ გარემოს ქმნის ქვეყანაში. აი, ეს არის პრობლემა და ამ პრობლემების სათავედ მიმაჩნია გაურკვევლობა. გაურკვევლობას ვხედავ არა მხოლოდ გარე ძალებისგან, არამედ შიგნითაც. ჩვენ არ გვაქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა და მიმართულება.

# «მაიკ პენსის სიტყვები რეალურად იყო შემდეგი: ბიჭებო, განაგრძეთ ლეგენდებში ცხოვრება. აი, ამ ილუზიებსა და ლეგენდებში ვცხოვრობთ ჩვენ დღეს»

**— რუსეთმა მოსკოვში ამერიკელი დიპლომატების რაოდენობა შეამცირა. ეს, ჩანს, დასაწყისია იმ საპასუხო ქმედებებისა, რომლებსაც კრემლი, ალბათ, კიდევ უფრო მკაცრი ფორმებით განახორციელებს მომავალში. საქართველოს მიმართ რა ნაბიჯებს უნდა ველოდოთ?**

— ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამას ჰქვია დიპლომატიური ომი. ჩვენ კი ერთ რამეში უნდა ვიყოთ დარწმუნებული: რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება არც ერთ შემთხვევაში კარგს არაფერს მოგვიტანს. თუმცა დღეს საქართველოში ვიღაცებს ავიწყდებათ, რომ დღევანდელი რუსეთი არ არის ელცინის რუსეთი, რომელზეც გააძლიერებენ ზეწოლას, და ის, შესაბამისად, შეამცირებს თავის გავლენას კავკასიაში. ეს არ მოხდება იმიტომ, რომ დღევანდელი რუსეთი, ელცინისდროინდელ რუსეთთან შედარებით, წარმოუდგენლად ძლიერია და, რაც უნდა სანქციები დაუწესონ, ყოველთვის იქნება სერიოზული ძალა.

**— თქვით, რომ რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება კარგს არაფერს მოგვიტანს, კონკრეტულად რა პრობლემები შეიძლება შეგვექმნას?**

— დღეს საუბრობენ იმაზეც, რომ რუსეთი ომისთვის ემზადება, ატარებს წვრთნებს ჩრდილოეთ კავკასიაში და ა.შ. ომისთვის არავინ ემზადება, დარწმუნებული იყავით და არც ერთი ნაბიჯი ჩრდილოეთიდან საქართველოს მიმართულებით ამ თვალსაზრისით არ გადმოიდგმება, თუ არ ჩავთვლის იმ ე.წ. მცოცავ ოკუპაციას. სხვათა შორის, ამ თემაზე ძალიან აქტიურობს თავდაცვის ყოფილი მინისტრი **თინა ხიდაშელი**, რომლის განცხადებებიც, სიმართლე გითხრათ, ცოტა შეუსაბამო მეჩვენება. მცირე ხნის წინათ მას მივწერე ასეთი რამ: ხომ იყავით იქ, „საზღვართან“, წამოდით, მივიდეთ და ორივემ დავდგათ ბანერები, რომ ამის იქით არის ოკუპირებული ტერიტორია და, ხალხო, ნუ გადახვალთ-თქო. ამასაც არ აკეთებენ. ანუ, რისი თქმა მინდა: მთავრობამ უნდა იფიქროს თავის ხალხზე, ხოლო აღიარება-არაღიარება სხვა სტანდარტებია. რასაც დღეს ხელისუფლება აკეთებს, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ ჰქვია, ეს არის საკუთარი ხალხის მიმართ გულგრილობა, რომლის შედეგიც ხელისუფლების წარმომადგენლებს გაცნობიერებული არ აქვთ.

**— რა გიპასუხათ ხიდაშელმა იმაზე, რაც მისწერეთ?**

— არაფერი, რა უნდა მიპასუხოს? მე ვიცი, მას რაც სჭირს: ეგონა, ჩემ გარშემო ტრიალებს დედამიწაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასე არ არის. ყველაზე ცუდი კი მისთვის არის ის, რომ იმ მთავრობაზე, რომელშიც იყო, დღეს ცუდის თქმა უწევს. კრიტიკა და მხოლოდ კრიტიკა. თურმე მაშინ კარგი იყო, დღეს არ ვარგა...

**— როგორ შეაფასებთ მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებს — „ღირსეული პარტნიორი — 2017“, რომელშიც ამერიკული ტექნიკა მონაწილეობს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ამასაც მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს?**

— ცხადია, ეს პოლიტიკური ოვაციები გაზვიადებული რეაქცია იყო და რეალურად მას ამხელა მნიშვნელობა არ აქვს. ხუთმა „აბრამსმა“ და რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორმა გაიარა, მერე რა?! სომხეთიც მონაწილეობდა ამ სწავლებაში, მაგრამ არ გაიძახის მათი პრეზიდენტი, ამერიკა ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორიაო. ახლა რა გამოდის: სომხეთის შეიარაღებული ძალები რუსეთს შეუგზავნია იქ აგენტად?!

**— ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა სიამაყით აღნიშნა, ამერიკულმა ტექნიკამ რუსი სამხედროებისგან ხუთას მეტრში გაიარაო...**

— მერე რა, რომ გაიარა?! დრო იყო, ამერიკელი და რუსი სამხედროები ერთად ატარებდნენ წვრთნებს, ქვეყანა დაიქცა?! ამას ზედმეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. ამით ვიღებთ მხოლოდ ერთ რამეს — კიდევ ერთხელ მოტყუებულ და თვალში ნაცარშეყრილ ხალხს, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, ყელში ამოუვიდეს ეს ყველაფერი.

**— აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტზეც გაზვიადებული შეფასებები გაკეთდა: ამერიკა განუხრელად განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას, ვაშინგტონი კვლავ რჩება საქართველოს უპირობო მოკავშირედ და ა.შ... რას ნიშნავდა რეალურად ეს ვიზიტი?**

— აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტზე ერთი რამის თქმა შემიძლია: ჩამოვიდა, გააკეთა გარკვეული განცხადებები, რომლებშიც მაინცდამაინც ბევრი კონკრეტიკა არ იყო, და დატოვა გალიმებული, გახარებული პოლიტელიტა. ანუ, მაიკ პენსის სიტყვები რეალურად იყო შემდეგი: ბიჭებო, განაგრძეთ ლეგენდებში ცხოვრება. აი, ამ ილუზიებსა და ლეგენდებში ვცხოვრობთ ჩვენ დღეს. ეს იყო და ეს.

**— ამას ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ აცნობიერებს?**

— ბევრი, ალბათ, ხვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ გამოხატავს. თუ გამოხატავს, ეს იქნება მისი პოლიტიკური აღსასრული, რაც, ცხადია, ყველამ იცის და პოლიტიკური კარიერის გაწირვა არავის სურს...

**— როგორი კურსი უნდა გაატაროს საქართველომ, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებიდან რომ არ ამოვარდეს და უარყოფითად არ აისახოს სახელმწიფოზე ის გლობალური გარდაქმნები, რომლებიც მსოფლიოში მიმდინარეობს?**

— სიმართლე გითხრათ, დღეს გასატარებელ რეალურ კურსს ვერ ვხედავ, ერთადერთი, რაც უსათუოდ გასაკეთებელია და ამაში ორი აზრი არ არსებობს, არის ის, რომ ქვეყანამ უნდა მოახერხოს ეკონომიკური რესურსების კონსოლიდაცია. თუ ეკონომიკის აღორძინება ვერ მოხერხდა, გინდა „აბრამსებს“ ჩაუვლია აქ, გინდა — გერმანულ ტექნიკას და გინდა — ირანულს. ასე რომ, ლეგენდებს თავი დავანებოთ და რეალური ცხოვრებით ვიცხოვროთ. უნდა ვნახოთ, სად არის სინამდვილეში სარგებელი, სადაა გასაღების ბაზარი და ა.შ. თუ სიდუხჭირე არ აღმოიფხვრა, ხალხს ელემენტარული საარსებო პირობები არ გაუუმჯობესდა, ვერანაირი სიტყვიერი გამხნევება ამერიკიდან საქმეს ვერ უშველის...

ესაუბრა ჯაბა ჭვანია

**ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ იაპონია რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდება, რადგან ბირთვული იარაღი არ გააჩნია. ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ იაპონიას ბირთვული იარაღის შექმნა ძალიან სწრაფად შეუძლია. მის განკარგულებაშია 9 ტონა შესაბამისი კონდიციის პლუტონიუმი და 1,2 ტონა გამდიდრებული ურანი. ეს მხოლოდ იაპონიის ტერიტორიაზე. ხოლო 35 ტონა იაპონური პლუტონიუმი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საცავებში ინახება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩრდილოეთ კორეის საკითხზე მოლაპარაკებების დრო დასრულდა“, — განაცხადა გასულ კვირას აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში — ნიკი ჰეილიმ, ხოლო ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სანქციების გამკაცრებას დაუჭირა მხარი. ტრამპის ადმინისტრაციის რადიკალურ პოზიციას ფხენიანის მიმართ, ჩინეთზე ზეწოლის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქვეტექსტი აქვს — ის ხელს უწყობს იაპონიის შეიარაღებას, რამაც მომავალში შეიძლება მკვეთრად გაზარდოს ამ ქვეყნის დაპირისპირების ალბათობა როგორც ჩრდილოეთ კორეასთან, ისე ჩინეთთან და რუსეთთან.**

# ძია სემი და იაპონური ბირთვული დრაკონი



ოფიციალური ტოკიო იმედოვნებს, რომ აშშ-ჩრდილოეთ კორეის მორიგი დაპირისპირება მშიდობიანად დასრულდება, მაგრამ ამავე დროს უსაფრთხოების გაძლიერებაზე ფიქრობს. იაპონიაში განლაგებულია აშშ-ის ბაზები და 45 ათასზე მეტი სამხედრო. ომის დაწყების შემთხვევაში ამ ბაზებიდან ჩრდილოეთ კორეაზე იერიშებს მიიტანენ და ისინი საპასუხო დარტყმების სამიზნედ გადაიქცევიან.

სერიოზულ პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ იაპონია ძალიან მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. მაგალითად, ამერიკული ბაზა იოკოსუკაში განლაგებულია ტოკიოს აგლომერაციის უშუალო სიახლოვეს, სადაც ათეულობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ჩრდილოკორეელების მიერ ბირთვული ან თუნდაც ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებამ შეიძლება კატასტროფული შედეგი გამოიღოს.

**იაპონიას გააჩნია „იჯისისა“ და „პეტრიოტის“ ტიპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, მაგრამ სამხედრო ექსპერტები მათ რაოდენობას არასაკმარისად მიიჩნევენ, ამიტომ ტოკიო სახმელეთო ბაზირების ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „იჯის ეშორ“-ის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს**. ეს სავსებით შეესაბამება ტრამპის ადმინისტრაციის მოწადინებას, მოკავშირეებს რაც შეიძლება მეტი ძვირად ღირებული იარაღი მიჰყიდოს. მოსკოვსა და პეკინში მიიჩნევენ, რომ ეს მათ წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია, რომელიც რეგიონში ძალთა ბალანსს შეცვლის.

თუმცა ეს უმნიშვნელოა სხვა სიახლესთან შედარებით — იაპონია „ტომოჰავკების“ ტიპის რაკეტების შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ადრე მას მსგავსი შეიარაღება არ გააჩნდა, რადგან ის მხოლოდ შეტევითია და არა თავდაცვითი. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, იაპონიამ მიიღო კონსტიტუცია, რომლის მეცხრე მუხლში ნათქვამია, რომ ქვეყანა „სამუდამოდ ამბობს უარს ომზე, როგორც ერის სუვერენულ უფლებაზე, აგრეთვე, შეიარაღებული ძალის გამოყენებაზე ან გამოყენების მუქარაზე, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალებაზე“. იქვე ნათქვამია, რომ იაპონია „არასოდეს შექმნის სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებს, ისევე, როგორც ომის წარმოების სხვა საშუალებებს“. ამის საფუძველზე „იაპონიის თავდაცვის ძალები“ ყოველთვის განიხილებოდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის დაცვაზე ორიენტირებული სტრუქტურა.

**„ცივი ომის“ წლებში იაპონიასა და აშშ-ს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა მოხდა – პირველი პასუხისმგებელი იყო იაპონიის კუნძულებისა და მისი მიმდებარე საზღვაო ზონის დაცვაზე, ხოლო მეორე — შეტევით ოპერაციებზე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ბოლო წლებში სინძო აბეს მთავრობამ ახალი, „კოლექტიური უსაფრთხოების“ კონცეფციის დამკვიდრება დაიწყო, რომლის თანახმად იაპონიამ შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ მოკავშირეების დასაცავად; მაგალითად, თუ ჩრდილოეთ კორეა იერიშს მიიტანს არა იაპონიის ტერიტორიაზე, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებში განლაგებულ ამერიკულ ძალებზე.** ამან ბუნებრივად წარმოშვა კიდევ ერთი — „პრევენციული თავდაცვის“ კონცეფცია, რომელიც შესაძლებელს ხდის იერიშის მიტანას ჩრდილოკორეულ ბაზებზე (მათ შორის „ტომოჰავკების“ გამოყენებით). პრემიერ-მინისტრი აბე მიიჩნევს, რომ მსგავსი დარტყმა არსებითად თავდაცვითი იქნება და, შესაბამისად, კონსტიტუციას არ დაარღვევს. **„ტომოჰავკების“ შეძენის გეგმები პეკინისა და მოსკოვის შეშფოთებასაც იწვევს.**

**ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ქმნის საუცხოო საბაბს იაპონიის არმიისა და ფლოტის გაძლიერებისთვის, ისე, რომ ეს რუსეთის ან ჩინეთის საწინააღმდეგო აქტად არ აღიქვან. იაპონიას ორივესთან ტერიტორიული დავა აქვს, თუმცა მათი სამხედრო გადაწყვეტის შესაძლებლობა ადრე სერიოზულად არ განიხილებოდა, მხარეთა სხვადასხვა «წონითი კატეგორიების» გამო. მაგრამ, თუ იაპონიის შეიარაღებული ძალები გაძლიერდება და დაახლოებით იმავე მოცულობის ბირთვულ არსენალს შექმნის, როგორიც ჩინეთს გააჩნია, ვაშინგტონს შესაძლებლობა მიეცემა, ამ სპექტაკლის მეორე აქტი გაითამაშოს**

**ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ იაპონია რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდება, რადგან ბირთვული იარაღი არ გააჩნია. ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ იაპონიას ბირთვული იარაღის შექმნა ძალიან სწრაფად შეუძლია. მის განკარგულებაშია 9 ტონა შესაბამისი კონდიციის პლუტონიუმი და 1,2 ტონა გამდიდრებული ურანი. ეს მხოლოდ იაპონიის ტერიტორიაზე. ხოლო 35 ტონა იაპონური პლუტონიუმი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საცავებში ინახება.** ახალი რეაქტორი როკაშოში წლიურად 8 ათასამდე ტონა პლუტონიუმს გამოიმუშავებს; უხეშად რომ ვთქვათ, ეს ათასი ჰიროსიმის ტოლფასია. **იაპონიას გააჩნია შესანიშნავი სამეცნიერო და სამრეწველო ბაზა იმისთვის, რომ სწრაფად შექმნას არა მხოლოდ ბირთვული ქობინების შთამბეჭდავი მარაგი, არამედ რაკეტები მათთვის.**

საგულისხმოა, რომ მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში ბოლო დროს დამკვიდრდა მოსაზრება, რომ აშშ-ის „ბირთვული ქოლგა“ საკმარისი არაა და იაპონიას საკუთარი ბირთვული ძალები უნდა გააჩნდეს. თავდაცვის ყოფილი მინისტრი სიგერუ ისიბა, როემლიც სინძო აბეს ერთ-ერთ შესაძლო შემცვლელად განიხილება, აცხადებს: „ჩვენი კომერციული ბირთვული რეაქტორები უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ისინი ბირთვული ქობინების სწრაფი შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს“.

2006 წელს იაპონიის მთავრობის მიერ მომზადებული მოხსენების თანახმად, იაპონიას ბირთვული შეიარაღების შესაქმნელად 3-5 წელიწადი და 1,8-2,7 მილიარდი დოლარი დასჭირდება, რაც საგრძნობი, თუმცა არა წარმოუდგენელი ხარჯია.

იაპონიის პირველი პრემიერმინისტრი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ქვეყანას „თავდაცვითი ბირთვული იარაღი“ უნდა ჰქონდეს, **ნობოსუკე კისი** გახლდათ (პოსტს 1957-60 წლებში იკავებდა). ამჟამინდელი პრემიერი **სინძო აბე** მისი ღვიძლი შვილიშვილია, რომელიც თავს კისის პოლიტიკურ მემკვიდრედ მიიჩნევს. ის აცხადებს, რომ სურს, ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში, რათა შეიარაღებული ძალებისთვის უფრო მყარი იურიდიული სტატუსი შექმნას. სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, რომ იაპონელების უმრავლესობა მის მოსაზრებას იზიარებს. **ვერ ვიტყვით, რომ იაპონია მილიტარისტულმა ფსიქოზმა მოიცვა, მაგრამ საქმე ისაა, რომ იაპონელების ნაწილი სადავო საკონსტიტუციო ნორმას მაინც სუვერენიტეტის შეზღუდვად, ეროვნული ღირსებისთვის შეურაცხმყოფელ ფაქტორად აღიქვამს. არიან ისეთებიც, ვინც იზიარებს მთავრობის არგუმენტებს ჩრდილოკორეული საფრთხის თაობაზე და ჯარის გაძლიერებას მხარს ამიტომ უჭერს.**

ამა წლის 17 მარტს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა არ გამორიცხა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული საფრთხის გამო იაპონიასა და სამხრეთ კორეას შეიძლება საკუთარი ბირთვული იარაღი გაუჩნდეს. ზოგიერთმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ ეს პეკინზე ზეწოლის პოლიტიკის ნაწილია, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ეს უფრო რთული თამაშის ნაწილი იყო.

**ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ქმნის საუცხოო საბაბს იაპონიის არმიისა და ფლოტის გაძლიერებისთვის, ისე, რომ ეს რუსეთის ან ჩინეთის საწინააღმდეგო აქტად არ აღიქვან. იაპონიას ორივესთან ტერიტორიული დავა აქვს, თუმცა მათი სამხედრო გადაწყვეტის შესაძლებლობა ადრე სერიოზულად არ განიხილებოდა, მხარეთა სხვადასხვა „წონითი კატეგორიების“ გამო. მაგრამ, თუ იაპონიის შეიარაღებული ძალები გაძლიერდება და დაახლოებით იმავე მოცულობის ბირთვულ არსენალს შექმნის, როგორიც ჩინეთს გააჩნია, ვაშინგტონს შესაძლებლობა მიეცემა, ამ სპექტაკლის მეორე აქტი გაითამაშოს.**

ასი წლის წინათ დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო თავისი აზიური მოკავშირის, იაპონიის იმპერიის გამოკვება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენა. იაპონიას მაშინ გაცილებით ნაკლები რესურსი ჰქონდა, ვიდრე რუსეთს, მაგრამ მისი ძალები კონცენტრირებული იყო, რუსეთის კი (ან თუნდაც ჩინეთის, იაპონიასთან 1894-95 წლების ომის დროს) უზარმაზარ სივრცეზე მიმოფანტული. იაპონიის სტრატეგია ეფუძნებოდა რეგიონში მოწინააღმდეგის მცირე ძალების დამარცხების იდეას, მანამ, სანამ მათი გაძლიერება მოხერხდებოდა. ეს ექსპერიმენტი ბრიტანელებისთვის ცუდად დასრულდა — დრაკონის მოთვინიერება ვერ მოხერდა, ორმოციან წლებში იაპონია თავს დაესხა ყოფილ მოკავშირეს და, მასთან ერთად, აშშ-ს, აიღო სინგაპური, დაბომბა პერლ-ჰარბორი და მის დასამარცხებლად მოკავშირეებს დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდათ. ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლა, თუმცა სტრატეგიული ჩანაფიქრი, როგორც ჩანს, იგივე დარჩა — სწრაფი, მოულოდნელი შეტევა და სადავო ტერიტორიების დაკავება, მანამ, სანამ მოწინააღმდეგე ძალთა მობილიზებას მოახდენს. ერთადერთი არსებითი განსხვავება ასი წლის წინანდელი სიტუციისგან ბირთვული შეიარაღების ფაქტორია და სწორედ მის გარშემო მიმდინარეობს ახლა რთული თამაში, რომელიც მოაგონებს ჭადრაკს ოთხი მოთამაშის (აშშ, იაპონია, რუსეთი, ჩინეთი) მონაწილეობით.

დღეს შეუძლებელია იმის თქმა, რომ იაპონელები „მუშტებზე იყურებიან“. მათი პოტენციური მოწინააღმდეგეები ძალზე ძლიერები არიან, ამასთანავე, მეორე მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, ერი მართალაც სხვანაირად უდგება ომისა და მშვიდობის პრობლემას და თავის შესაძლებლობებსაც გაცილებით რეალისტურად აფასებს. მაგრამ, ამავე დროს, იაპონელების ეროვნულ ხასიათში არის ძნელად გასაშიფრი ფაქტორები, რომლებმაც მათ შეიძლება სიფრთხილე დაავიწყოს. ცნობილი ფრაზა „თბილისის „აგდებას“ რა უნდა“ სავსებით სამართლიანია ტოკიოს მიმართაც. ამგვარად, ამერიკელები, საჭიროების შემთხვევაში, სავარაუდოდ, მოახერხებენ, იაპონიაში აგრესიული მილიტარისტული სულისკვეთება გააძლიერონ. იმედია, მათ კარგად ახსოვთ, რით დასრულდა დრაკონის მოთვინიერების წინა მცდელობა.

**დღეს შეუძლებელია იმის თქმა, რომ იაპონელები «მუშტებზე იყურებიან», მაგრამ ცნობილი ფრაზა «თბილისის «აგდებას» რა უნდა» სავსებით სამართლიანია ტოკიოს მიმართაც**

**ლუკა ნემსაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ევროსტანდარტებზე“ რომ გადავდივართ ყველაფერში ვითომ, მოქალაქეთა მომსახურებასა და სერვისებში როდემდე უნდა დავრჩეთ ჯუნგლის დონეზე? იქამდე, სანამ შევარდნაძის სიძის გაუმაძღარი კუჭი არ გასკდება?**

**საქართველოში დღეს „უფლებადამცველთა“ ბუმია. ვის უფლებებს აღარ „იცავენ“ — დაწყებული „ქალთა უფლებების“, ცხოველთა და უკვე, მგონი, მწერთა და გადაშენებულ დინოზავრთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებიც კი ჩამოყალიბდა. მოდის და მოდის გრანტები, ტრანშები თუ სხვა ტიპის დაფინანსება ხშირად მათი უფლებების დასაცავადაც, ვისაც, საერთოდ, არანაირი დაცვა არ სჭირდება. მაგალითად, ქალების უმეტესობა იხვეწება, — დაგვანებეთ თავი, არანაირი არასამთავრობო ორგანიზაციების დაცვა ჩვენ არ გვჭირდება, უთქვენოდაც გადასარევად ვიცავთ თავსო. მაგრამ, არა! გინდა თუ არა, ჩვენ უნდა დაგიცვათო, — ჯიუტად აუჩემებიათ „უფლებადამცველებს“ და არაფრისდიდებით არ სურთ მსუყე გრანტების ხელიდან გაშვება. იქ კი, სადაც რეალურად არის დასაცავი ადამიანის უფლებები, არანაირი გრანტი არ მოდის უცხოეთიდან და, შესაბამისად, არც არავინ ფიქრობს ადამიანების უფლებების დაცვაზე.**

# შევარდნაძის სიძის თაღლითობა თუ «მაგთიკომის» გაუმაძღრობა?

ადამიანის უპირველესი უფლება სწორედ ის არის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ისეთი გარემო, რომელშიც მოქალაქეს საკუთარ ნაშრომს, ნაოფლარს არავინ მოჰპარავს. არადა, ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც არათუ წვრილმანი თაღლითები, არამედ ქვეყნის ერთ-ერთი დიდი და პრესტიჟული კომპანია, რომელიც საკუთარ თავს „ფიჭური კავშირგაბმულობის ნომერ პირველ ოპერატორს“ უწოდებს, თავის მომხმარებელს უნამუსოდ და უკანონოდ „ახევს“ თანხებს და თანაც ისე, რომ სანაცვლოდ არავითარ მომსახურებას არ უწევს მათ, მეტიც — ხმასაც არ სცემს!

ამ დღეებში ყველა იმ ადამიანს, რომლებიც „კავკასუს ონლაინის“ ინტერნეტმომსახურებით სარგებლობდა და ტექნიკური შეფერხებისას ან რაიმე ინფორმაციის მისაღებად რეკავდა ნომერზე 220 00 00, დაეგზავნათ ამ შინაარსის შეტყობინება; „ამიერიდან, ინტერნეტის ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, ნაცვლად 220 00 00-ისა, დარეკეთ ნომერზე 110011“. ამ ეს-ემ-ეს-ის გამომგზავნია კომპანია „მაგთიკომი“, რომელმაც ბოლო პერიოდში გადაწყვიტა, მონოპოლია დაეწესებინა ინტერნეტპროვაიდერების ბაზარზე და ჯერ „კავკასუს-ონლაინი“ შეისყიდა, ახლა კი — „დელტაკომიც“, რომელიც შედარებით პატარა კომპანია იყო, მაგრამ თბილისის ზოგიერთ უბანში მხოლოდ მას ჰქონდა მიყვანილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „მაგთიკომის“ მომხმარებელმა ეს ეს-ემ-ეს-ები ისე გაიგო, რომ ნომერი 220 00 00 (რომელიც ადრე „კავკასუს ონლაინს“ ეკუთვნოდა) აღარ არსებობს და ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაერეკა ნომერზე 110011 (რომელიც აქამდე „დელტა-კომის“ ნომერი იყო). მე, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, წყალივით მჭირდება სწრაფი ინტერნეტი და ამიტომ, ორ მისამართზე, სადაც ბოლო პერიოდში მიწევდა ყოფნა, გახლდით სწორედ „მაგთიკომის“ ინტერნეტისა და ტელევიზიის აბონენტი, თანაც არა შეღავათიანი, არამედ კაი მოზრდილი პაკეტებით მოსარგებლე და „მაგთის“ ჩემგან 100-ზე მეტი ლარი შესდიოდა ყოველთვიურად.

ამ ყოველივეზე წარსულ დროში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ გასულ კვირაში კატეგორიულად (ვაღიარებ, უხამსი ფორმითაც კი) მოვითხოვე ჩემს ორივე მისამართზე „მაგთიკომის“ სერვისების სასწრაფოდ გაუქმება.

საქმე ის არის, რომ ლამის სტუდენტობის წლებიდან „ჯეოსელში“ ჩართული მობილური სიმ-ბარათით ვსარგებლობ, რომლის ნომერიც ჩემი დაბადების თარიღია და არც ვაპირებ ამ სიმ-ბარათის შეცვლას სიცოცხლის ბოლომდე. ჰოდა, როდესაც ერთ-ერთ მისამართზე „მაგთიკომის“ ინტერნეტს გარკვეული ტექნიკური შეფერხება ჰქონდა, ავდექი და, როგორც მორჩილმა აბონენტმა, დავიწყე რეკვა ნომერზე 110011. დიახ, „რეკვა დავიწყე“ და არა — „დავრეკე“, რადგან, მართლაც მორჩილად, 4 დღის განმავლობაში ვცდილობდი 110011-ზე დარეკვას და, თქვენც არ მომიკვდეთ, დამატებით კოდზე (232), სადაც, წესით, „მაგთის“ ტექნიკურ ჯგუფს უნდა გაეცა პასუხი, 4 დღის განმავლობაში რაღაც სულელურ მუსიკას მასმენინებდნენ. კარგი, ბატონო, 4 დღე თუნდაც ცუდად არანჟირებულ მუსიკას მოუსმენს კაცი, ინტერნეტის ტექნიკურ შეფერხებასაც აიტანს, დაკარგულ დროსაც შეეგუება, მაგრამ ის მუსიკაც უცებ რომ შეწყდება, ისევ ცდილობ დარეკვას და, საერთოდ, ვეღარ რეკავ, თანაც, უცებ ეს-ემ-ეს-იც მოგივა: „თქვენი ნომერი ცალმხრივად გამორთულია ბალანსის ამოწურვის გამო“-ო, მიპასუხეთ, როგორ განწყობაზე დადგებით? მით უმეტეს, როდესაც მობილურის ბალანსზე 10 ლარამდე თანხა გქონდათ, რაც „ჯეოსელის“ ტარიფებით არც ისე ცოტა წუთს ნიშნავს?! მგონი, მიხვდით რაც ხდება. გაირკვა, რომ **„მაგთიკომის“ ტექნიკური სამსახურის მიერ ყურმილის არ აღება სულაც არ არის მათი და მათი ოპერატორების სიზარმაცის ან მოუცლელობის ბრალი. სინამდვილეში, ნომერი 110011 არათუ აქტიურ რეჟიმში, არამედ „მოლოდინის რეჟიმშიც“ კი ფასიანია და უაზრო მუსიკის მოსმენაში აბონენტი ფულს იხდის.** როგორც ჩანს, სიძემ **ედუარდ შევარდნაძისა**, რომლის ოჯახის წევრებმაც უკვე გვარიანად გაყვლიფეს საქართველო, თავისებურად გაიგო



**«მაგთიკომის» ტექნიკური სამსახურის მიერ ყურმილის არ აღება სულაც არ არის მათი და მათი ოპერატორების სიზარმაცის ან მოუცლელობის ბრალი. სინამდვილეში, ნომერი 110011 არათუ აქტიურ რეჟიმში, არამედ «მოლოდინის რეჟიმშიც» კი ფასიანია და იმ უაზრო მუსიკის მოსმენაში აბონენტი ფულს იხდის. როგორც ჩანს, სიძემ ედუარდ შევარდნაძისა, რომლის ოჯახის წევრებმაც უკვე გვარიანად გაყვლიფეს საქართველო, თავისებურად გაიგო ძველი გამოთქმა: «დუმილი ოქროა» და საკუთარი კომპანიის დუმილშიც კი მოქალაქეებს «ოქროს ართმევს», ანუ ფულს ახდევინებს**

ძველი გამოთქმა „დუმილი ოქროა“ და თავისი კომპანიის დუმილშიც კი მოქალაქეებს „ოქროს ართმევს“, ანუ ფულს ახდევინებს.

არავინ იფიქროს, რომ შარზე ვარ ან აბონენტთა ფასიანი მომსახურების წინააღმდეგი, მით უმეტეს, როდესაც „ჯეოსელის“ ნომრით ვრეკავ „მაგთის“ მომსახურების ოფისში. კი, ბატონო, გამომართვი ფული, მაგრამ მომემსახურე და ისე! როგორ, განა მომსახურების გაუწევლობა და პასუხის გაუცემლობაც ფული უნდა ღირდეს?! **ეს არ არის თაღლითობა და მოქალაქეების უფლებების დარღვევა? ამას არ უნდა აქცევდეს ყურადღებას შესაბამისი მარეგულირებელი კომისია?**



ეს იგივეა, „მერსედესის“ ავტომანქანით „ბე-ემ-ვეს“ მომსახურების ცენტრში მივიდე და არ მომემსახურონ, ყურადღებაც არ მომაქციონ, მაგრამ, როდესაც ჩემს მანქანაში ჩაჯდომას და შინ წასვლას გადავწყვეტ, არგაწეულ მომსახურეობაში თანხის გადახდა მომთხოვონ.

ვისაც არ ესმის ან არ სურს, გაიგოს, კიდევ უფრო მარტივად ავუხსნი — **ფასიანი მომსახურების ტარიფი შეიძლება ჩაირთოს მას შემდეგ, როცა ოპერატორი ყურმილს აიღებს და ისმენს შენ პრობლემას და გაძლევს შესაბამის რჩევებს, მითითებებს და გეხმარება ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებაში.** მაშინ, როდესაც ტექნიკური შეფერხება მათი ბრალია, ანუ მათი მიზეზით გაქვს შეზღუდული ინტერნეტის მოწოდება და ნაცვლად იმისა, რომ აქეთ მოგიბოდიშონ ან, სულაც, ჯარიმა აქეთ გადაგიხადონ, პირიქით — 4 დღის განმავლობაში გამწარებულს გარეკინონ, ყურმილიც არ აიღონ, ფეხებზე დაგიკიდონ შენ და შენი პრობლემა და ამაში კიდევ 10 ლარი გადაგახდევინონ, მიპასუხეთ, ეს სადაური ევროპაა? **„ევროსტანდარტებზე“ რომ გადავდივართ ყველაფერში ვითომ, მოქალაქეთა მომსახურებასა და სერვისებში როდემდე უნდა დავრჩეთ ჯუნგლის დონეზე? იქამდე, სანამ შევარდნაძის სიძის გაუმაძღარი კუჭი არ გასკდება?**

სხვათა შორის, აქვე მინდა ვთქვა, რომ **110011-ზე დარეკვა ქალაქის ნომრებიდანაც ფასიანია და წარმოიდგინეთ, რამდენ მოქალაქეს რა რაოდენობის თანხა „აახია“ შევარდნაძის სიძემ და რამდენი მილიონით გაამდიდრა მაგთიკომი ამ „აფერამ“.**

„მაგთის“ „სანაქებოდ“ უნდა ითქვას, რომ ოპერატორებადაც კაი გაქნილი თაღლითები ჰყავს აყვანილი. მაგალითად, როდესაც მეოთხე დღესაც არ მიპასუხა 110011-მა, ვიფიქრე, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი და ისევ ძველ, ნაცად 220 00 00-ზე, „ახალი აბონენტების რეგისტრაციის“ სერვისზე (დამატებითი კოდი 231) დავრეკე „მაგთიში“. ახალი აბონენტის დათრევის შანსს ხელიდან ხომ არ გაუშვებენ და აქ უმალ მიპასუხა ოპერატორმა გოგონამ, რომელსაც საკმაოდ მკაცრად მოვთხოვე პასუხი იმისთვის, რომ, მეოთხე დღეა, ტექნიკურთან დაკავშირებას ვცდილობ და ვერ დავუკავშირდი. „ბოდიში, ბატონო, ბევრი რეკავს ტექნიკურ დაზიანებაზე, ამ წუთში მოლოდინის რეჟიმი 6 წუთია, თუ გნებავთ, შეგაერთებთ და დაელოდეთ“, — მიპასუხა მომხიბლავი ხმით. გადართვის შემდეგ 12 წუთს ველოდები, ბოლოს ამ დებილური მუსიკის მოსასმენად ნერვი აღარ მყოფნის და ისევ „ახალ აბონენტებში“ ვრეკავ. „ბატონო, ამჯერად მოლოდინის რეჟიმი შემცირებულია 4 წუთამდე, თუ გნებავთ, გადაგრთავთ ტექნიკურ სამსახურთან და დაელოდეთ“, — ახლა უკვე სხვა მომხიბლავმა ხმამ მიპასუხა...

**და წარმოიდგინეთ, ამ გაქნილი თაღლითი ოპერატორების მიერ იმედმიცემული რამდენი აბონენტი ელოდება ტექნიკური სამსახურის მიერ ყურმილის აღებას 4 წუთს, 6 წუთს, 12 წუთს. და რამდენი მილიონი ილექება გაუმაძღარი მაგთიკომის ჯიბეში...**

სხვათა შორის, როდესაც ჩემთან მეორე მისამართზე უნაზესი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი ყოველგვარი დამცავის გარეშე პირდაპირ გარე განათების ბოძებზე მიახლართეს, ვკითხე, — ასე საშიში ხომ არ არის, რომ დაზიანდეს-მეთქი? ღიმილით ▶

**წარმოიდგინეთ, ამ გაქნილი თაღლითი ოპერატორების მიერ იმედმიცემული რამდენი აბონენტი ელოდება ტექნიკური სამსახურის მიერ ყურმილის აღებას 4 წუთს, 6 წუთს, 12 წუთს. და რამდენი მილიონი ილექება გაუმაძღარი მაგთიკომის ჯიბეში...**

**როგორც ჩანს, ერთი ადამიანის სიკვდილი და ექვსის სასწაულით გადარჩენა არ კმარა იმისთვის, რომ მივხვდეთ, ნარკოტიკების თავისუფლად მოხმარების დაშვება მომავალი თაობისთვის საკონტროლო გასროლის ტოლფასი იქნება. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, განსაკუთრებით საწყის წლებში, ნარკოტიკი პრაქტიკულად ლეგალიზებული იყო, რადგან ყველგან იყიდებოდა და ნახევარი საქართველო წამალზე „იჯდა“. რა მივიღეთ ამ ყველაფრისგან, თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ: გადაგვარებული ერი, წამლის ფულის გამო დახოცილი ახალგაზრდები, კაიფში გაპარული ბიჭები და ასევე კაიფში გარდაცვლილი ახალგაზრდა გოგოები.**

**თ, დრონი, თ, ზნეობანი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მიპასუხეს, — თუ დაზიანდება, დარეკე და მოვალთო. კი გამიკვირდა, მაგრამ, ახლა ვხვდები, — ნებისმიერი დაზიანება მათთვის სარგებლიანია და ფეხებზე არ ჰკიდიათ? პირიქით, შეიძლება განგებაც დააზიანონ, მერე „ყურმილის არაღების მეთოდით“ იმაზე ათჯერ მეტი ფული რომ „აგახიონ“, ვიდრე პაკეტის ჩართვისას „შეღავათი“ გაგიწიეს!

ასე რომ, დროა, დავფიქრდეთ, **არის კი „მაგთის შეღავათიანი პაკეტები“ რეალურად შეღავათიანი?**

და, რაც მთავარია, შეიძლება სხვა ნებისმიერი მომსახურება იყოს ფასიანი, მაგრამ არამც და არამც ტექნიკური კონსულტაცია! რადგან ტექნიური შეფერხება გამოწვეულია კომპანიის მიზეზით და არ შეიძლება, ამის გამოსწორებაში ან კომპანიამდე ინფორმაციის მიტანაში, რომ ამა და ამ აბონენტს აქვს ტექნიკური შეფერხება, ფული იყოს გადასახდელი. პირიქით — ასეთ შემთხვევაში, კომპანია იქით უნდა უხდიდეს აბონენტს მადლობასაც, ბოდიშსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯარიმის სახით, ფულსაც!

თუ არადა, მაშინ ავტომოპასუხის სტანდარტული ფრაზა — „აბონენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, თქვენი საუბარი ოპერატორთან იწერება“ — უნდა შეცვალონ და გადააკეთონ ასე — **„აბონენტთა გაყვლეფის მიზნით, თქვენი საუბარი ოპერატორთან საერთოდ არ გაიმართება, უსმინეთ მუსიკას, სანამ ფული გეყოფათ!“**

დასასრულ, „მაგთიმ“ აბონენტის მიერ სერვისებზე უარის თქმის შემთხვევაში, მომსახურების გათიშვის მხრივაც შესაშური „ნიჭი“ გამოავლინა. **მას შემდეგ, რაც კატეგორიული უარი ვთქვი „მაგთის“ მომსახურებაზე, გაუფრთხილებლად გამომირთეს ინტერნეტი და ტელევიზია ორივე მისამართზე, ისე, რომ ჩემი თანხა, რომელიც წინასწარ მქონდა შეტანილი, ამოწურული არ იყო.**

ცივილიზებულ ქვეყნებში, ასეთ შემთხვევაში, კომპანია განაგრძობს მომსახურებას შეტანილი თანხის ამოწურვამდე და შემდეგ აღარ აგრძელებს კონტრაქტს. აი „მაგთი“ კი აქაც თავისებურად ფიქრობს: თუკი ამ კონკრეტულ აბონენტს ველარ გაყვლეფ, რაღა აზრი აქვს მისთვის ინტერნეტმომსახურების თუნდაც წინასწარ შეტანილი თანხის ამოწურვამდე გაგრძელებას? ადექი და მიათშე, რაღა!

აქვე, მინდა „მაგთიკომის“ წარმომადგენლებს მივმართო: უკვე ერთი კვირაა, ორივე მისამართზე გამითიშეთ სერვისები. თქვენი კუთვნილი აპარატურა კი ჯერ არავის წაუღია. მე თქვენნაირი მათხოვარი და ყაჩაღი კომპანიის აპარატურის დარაჯი ვერ ვიქნები უსასრულოდ. საჯაროდ, გაზეთის საშუალებით გიცხადებთ: ხვალაც თუ არავინ მოვა ამ აპარატურის წასაღებად, პასუხს აღარ ვაგებ იმაზე, რომ თქვენი „დეკოდერები“ და „ჰაბები“ ნაგვის ურნაში არ აღმოჩნდება, ისევე, როგორც **ჩემთვის უკვე მთელი თქვენი მათხოვარი კომპანიაა ნაგვის ურნაში!**

# ლეგალიზებული სიკვდილი

**სამი წლის წინათ, 2014 წელს, ანაკლიაში ე.წ. კაზანტიპის რესპუბლიკის დღეობა თუ ღრეობა აღვნიშნეთ და ისედაც დანაწევრებული ქვეყანა ერთი თვის განმავლობაში არაოფიციალურად, მაგრამ დავანაწევრეთ და თავშესაფარი სწორედ „კაზანტიპის რესპუბლიკას“ მივეცით. რეალურად კი ეს იყო გარყვნილების პიკი. დავადასტურეთ, რომ ყოველგვარი გარყვნილება ჩვენთვის მისაღებია და მერე რა, რომ ფრაზა „ქართველობას ვკარგავთ“ უკვე გაიცვითა და სალადაოც კი შეიქნა. მთავარი იყო ის, რომ 2014 წელს ანაკლიაში ნახევრად ან მთლიანად შიშველს გაგევლო, მერე კი ფოტო სოციალურ ქსელი აგეტვირთა და მაგარი ტიპი იყავი.**

**ის ზღაპარი თუ გახსოვთ, ბავშვი რომ იყვირებს, „მეფე შიშველია“... სწორედ ასე იყო მაშინაც, სიშიშვლე კარგ ტონად მიიჩნეოდა და მხოლოდ ბავშვი თუ იყვირებდა, შიშველიაო, თორემ ზრდასრულს რომ ეთქვა, გოიმად ჩათვლიდნენ...**



ახლა კი იგივე ანაკლია, იმავე ადგილზე ე.წ. ჯემ-ფესტს მასპინძლობს. 24 საათის განმავლობაში მუსიკა ისმის და 24 საათის განმავლობაში ნებისმიერს, ვინც ფესტივალის ტერიტორიაზე მოხვდება, შეუძლია „იძიგძიგოს...“ ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ ფესტივალზე ძალიან დიდი რაოდენობით იქნებოდა ნარკოტიკი, თავიდანვე იყო, მაგრამ ფესტივალის ორგანიზატორმა **გიორგი სიგუამ** ხელები შინაგან საქმეთა სამინისტროს შეაწმინდა — აგერ ხართ, კეთილი ინებეთ და უზრუნველყავით, რომ ნარკოტიკი ფესტივალის ტერიტორიაზე არ მოხვდესო. შსს-მაც ამოაცვა პატრულის თანამრომლებს შორტები (ზღვისპირსა და ფესტივალს ხომ უნდა აჰყოლოდნენ) და ასე, შორტებიან-კეპკიანი პოლიციელები 24 საათის განმავლობაში პატრულირებენ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა (სწორედ უმრავლესობა და ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ) მარიხუანით, ბიოთი ან სხვა ნარკოტიკული საშუალებებით გაბრუებული დადის. ეს ყველაფერი კი დიდი ტრაგედიით დასრულდა — 4 აგვისტოს, გამთენიისას, ანაკლიაში 22 წლის **ნათია თავართქილაძე** გარდაიცვალა. ექიმების დასკვნით, მას ე.წ. ბიო ჰქონდა მიღებული და სიკვდილის მიზეზიც ეს იყო. სიმართლე გითხრათ, ამ ფაქტის შემდეგ **გვეგონა, რომ შსს მოითხოვდა ფესტივალის დახურვას ან კონტროლს გაამკაცრებდა, ან რაიმე პრევენციულ ღონისძიებებს დაგეგმავდა, მაგრამ მწარედ შევცდით. მომხდარიდან ერთ დღეში ზუგდიდის საავადმყოფოში მწვავე ინტოქსიკაციით კიდევ ექვსი ახალგაზრდა შეიყვანეს, თუმცა ამჯერად, საბედნიეროდ, გადავრჩით — ექვსივეს უმკურნალეს და შინ გაუშვეს.**

„ექიმები მზად არ აღმოჩდნენ ამ ნარკოტიკისთვის, ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა“, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრი ხმაურის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით სუბელიანმა.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, რატომ უნდა სცოდნოდათ ექიმებს ბიონარკოტიკის შემადგენლობა, რომელსაც ძლიერი ზემოქმედებისთვის ათას რაღაცას ურევენ მომხმარებლები — ბენზინსა და ტუალეტების საწმენდს, ე.წ. კროტით დაწყებული, ქიმიური ელემენტებით დამთავრებული და, შესაბამისად, პრაქტიკულად ყველა ბიონარკოტიკი სხვადასხვა შემცველობისაა. ახალგაზრდა გოგონას გარდაცვალების მიუხედავად, არასამთავრობოები კატეგორიულად მოითხოვენ ნარკოტიკების ლეგალიზაციას, მეტიც: მათ სურთ, პარლამენტმა რიგგარეშე სხდომა მოიწვიოს ამ თემაზე სამსჯელოდ. ანუ, ახლა, როცა ოდნავი თავისუფლება მოიპოვეს, ახალგაზრდებმა აიშვეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით... და, ნარკოტიკების ლეგალიზაცია რა შედეგამდე მიგვიყვანს, არავინ იცის.

„ხომ ხედავთ, რას აკეთებს პოლიცია? ისინი ეძებენ, ვის უდევს ნარკოტიკი ჯიბეში, რათა მერე დაიჭირონ და ციხეში ჩასვან. ნარკოტიკი ლეგალიზებული რომ იყოს, პოლიცია მხოლოდ წესრიგის დაცვაზე გააკეთებდა აქცენტს და უფრო მშვიდად იქნებოდა ყველა. ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ, პარლამენტის რიგგარეშე სესია ჩატარდეს და არამხოლოდ მარიხუანის, არამედ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზება მოხდეს“, — ეს განცხადებაც სუბელიანისაა.

აქ მხოლოდ იმის დასკვნა, რომ სუბელიანს კაიფი უნდა და ამ ყველაფრის „გაპრავება“ სურს, სისულელეა. არასამთავრობოები ამტკიცებენ, რომ ნარკოტიკი კარგია, რომ ცხოვრებას ლამაზ ფერებში გიჩვენებს და, რაც ყველაზე საინტერესოა, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ნათია თავართქილაძის ფოტოს საინტერესო კომენტარები აქვს. **ახალგაზრდები წერენ, რომ თურმე 22 წლის ბავშვი ბედნიერი მოკვდა. გესმით ხომ, სადამდე მივედით?! ნარკოტიკით სიკვდილი თურმე ბედნიერებაა და ხელისუფლება ამ ბედნიერებას უკრძალავს ხალხს.**

როგორც ჩანს, ახალგაზრდების აღტყინების სათავისოდ გამოყენებას აპირებს ოპოზიცია.

„ჩვენ წავიკითხეთ არასამთავრობოების მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ნარკოტიკების ლეგალიზაციას ეხება, და ეს პროექტი არის ძალიან დახვეწილი და პრაქტიკულად ხარვეზების გარეშე. ჩვენი პარტია მზად არის, რიგგარეშე სხდომის მოწვევას მხარი დაუჭიროს და ამ თემაზე ვიმსჯელოთ. საბოლოოდ ხომ უნდა მივიდეთ იქამდე, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია მოხდეს“, — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ნიკა რურუამ.**

**როგორც ჩანს, ერთი ადამიანის სიკვდილი და ექვსის სასწაულით გადარჩენა არ კმარა იმისთვის, რომ მივხვდეთ, ნარკოტიკების თავისუფლად მოხმარების დაშვება მომავალი თაობისთვის საკონტროლო გასროლის ტოლფასი იქნება. ედუარდ შევარდნაძის** პრეზიდენტობის პერიოდში, განსაკუთრებით საწყის წლებში, ნარკოტიკი პრაქტიკულად ლეგალიზებული იყო, რადგან ყველგან იყიდებოდა და ნახევარი საქართველო წამალზე „იჯდა“. რა მივიღეთ ამ ყველაფრისგან, თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ: გადაგვარებული ერი, წამლის ფულის გამო დახოცილი ახალგაზრდები, კაიფში გაპარული ბიჭები და ასევე კაიფში გარდაცვლილი ახალგაზრდა გოგოები. მაშინ ნარკომანობა „კაი ტიპობად“ ითვლებოდა და ნარკომანი „მაგარი კაცი“ იყო. ეს მოგვიტანა სრულმა თავისუფლებამ და მერე რა, თუ რამდენიმე ასეული ახალგაზრდა შეეწირა ამ ყველაფერს...

ახლაც ანალოგიურ ვითარებაში ვართ, ახლაც იმ უფსკრულის პირას ვდგავართ, 1990-იან წლებში რომ ვიდექით, და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ, ნარკოტიკების ლეგალიზაციის ფონზე, დღევანდელი თაობის დიდი ნაწილი სასიკვდილოდ გავიმეტოთ. სხვათა შორის, **ნარკოტიკების ლეგალიზაციას არც ევროკავშირი გვთხოვს და არც ამერიკა. ეს იმ დონორების მოთხოვნაა, რომლებიც საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ და მიზნად ერის გადაგვარება, გადაშენება აქვთ დასახული.** შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ყველგან უხილავი მტერი გველანდება, მაგრამ **ქართული არასამთავრობოების ერთ-ერთმა მთავარმა დონორმა ჯორჯ სოროსმა იმდენი მოახერხა, რომ აფრიკის ბევრ ქვეყანაში ნარკოტიკებით, პროსტიტუციითა და იარაღის გაყიდვით მოსახლეობა გაანახევრა, ახალგაზრდებს მომავალი დაუკარგა და ახლა იქ 10 წლის მეძავიც და 10 წლის მეომარიც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია.**

ახლა არ თქვათ, საქართველოში ამას ვერ შეძლებენო. **საქართველოში მოახერხეს ის, რომ ერთმანეთი დახოცეთ; საქართველოში მოახერხეს ის, რომ ხელისუფლებას ერი ჯერ კრიმინალად გამოაცხადებინეს, მერე გააუპატიურებინეს; საქართველოში მოახერხეს ის, რომ შიმშილობის ზღვრამდე მისულ მოსახლეობას ცხენის საკვებს აჭმევდნენ და რატომ გგონიათ, რომ ამას ვერ მოახერხებენ?!** პროსტიტუციის ლეგალიზებას არ ითხოვენ არასამთავრობოები თუ... იარაღის ტარების უფლება ვისაც აქვს, კი დადის იარაღით და ამბობს, რომ დამჭირდეს, გავისვრი კიდეცო. გაიხსენეთ, რომელი იარაღით იყო მისული პარლამენტარი **ოთარ კახიძე** აქციაზე (თანაც მის მიერვე დაანონსებულსა და თანაც მშვიდობიანზე) და როგორ თქვა შემდგომ, აგრესიული რომ ყოფილიყო ვინმე, მისგან უნდა დამეცვა თავიო. იარაღით თავდაცვა, სროლის გარდა, სხვა რამეს თუ ნიშნავს, ნამდვილად არ ვიცი.

**„ჯემ-ფესტი“ იყო ნარკოტიკების შესაძლო ლეგალიზაციის ტესტი, რომელიც ვერ ჩავაბარეთ და ვერც ჩავაბარებდით. შანსი იმისა, რომ ნარკოტიკი ვინმეს თავისუფლად მოეხმარა, სწორედ ამ ფესტივალზე იყო და მივიღეთ სამწუხარო შედეგი, თუმცა ეს ყველაფერი არ არის — ფესტივალი გრძელდება, არასამთავრობოები კატეგორიულად ითხოვენ ნარკოტიკების ლეგალიზაციას და...**

ანაკლიაში „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის აქტივისტიც დააკავეს. **ბაქარ ყურშიას** ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა ბრალდება.

„დღევანდელი კანონმდებლობით, ნარკოტიკული საშუალების შეძენა, ფლობა არის სისხლის სამართლის დანაშაული. სახელმწიფო თავის კანონს ასრულებს, მაგრამ ეს არ უწყობს ხელს ტურიზმის ან საფესტივალო ბიზნესის განვითარებას, იმიტომ, რომ ადამიანები, თუკი შეშინებული იქნებიან, რომ ფესტივალის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ შეიძლება პოლიცია უდარაჯებდეს და აკავებდეს, ალბათ, არ მოისურვებენ ამ ფესტივალზე მისვლას“, — განაცხადა დაკავებულის მეგობარმა და „თანაენჯეოელმა“ დავით სუბელიანმა.



ყურშიამ კი დანაშაული აღიარა და მზად არის, სასჯელიც მოიხადოს....

დასკვნის გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია.

**ბესო ბარბაქაძე**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ესენი არიან კომედიანტები, რომლებსაც არც ღმერთი სწამთ და არც არაფერი ამ ქვეყანაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ღრმად მორწმუნე ადამიანის იმიჯს იქმნიან და ხან პატრიარქის გვერდით დგანან სააღდგომო ლოცვაზე, ხან კიდევ კათოლიკებს ულოცავენ რაღაც დღესასწაულებს“.**



## მამა გიორგი (რაზმაძე):

# სააკაშვილის მანიაკური რეჟიმი წავიდა, მაგრამ მოვიდა ძალა, რომელიც სხვა მეთოდებით, უფრო შეფარულად და მუხანათურად ახორციელებს იმავე გეგმას

**რამდენიმე დღის წინათ პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ საქველმოქმედო სასტუმრო „სნოს“ გახსნაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ „საქართველოში სეკულარიზმი, თავისი კლასიკური გაგებით, უადგილოა“, „არასამთავრობო ორგანიზაციების“ მხრიდან ვაი-ვიში მოჰყვა. გნიასი, რომელიც ნეოლიბერალურმა ძალებმა ატეხეს, დღემდე არ ცხრება და, როგორც ჩანს, არც ჩაცხრება, სანამ ივანიშვილის პოლიტიკური ნაშიერი საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდის ზემოაღნიშნულ განცხადებაზე; იქამდე კი ახალ-ახალ გრანტებზე ნერწყვმომდგარი „მესამე სექტორი“ პატაკს პატაკზე გზავნის ქართულ დემოკრატიაზე გულდათუთქულ დასავლეთში. თურმე „ქოცების“ ხელისუფლება რელიგიურ დოგმებს ისე ერთგულებს, რომ ქვეყანაში თეოკრატიის გარდაუვალი „საფრთხე“ არსებობს, თურმე კვირიკაშილს სეკულარიზმი, თავისი კლასიკური გაგებით, ჭირივით სძულს და ღამე არ სძინავს იმაზე ფიქრით, როგორ აქციოს საქართველო მართლმადიდებლური დიქტატის სახელმწიფოდ... რას ნიშნავდა პრემიერის განცხადება სეკულარიზმზე, რა მიზანს ისახავდა იგი და რატომ აშფოთებთ ეს ყველაფერი „არასამთავრობო ორგანიზაციებს“, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**



**— მამაო, სასტუმრო „სნოს“ გახსნაზე პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში სეკულარიზმი, კლასიკური გაგებით, უადგილოა. თქვენ, როგორც სასულიერო პირმა, როგორ გაიგეთ ეს განცხადება? და კიდევ — მორწმუნე ხელისუფლება გვყავს?**

— პრემიერის განცხადება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, ვინაიდან ის ჩვეულებრივი პოლიტიკური შემსრულებელია და, რასაც დასავლეთი უკვეთავს, იმ ნოტებზე მღერის. ცოტა შორიდან შევხედოთ მოვლენებს — რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს დღევანდელ მსოფლიოში. დღეს ჩვენ ვუყურებთ საერთაშორისო პოლიტიკურ მასკარადს, რომლის მიღმაც დგას ორი დიდი კლანი — **როტშილდებისა** და **როკფელერების.** სწორედ ამ თამაშის ერთი ნაწილია ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი**, რომელიც ვითომ ტრადიციული ფასეულობების დამცველია და თავგანწირვით იბრძვის ამ ფასეულობების დასაცავად. აი, ზუსტად ამიტომ ილაპარაკა პრემიერმა ამერიკის ვიცეპრეზიდენტ **მაიკ პენსის** ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე სეკულარიზმის უადგილობაზე საქართველოში. ეს არის მასკარადი და პენსმა, ალბათ, პატარა ბავშვივით დამოძღვრა არა მხოლოდ კვირიკაშვილი, არამედ სრულიად პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ანუ რეალურად არაფერი შეცვლილა, **ადრე საქართველოს მართავდნენ გლობალური ძალების ერთი კლანის მიერ ხელდასხმული პოლიტიკური მარიონეტები, ახლა ამ მარიონეტებს მეორე კლანი მბრძანებლობს. ეს არის რეალობა, სხვა დანარჩენს — პრემიერმა რა განაცხადა, ეკლესიასა და მართლმადიდებლობაზე კარგი თქვა თუ ცუდი — არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; იგივე პოლიტიკა გაგრძელდება, იგივე ძალა დარჩება, რეალური ცვლილებები აქ არ მოხდება, იმიტომ, რომ ცვლილება არ მომხდარა იქ, საიდანაც ესენი იმართებიან.**

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად მორწმუნე ხელისუფლება გვყავს, ამაზე პასუხს ყველაზე უკეთ მათი საქმიანობა სცემს. **როგორ შეიძლება, მართლმადიდებელი ქრისტიანი იყოს ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც მიიღო ანტიდისკრიმიონაციული კანონი, ეწევა სოდომიის პროპაგანდას და საზოგადოებას არწმუნებს, რომ ეს ნორმალურია?! როგორ შეიძლება მორწმუნე იყოს ადამიანი, რომელმაც დააკანონა მიწის მიყიდვა უცხოელებისთვის და საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მიწა არაბებსა და თურქებს მიჰყიდა სიმბოლურ ფასად?!** როგორ შეიძლება, მორწმუნე მართლმადიდებელი იყოს კაცი, რომელსაც ერთი სული აქვს, რაც შეიძლება სწრაფად დააკანონოს გარყვნილება, იქნება ეს მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება და ქალის ქალზე თუ სხვა მსგავსი უმსგავსობა, რომელიც დასავლეთში, დიდი ხანია, ნორმადაა აღიარებული?! **ესენი არიან კომედიანტები, რომლებსაც არც ღმერთი სწამთ და არც არაფერი ამ ქვეყანაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ღრმად მორწმუნე ადამიანის იმიჯს იქმნიან და ხან პატრიარქის გვერდით დგანან სააღდგომო ლოცვაზე, ხან კიდევ კათოლიკებს ულოცავენ რაღაც დღესასწაულებს...**

**— ამბობთ, რომ კვირიკაშვილის განცხადება სეკულარიზმის უადგილობაზე პოლიტიკური თამაშია?**

— რა თქმა უნდა. და ასეთი თამაში მიდის გლობალური მასშტაბით. ასე რომ, ამან არ უნდა დაგვაბნიოს. ეს არის პოლიტიკური სპექტაკლი, როგორც ძველად იყო. ისტორიულად, როცა შიიტები და სუნიტები ხოცავდნენ ერთმანეთს, საქართველო ამოისუნთქავდა ხოლმე. დაახლოებით ასეთი პერიოდი გვაქვს დღეს — **სააკაშვილის მანიაკური რეჟიმი წავიდა, მაგრამ მოვიდა ძალა, რომელიც სხვა მეთოდებით, უფრო შეფარულად და მუხანათურად ახორციელებს იმავე გეგმას.** სამწუხაროდ, ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ თამაშის მონაწილენი ვართ...

**— მოდი, ასე მივუდგეთ საკითხს, თუ ეს ყველაფერი არის პოლიტიკური თამაში და რეალურად ამას შესაბამისი ქმედებები არ მოყვება, რა აშფოთებთ არასამთავრობო ორგანიზაციებს? სად და რაში ხედავენ ისინი თეოკრატიის საფრთხეს?**

— ცხადია, მათ კარგად იციან, რომ **ხელისუფლება, რომელიც დაკომპლექტებულია ცისფერი კომისრების მიერ გადამზადებული ყოფილი არასამთავრობოელი გრანტიჭამიებით, არანაირ თეოკრატიას ქვეყანაში არ დაუშვებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხმაურს ტეხენ.** რისთვის? — იმისთვის, რომ ხელოვნურად შექმნან საფრთხის ილუზია. არადა, **არანაირი შესაძლებლობა, არანაირი ალბათობა ამ ხელისუფლების პირობებში, რომ რელიგია, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობა, არსებითად რამის განმსაზღვრელი იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ არსებობს.** თუმცა, რატომ არის ცუდი და მიუღებელი, თუ ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკა და პოლიტიკის პრინციპები მართლმადიდებლური მოძღვრების მორალს დაეფუძნება, გაუგებარია?! კიდევ ვიმეორებ: საქართველოში მართლმადიდებლობა ყოველთვის იყო ერისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთავარი მორალური საყრდენი, მაგრამ არასდროს არავის არ სტკენია ამის გამო თავი. ამათ რატომ აიტკივეს თავი, გასაგებია — იმიტომ, რომ ულმერთო და უსამშობლო ცისფერი კომისრები კვებავენ თავიანთი მყრალი რძით.

**— მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა ახსენეთ და რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოფელ კუმისში 200 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მიჰყიდეს არაბებს. დაუზუსტებელი ცნობით, საუბარია დაახლოებით 80 ოჯახის ჩამოსახლებაზე. თქვენი აზრით, არსებობს გამოსავალი, რომ ეს პროცესი შეწყდეს? იყო საპროტესტო გამოსვლები, აქციებიც და ხელმოწერების შეგროვებაც, მაგრამ ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა.**

— მეც ვსვამ შეკითხვას: როგორ შეიძლება მორწმუნე მართლმადიდებელი ქართველი თავისი ქვეყნის მიწას არაბებზე ყიდდეს?! ჩვენი წინაპრები, ალბათ, საფლავებში ტრიალებენ. ამაზრზენია ეს ყველაფერი და ამის გამო მათ, ადრე თუ გვიან, პასუხი მოეთხოვებათ.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ვკითხავ ბატონ გიორგი კვირიკაშვილს: **ქრისტიანულ მორალში თუ ჯდება სექსუალური აღზრდის გაკვეთილები, სექტემბრიდან რომ შეგაქვთ სკოლებში?!** როგორ შეიძლება, ასეთი ხალხი სარწმუნოებაზე ლაპარაკობდეს?! ამათ ყელში ეჩხირებათ ღვთის სახელი; ეკლესია, სამღვდელოება ეჯავრებათ, რადგან სწორედ ეკლესია ამხელს და აშიშვლებს მათ შავ-ბნელ საქმეებს. ამიტომაა, რომ ყველა მხრიდან უტევენ მართლმადიდებლობას — აგინებენ, ლანძღავენ, ჩირქს სცხებენ, პარალელურად ზოგიერთი ვითომ იცავს მას და სეკულარიზმს უადგილოდ მიიჩნევს; მერე მისივე სულიერი დები და ძმები, თანამოაზრეები შეშფოთდებიან, — ეს რა თქვაო.

**— არც ისე დიდი ხნის წინათ ბევრს სჯეროდა საქართველოში, რომ ტრამპის გაპრეზიდენტება ნეოლიბერალური ტერორის ბორკილებს ახსნიდა ჩვენს ქვეყანას.**

— ყოველთვის, როცა ჩვენი ხელმძღვანელობა პოლიტიკურ ხსნასა და გამოსავალს გარეთ ეძებდა, ეს იყო ნიშანი, რომ სახელმწიფო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. საქართველო არასოდეს ყოფილა ისეთი სუსტი და დაცემული, როგორიც დღესაა, თუმცა ხელისუფლება ამას, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს, ყოველ შემთხვევაში არაფერი ეტყობა. აი ამ სამწუხარო რეალობის წინაშე ვართ და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენი ბედი, აქ კი არა, ამერიკის რომელიღაც სახელმწიფო დაწესებულების ბნელ ტალანებში წყდება. ასე იყო ისტორიულად და დღესაც იგივე ხდება. ძლიერი, ფეხზე მდგარი საქართველო არასოდეს, არავის აძლევდა ხელს...

**— რამ შეიძლება გამოიყვანოს ქვეყანა ამ მდგომარეობიდან?**

— სიმართლე გითხრათ, მომავალს ვერ ვხედავ. ერთადერთი ის ვიცი, რომ, თუ ღმერთი შეგვეწევა და გვიშველის, გადავრჩებით. სხვა გამოსავალი ვერ წარმომიდგენია, ვინაიდან ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც გაშმაგებით იბრძვის ხელისუფლებაში მოსასვლელად, იბრძვის იმისთვის, რომ ქვეყნის სათავეში დაჯდეს და ჭამოს რაც შეიძლება მეტი. საქართველო მათ არ აინტერესებთ და „ქართული ოცნება“ არის ამის ნათელი მაგალითი. დღევანდელ ხელისუფლებაში არის უამრავი ადამიანი, საკრებულოებში, პარლამენტში, მინისტრთა კაბინეტში თუ სხვაგან, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში გაafთრებით ებრძოდნენ რეჟიმს. მოვიდნენ სათავეში და საერთოდ არ ჩანან. რატომ? ყველა პრობლემა მოგვარდა, ყველაფერი რიგზეა და იმიტომ? ცხადია, არა. მათ მიიღეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ. ანუ, ახლა თვითონ ჭამენ იმ ლუკმას, რომელიც წინამორბედს წაართვეს და კმაყოფილი არიან... აი, სანამ ასეთი ადამიანები მართავენ სახელმწიფოს და სხვები კიდევ რიგში დგანან, გამოსავალის ძიებაზე საუბარი ზედმეტია. ასეთი ხალხი ქვეყანას ართმევს ყველანაირ შანსს, რომ გაძლიერდეს და თვითონ იყოს საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, რომ მუდმივად უცხო ძალაზე არ იყოს მიბმული, როგორც კოლონია.

**«თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვკითხავ ბატონ გიორგი კვირიკაშვილს: ქრისტიანულ მორალში თუ ჯდება სექსუალური აღზრდის გაკვეთილები, სექტემბრიდან რომ შეგაქვთ სკოლებში?!»**

**«ადრე საქართველოს მართავდნენ გლობალური ძალების ერთი კლანის მიერ ხელდასხმული პოლიტიკური მარიონეტები, ახლა ამ მარიონეტებს მეორე კლანი მბრძანებლობს. ეს არის რეალობა; სხვა დანარჩენს — პრემიერმა რა განაცხადა, ეკლესიასა და მართლმადიდებლობაზე კარგი თქვა თუ ცუდი — არსებითი მნიშვნელობა არ აქვს; იგივე პოლიტიკა გაგრძელდება, იგივე ძალა დარჩება, რეალური ცვლილებები აქ არ მოხდება, იმიტომ, რომ ცვლილება არ მომხდარა იქ, საიდანაც ესენი იმართებიან»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა პარლამენტარების მიერ შევსებული დეკლარაციები. სამარცხვინო იყო. მე შემრცხვა, როდესაც პარლამენტარების ნაწერი ვნახე: უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხედან ადამიანები, რომლებსაც ასოები ეშლებათ“.**

განათლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განათლების სისტემა რომ დანგრეულია და ამ სფეროში სავალალო მდგომარეობაა, ამაზე უკვე აღარავინ დავობს. წელსაც გამოცდებზე გასული მოსწავლეებისა და პედაგოგების შედეგები კატასტროფული იყო. 2016-2017 სასწავლო წელს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში 12 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა... პედაგოგთა გამოცდებიც სავალალო შედეგით აღინიშნა — სასერტიფიკაციო გამოცდებზე 80% ჩაიჭრა. გამოცდებზე 22 799 მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი დარეგისტრირდა. მათგან არ გამოცხადდა 5 662. გამოცდაზე გასული 17 137 მასწავლებლიდან და მასწავლებლობის მსურველიდან კი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა 13 673-მა. გამოცდა წარმატებით მხოლოდ 3 464-მა ჩააბარა, ანუ, დაახლოებით, 20%-მა.**
**განათლების სისტემაში შექმნილ ვითარებაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გიორგი გოგოლაშვილი გვესაუბრება:**

# გიორგი გოგოლაშვილი: დღეს სკოლაში ქართული ენა, როგორც საგანი, აღარ არსებობს

— ორი-სამი კვირის წინათ რუსთაველის საზოგადოებამ მწერალთა კავშირში ჩაატარა შეხვედრა. შეხვედრაზე განათლებაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. ერთ-ერთი მომხსენებელი მეც ვიყავი. ბევრი მიფიქრია ამ თემაზე. რასაც დღეს ვუყურებთ, კატასტროფაა და ეს 1990-იანი წლებიდან დაიწყო. წინსვლა არ არის, სულ უკან მივდივართ და, ბოლო ათწლეულში რაც ხდება, ამაზე საუბარიც კი ზარავს ადამიანს. **განათლების დანგრევაში დამნაშავეა განათლების სამინისტროც, უნივერსიტეტიც და სკოლაც.**

**კახა ლომაია** რომ დანიშნეს მინისტრად 2004 წელს, მან და განათლების საპარლამენტო კომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარე **ლევან ბერძენიშვილმა** ბრიფინგი გამართეს და განაცხადეს, რომ ჩატარდა კვლევა და გაირკვა, რომ მეხუთეკლასელთა უმეტესობამ წერა-კითხვა არ იცისო. ეს შოკისმომგვრელი ინფორმაცია იყო. მათ ბრიფინგს ვესწრებოდი და ვიკითხე — ვის სჭირდება ეს კვლევა და სტატისტიკა-მეთქი?

ლომაიასაც და ბერძენიშვილსაც ეს კვლევა იმისთვის სჭირდებოდათ, რომ „განვითარებადები“ ვყოფილიყავით. შესაძლოა, ეკონომიკაში გვიჭირდა, მაგრამ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს არავინ მოგცემს, თუ განათლება და კულტურა მაღალ დონეზე გაქვს. საჭირო იყო ამ სფეროს დაბალ დონეზე გადაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვიდოდა.

ჩვენ განათლების პრობლემა არ გვქონდა, მეტიც: საქართველოში ძალიან მაღალ დონეზე იყო მეცნიერება, რაც ხელს არ აძლევდათ, ამიტომ დაიწყეს ნგრევა მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტის და საბოლოოდ დაღუპეს ეს სფერო. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ მეტი ფული შემოსულიყო ქვეყანაში მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების დონის „ასამაღლებლად“. განვითარებად ქვეყნებს ხომ ფულით ეხმარებიან.

არის ასეთი პროგრამები — **ჯორჯ სოროსის, ალენ დალესის** და ა.შ., რომლებიც კულტურული წარსულისთვის ზურგის შექცევას, წარსულთან დამაკავშირებელი ფესვების გადაჭრას ითვალისწინებს. ძალიან ცუდი რაღაცები ხდებოდა და ეს ყველაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

**— განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად არაფერი კეთდება?**

— ამბობენ, ეროვნული გამოცდები კარგიაო. შესაძლოა, ამას რაღაც დადებითიც მოუძებნოს ადამიანმა, ერთი შეხედვით, თითქოს ქრთამის აღება აღარ ხდება, მაგრამ... ჩვენ ჩავატარეთ კვლევა უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსზე, ანუ იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს. სტუდენტებს მივეცით კითხვარი, ელემენტარული შეკითხვები იყო, მაგრამ სავალალო შედეგები მივიღეთ: **მათ არ იცოდნენ, რომელ ბრუნვაში იყო მოცემული სიტყვა და ამას ვამბობ მათზე, ვინც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს და ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე მოხვდნენ. ეროვნული გამოცდები ისეთ პრინციპზეა აგებული, რომ მოსწავლემ შეიძლება არ წაიკითხოს შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და მიიღოს მაღალი შეფასება.** ეროვნული გამოცდები იმ პრინციპით ააგეს, რომ ცოდნა საჭირო აღარ არის.

დღეს ისეთი ვითარებაა, ერთ პიროვნებას ხელს ვერ დაადებ, ბრალს ვერ დასდებ. მაგალითად, გამოდის ეროვნული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი **მაია მიმინოშვილი** მას შემდეგ, რაც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე წარმოუდგენლად ბევრი ბავშვი ჩაიჭრა, და ამბობს, დამნაშავეები განათლების სისტემის ზოგიერთი უწყების წარმომადგენლები არიანო, ისინი კი მიმინოშვილს ადანაშაულებენ. სირცხვილია, რადგან ეს ერთი სისტემაა. ორივე დამნაშავეა. გამოცდებამდე მიჰყავთ ბავშვი, რომელსაც არ აქვს ელემენტარული ცოდნა, არადა, ნახეთ, სად გადის მინიმალური ზღვარი და რა დაბალ დონეზეა საუბარი...

დღეს არ არსებობს მოსწავლე, რომელმაც ვერ ისწავლა და კლასში ჩარჩა ან გარიცხეს დაბალი აკადემიური მოსწრების გამო. არადა, ეს აუცილებელია, უარყოფითი ნიშნის დაწერა დანაშაული არ არის. **არ შეიძლება, ახალგაზრდა არ სწავლობდეს და უმაღლესი განათლების დიპლომი ჰქონდეს. არიან ახალგაზრდები, რომელთაც წყლის ფორმულა არ იციან; არიან ახალგაზრდები, რომელთაც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი არ იციან. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული გამოდეგენერატების ფორმულა მუშაობს. სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც კაცი დღეს**



**ჩვენს ქვეყანაში ეროვნული გამოდეგენერატების ფორმულა მუშაობს. სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც კაცი დღეს პროკურორია, ხვალ — განათლების მინისტრი და შემდეგ მიდის განათლების მისაღებად საზღვარგარეთ**

**პროკურორია, ხვალ — განათლების მინისტრი და შემდეგ მიდის განათლების მისაღებად საზღვარგარეთ.**

მინისტრის სავარძელში ისხდნენ **ლომაია, გვარამია, შაშკინი,** თუნდაც **მარგველაშვილი.** არადა, ქვეყანაში უამრავი პროფესიონალი გვყავს.

**იაკობ გოგებაშვილის** მთავარი პრინციპი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისას ეროვნულობა და ზნეობრიობა იყო, ჩვენ კი სურვილი დავკარგეთ, გვყავდეს განათლებული ახალგაზრდობა.

**— ვინ გაანათლებს ახალგაზრდებს? პედაგოგთა 80% საკვალიფიკაციო გამოცდებში ჩაიჭრა...**

— მართალია, თანაც ჯერ ქართული ენის გამოცდების შედეგები არც გამოუქვეყნებიათ. წინა წლებში ქართულში მასწავლებელთა უმრავლესობა ჩაიჭრა ტესტებში, რომლებიც სკოლის მოსწავლემაც უნდა იცოდეს. სახელმწიფო ასეთ ფაქტებს არ უნდა ამხელდეს, არ შეიძლება ამის გახმაურება, ყველაფერი ჩუმად უნდა მოხდეს და არც ერთი მათგანი, სკოლას არ უნდა გააკარო.

ბავშვების ნახევარზე მეტი რეპეტიტორთან დადის და გამოცდების ჩაბარება მაინც უჭირს. რუსთაველის საზოგადოებასთან ერთად ჩავატარეთ კვლევა მეთერთმეტე კლასელებთან. ისინი ჯერ რეპეტიტორებთან არ დადიან, მაგრამ მეათე კლასში გაიარეს „ვეფხისტყაოსანი“. შევადგინეთ ძალიან მარტივი ტესტები „ვეფხისტყაოსნიდან“, შევიტანეთ აუცილებელი საზეპიროები და მათ ისინი არ იცოდნენ. ეს ყველაფერი გავარკვიეთ და ისიც ვიცით, პასუხი ვის მოვთხოვოთ. **დამნაშავეა განათლების სამინისტროც და პედაგოგიც, მაგრამ, თუ ამას საზოგადოება გულგრილად შეხვდება, არაფერი გამოვა. მშობელიც დამნაშავეა. ბავშვს სკოლაში უშვებს, მართალია, პედაგოგის იმედად, მაგრამ ხომ უნდა იკითხოს, სკოლიდან რა მოიტანა, რა ასწავლეს?** მომავალში შედეგი უფრო სავალალო იქნება, ჯერ კიდევ არა გვიშავს რა... ქვეყანაში აღარ არის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, აღარ არის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. სისტემა სრულად დაანგრიეს და თაობებს ვაუბედურებთ, ამაში დამნაშავეა როგორც ხელისუფლება, ისე რიგითი მოქალაქე.

**საბჭოთა კავშირისდროინდელ განათლების სისტემაზე საუბრისას ხშირად ახსენებენ იდეოლოგიას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ეს იყო საუკეთესოდ აწყობილი სისტემა და მორგებული იყო ყველაზე, ვისაც სწავლა სურდა.**

12-წლიანი სწავლება დაიწყეს სხვა ქვეყნების მაგალითით. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეს არის, მართლა საჭიროა მეთორმეტე კლასი, მაგრამ ჩვენთან არავინ იცის, რას აკეთებენ ბავშვები ბოლო წელს, ეს კორუფციის წყაროა.

ქართული ენის სპეციალისტი ვარ. ჩვენს პერიოდში სკოლაში ქართული ენა და ქართული ლიტერატურა ისწავლებოდა, არ არსებობდა ისეთი ბავშვი, რომელიც სკოლას დაამთავრებდა და ელემენტარული ცოდნა არ ჰქონოდა. **დღეს კი სკოლაში ქართული ენა, როგორც საგანი, აღარ არსებობს.** ასწავლიან ბავშვებს ლიტერატურას და, თუ მასწავლებელი მოიცლის ან მოისურვებს, შეიძლება ენის გაკვეთილს რამდენიმე წუთი დაუთმოს. **ქართული ენა სახელმწიფო ენაა და მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება დანაშაულია!**

2010 წელს პირველი კლასიდან დაიწყეს ბავშვებისთვის უცხო ენის სწავლება. მაშინვე ამბობდნენ ფსიქოლოგები, რომ ილუპება თაობა, რომელსაც პირველივე სასწავლო წელს, მშობლიურ ენასთან ერთად, უცხო ენას ვასწავლით, ამით ბავშვის ფსიქიკა ზიანდება, მაგრამ ეს არავინ შეისმინა. **„ბავშვმა ჯერ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს წერა-კითხვა, ანგარიში და შემდეგ — უცხო ენაზე“,** — თქვა დიდმა მეცნიერმა **შოთა ნადირაშვილმა.**

ახალმა ხელისუფლებამ არაფერი შეცვალა, რატომ, არ ვიცი, არაკომპეტენტურები არიან თუ მტრები, ვერ გეტყვით...

**ტელევიზიები ხალისობენ, ქუჩაში ახალგაზრდებს აჩერებენ და მათ უცოდინარობას ააშკარავებენ, მე კი გული მიკვდება, მაგრამ რა უნდა უთხრა მათ, როდესაც პედაგოგები ვერ გადიან ელემენტარულ ტესტირებას. მასწავლებელთა 80% ტესტებს ვერ ძლევს და ყველა მათგანი ისევ სკოლაში რჩება, მათ ვერ გაყრიან იმიტომ, რომ მერე მასწავლებლის გარეშე დარჩებიან. ასე რომ, ამ ჩაჭრილ მასწავლებლებს კვლავ სკოლაში ვიხილავთ.**

ახლა მშობლები ცდილობენ, ფასიან, ძვირად ღირებულ სკოლებში მიიყვანონ ბავშვი, რათა ცოდნა მიაღებინონ, მაგრამ ესეც ძალიან ცუდია. სკოლიდან გამოსული ბავშვი სხვაგან მასწავლებელს არ უნდა ეძებდეს. გამოსაშვებ გამოცდაზე 12 ათასი ბავშვი რომ ჩაიჭრა, განათლების მინისტრმა თქვა, ზღვარს დავწევთ, რომ ეს აღარ განმეორდესო, ყოფილმა რომელიღაც მინისტრმა კი განაცხადა, საერთოდ უნდა გაუქმდეს გამოცდებიო... ასეთ ვითარებაში რა უნდა თქვას ადამიანმა?! შედეგზე არავინ დარდობს, მხოლოდ ზღვრის აწევა-დაწევაზე ფიქრობენ და არა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. არავინ ფიქრობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზეც, ცდილობენ, სიტყვა ბანზე აგიგდონ და კომბლეზე საუბარი ურჩევნიათ. მინისტრს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ჩაჭრილ პედაგოგებზე, არ მომისმენია მისი აზრი, როგორ აპირებს ვითარების გამოსწორებას.

**— სადამდე შეიძლება მივიდეს ასეთ ვითარებაში ქვეყანა?**

— ჩვენ უკვე მივედით იქამდე, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გვჭირდება. თუ გნებავთ, ჩავატაროთ ექსპერიმენტი, ბავშვებს მივცეთ წიგნი და ხმამაღლა წავაკითხოთ. იცით, რამდენი ბავშვი წაიკითხავს ბლუკუნით? კითხვა აღარ იციან ახალგაზრდებმა. ლომაიამ და ბერძენიშვილმა მართლა გააკეთეს ის, რაც კვლევებში „იწინასწარმეტყველეს“. **რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა პარლამენტარების მიერ შევსებული დეკლარაციები. სამარცხვინო იყო, მე შემრცხვა, როდესაც პარლამენტარების ნაწერი ვნახე: უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხედან ადამიანები, რომლებსაც ასოები ეშლებათ.**

თავის დროზე **აკაკი წერეთელმა** თქვა: „ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებული?“ მე მაქვს აკაკის ამ შეკითხვაზე პასუხი: ჩვენმა ხელისუფლებამ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზეა დამოკიდებული.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ეროვნული გამოცდები იმ პრინციპით ააგეს, რომ ცოდნა საჭირო აღარ არის**

სწავლა მოსწავლეთა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით საქართველოში მოზარდთა წიგნიერების დონე საშუალოზე დაბალია. დაწყებით კლასებში ტექსტის შინაარსის გააზრებისა და გადმოცემის მიხედვით მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის საქართველო 37-ე ადგილზეა. უკეთესი შედეგები არც სხვა ასაკობრივ ჯგუფებშია — ბოლო პოზიციებს ვინაწილებთ აფრიკის ქვეყნებთან. სასკოლო განათლების დონით საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის აუტსაიდერთა შორისაა.**

# განათლება განათლების გარეშე

## ანუ რატომ ვერ ეღირსა საქართველოს განათლების სისტემა ნორმალურ მინისტრს

**გსურს, დაამარცხო მტერი? — აღზარდე მისი შვილები!**
*აღმოსავლური სიბრძნე*

**დამოუკიდებლობის გამოცხადების (და არა მოპოვების) შემდეგ საქართველოში ე.წ. დასავლური დემოკრატიული ფასეულობების დანერგვასთან ერთად, დახვეწილი მეთოდებით (ზოგჯერ დაუფარავად, ზოგჯერ შეფარვით) დაიწყო ბრძოლა ქრისტიანული ეთიკის, ეროვნული ტრადიციების, კულტურისა და განათლების წინააღმდეგ. ნეიროლინგვისტური ფსიქოლოგიის სპეციალისტთა აზრით, ერთ-ერთი ასეთი მეთოდია ქცევითი, ანუ „ბიხევიორისტული ომი“ (ეს არის ომის არამომაკვდინებელი ტიპი, რომლის მიზანია ადამიანის ქცევების შეცვლა სხვადასხვა მეთოდით), რომელიც შეიძლება იყოს შეუმჩნეველი, სასიამოვნოც კი. ამ მეთოდით ადამიანს აყენებენ არჩევანის წინაშე და უბიძგებენ, ე.წ. მართებული გადაწყვეტილებისკენ, ანუ ზემოქმედებენ განათლებაზე, აღზრდაზე მომავალი თაობისა, რომლის ინტელექტუალურ განვითარებასა და ზნეობრივ ფასეულობებზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.**



ახალი ადამიანის შესაქმნელად საჭიროა განათლების სისტემის ძირფესვიანად შეცვლა. და რა აყალიბებს საბაზისო ფასეულობებს, ქცევების სტერეოტიპებს, ცხოვრების ნორმებს? — რელიგია და განათლების სისტემა. სწორედ ამიტომ არის დასავლეთისთვის მართლმადიდებლობა №1, ხოლო კარგი ტრადიციული განათლება №2 მტერი.

**როზერტ ლეი,** ფილოსოფოსი, გერმანიის მესამე რეიხის მაღალჩინოსანი, **ადოლფ ჰიტლერის** უახლოესი გარემოცვის წევრი, ამბობდა: „ინოვაციები ჩვენი მთავარი ინსტრუმენტია. უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით, ექსპერიმენტების ეგიდით, გაბედულად დაარტყით...“ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოში მიმდინარეობს განათლების სისტემის რეფორმა და, რაც დრო გადის, სულ უფრო სარწმუნოა თვალსაზრისი, რომ ეს რეფორმა კარგა ხნის წინათ მომზადდა გერმანელი ფაშისტების გეგმა „ოსტის“ მიხედვით, რომელიც დაპყრობილ ქვეყნებში, განათლებისა და კულტურის ნგრევასთან ერთად, ითვალისწინებდა მოსახლეობის შემცირებას იძულებითი მძიმე სამუშაოების შესრულებით ან შიმშილით. ცნობილია, რომ ამერიკის დაზვერვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყენებდა გერმანიის დაზვერვის მიერ აღმოსავლეთის ფრონტისთვის შემუშავებულ გეგმას. ისიც ცნობილია, რომ სწორედ აღმოსავლეთის ფრონტის დაზვერვის სამსახურის იმჟამინდელი შეფის, 1945 წელს ამერიკელთა მხარეს გადასული **რეინჰარდ გელენის** მოსაზრების გათვალისწინებით შეიქმნა 1947 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ექსპერტთა აზრით, ის, რის განხორციელებასაც დღეს ცდილობს დასავლეთი და მისი დაქირავებულები საქართველოში, ძალიან ჰგავს ზემოხსენებულ გერმანელთა გეგმა „ოსტის“ დეტალებს.

თუმცა დღეს ამოქმედებულია ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ადრე არ იყო. და ადამიანების დეზორიენტაციას ამ უახლესი ტექნოლოგიებით ცდილობენ, მაგრამ **განათლების ე.წ. რეფორმას ისეთი დამანგრეველი შედეგები მოაქვს, პოლიტიკისგან შორს მდგომი ბევრი ადამიანი ხვდება, რომ ლაპარაკია ადამიანის განათლების სერიოზულ გარდაქმნაზე, მისი მენტალიტეტის შეცვლაზე და არა, უბრალოდ, განათლების რეფორმაზე,** ხოლო პოლიტიკაში ჩართული ადამიანები ან მონაწილეობენ ამ პროცესში, ან სწამთ, რომ ასეთი უნდა იყოს ახალი მსოფლიო. ანუ ვიღაც შეგნებულად მონაწილეობს პროცესში და იცის, რომ ეს პროცესი განადგურებისკენაა მიმართული; ვიღაც კი ფიქრობს, რომ ადამიანი მხოლოდ ასეთი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ კულტურას, სულიერებას ნაზიარები ადამიანის მენტალიტეტის ერთბაშად გარდაქმნა საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა დასავლეთისა და მათი ემისრებისთვის, ამიტომ „რეფორმების“ პროცესი ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მიმდინარეობს, აგერ უკვე 2 ათეულ წელზე მეტია.

**ამ პროცესის შემადგენელი ნაწილებია პასპორტიდან ეროვნების გრაფის ამოღება, სკოლებში დედაენის, ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის სახელმძღვანელოების გადაკეთება, გააფთრებული შეტევა მართლმადიდებლობაზე, ანტიდისკრიმინაციული კანონი, ნარკოტიკების გამოყენების ლეგალიზება, თავგამოდებით ყვირილი ე.წ. გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახში ძალადობასა და ლგბტ-თა უფლებების დაცვაზე, სკოლებში სექსუალური აღზრდის სწავლების მცდელობა... თუმცა რაღა მცდელობა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 15 მაისს საქართველოს განათლების სამინისტრომ გაეროს სამ ფონდთან მოაწერა ხელი მემორანდუმს, რომლის მიხედვით, ქართული სკოლების სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი იქნება გენდერული (ლგბტ) თანასწორობა და რეპროდუქციული (სექსუალური) განათლება** *(წყარო zneoba.ge).*

წლების განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემის ე.წ. რეფორმამ, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელისუფლების სათავეში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის პერიოდში, სავალალო შედეგები გამოიღო: 2013 წელს პედაგოგთა დიდმა ნაწილმა სასერტიფიკაციო გამოცდების ზღვარი ვერ გადალახა.

„არც ისე სახარბიელო შედეგები მივიღეთ. ეს შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ნაკლებად ჩანს სახელმწიფოს ზრუნვა პედაგოგებზე: მათემატიკაში პედაგოგთა 86-მა პროცენტმა ვერ გადალახა ბარიერი, სამოქალაქო განათლებაში — 82,6%-მა, ქიმიაში — 91%-მა, ბიოლოგიაში — 77%-მა, სახვით ხელოვნებაში — 74%-მა, ფიზიკაში — 96%-მა, ისტორიაში — 57,2%, გეოგრაფიაში 49%-მა“, — განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **მაია მიმინოშვილმა** 2013 წელს.

აი, რას ამბობდა სკოლებში სწავლების დონეზე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს განათლების ლიგის“ ხელმძღვანელი **მანანა ნიკოლაიშვილი:**

„რთული მდგომარეობაა, ბავშვებმა ოთხი კლასის მათემატიკის მასალაც კი არ იციან. მერვე, მეცხრე და მეათე კლასების მოსწავლეებთან ურთიერთობა მაქვს და რომელი ფიზიკა-ქიმიის ცოდნაზეა საუბარი (თავად ქიმიკოსი ვარ). **ელემენტარულ მათემატიკაზე რომ მიდგება საქმე, მტრისას, შედეგით გაოგნებული ვარ. ამათ ხომ ყველა საგნის სწავლების შინაარსი შეცვალეს, თუნდაც მათემატიკა საოცრად დამახინჯებულია. დაწყებითი პროგრამები და სახელმძღვანელოები მთლიანად შესაცვლელია...** ბავშვი 24 საათი კომპიუტერთან ან ტელეფონთან ზის, გაკვეთილებზეც კი ჩართული აქვს, თამაშობენ და, საერთოდ, გამოშტერდა ტექნიკით მთელი თაობა; დიდი თუ პატარა, ყველა თამაშობს, წიგნთან არავინ ჯდება და არავინ კითხულობს. თუ არ წაიკითხე, ნორმალურად კითხვასაც ვერ ისწავლი, ამიტომაც არის, რომ დღევანდელი მოსწავლეების უმეტესობა დამარცვლით კითხულობს. თუ კითხვა არ იცი, წერა საიდან გეცოდინება?!“

სწორედ იმის გამო, რომ წიგნს იშვიათად კითხულობენ, კატასტროფულად ღარიბულია ქართველი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის ლექსიკა. ამაზე მიუთითებს მეტყველებისას ისეთი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება, როგორიცაა „შეურაწყოფა მიაყენა“ (ზოგი „შეურაწყოპას“-აც ამბობს და წერს), ნაცვლად სიტყვისა „შეურაცხყო“; „აფსურდული“ — ნაცვლად „აბსურდულისა“; „აფსოლიტური“, ნაცვლად „აბსოლუტურისა“; „რესპონდენტთან განახორციელა ზარი“, „დარეკა“-ს ნაცვლად; „გადარჩა გატანილ გოლს“ (გოლი კარში გატანილი ბურთია და „გაუტანელი“ ვერ იქნება), „აზრი დააფიქსირა“ (გამოხატას ნაცვლად); „ამასთან დაკავშირებით“, „იმასთან დაკავშირებით“ და სხვ. სწორედ ამიტომ დაწერა გამოცდაზე ერთმა აბიტურიენ- ▶




**ეროვნულ კულტურას, სულიერებას ნაზიარები ადამიანის მენტალიტეტის ერთბაშად გარდაქმნა საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა დასავლეთისა და მათი ემისრებისთვის, ამიტომ «რეფორმების» პროცესი ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მიმდინარეობს, აგერ უკვე 2 ათეულ წელზე მეტია. ამ პროცესის შემადგენელი ნაწილებია პასპორტიდან ეროვნების გრაფის ამოღება, სკოლებში დედაენის, ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის სახელმძღვანელოების გადაკეთება, გააფთრებული შეტევა მართლმადიდებლობაზე, ანტიდისკრიმინაციული კანონი, თავგამოდებით ყვირილი ე.წ. გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახში ძალადობასა და ლგბტ-თა უფლებების დაცვაზე, სკოლებში სექსუალური აღზრდის სწავლების მცდელობა...**

სწავლა მოსწავლეთა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განათლების სისტემის „რეფორმის" შედეგი ნათლად გამოჩნდა 2017 წელს, როცა სკოლის გამოსაშვები გამოცდები 48 434 მოსწავლიდან 12803-მა ვერ ჩააბარა, ხოლო დაწყებითი საგნების გამოცდაზე პედაგოგთა 30% არ გამოცხადდა.



ტმა: „გრიგოლ ღვთისმშობელი", მეორემ — „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი", ნიშნავს იმას, რომ „ჩვენ უნდა ჩავერიოთ ევროპულ ინტეგრაციაში". ამასთანავე, ე.წ. ძალიან განათლებულები ცდილობენ, დაამკვიდრონ ისეთი სიტყვები, როგორიცაა „სენსიტიური" (მგრძნობიარე, სათუთი, მტკივნეული), „ივენთი" (ღონისძიება), „ფრენდი" (მეგობარი), „ფართი" (წვეულება), „კრეატიული" (შემოქმედებითი), „ფანდრაიზინგი" (ნებაყოფლობითი შემოწირულობა) და სხვ.

2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით, საქართველოში მოზარდთა წიგნიერების დონე საშუალოზე დაბალია. დაწყებით კლასებში შინაარსის გააზრებისა და გადმოცემის მიხედვით მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის საქართველო 37-ე ადგილზეა. უკეთესი შედეგები არც სხვა ასაკობრივ ჯგუფებშია — ბოლო პოზიციებს ვინაწილებთ აფრიკის ქვეყნებთან. საქართველო სასკოლო განათლების დონით მსოფლიოს ქვეყნებს შორის აუტსაიდერთა შორისაა.

არადა, განათლების ამჟამინდელი მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა** ახალგაზრდებს არა წიგნის კითხვისა და ღრმა ცოდნისკენ, არამედ „დაგუგვლისკენ" მოუწოდებს. საერთო ჯამში, ყველაფერი ახალი, რაც ქართული განათლების სისტემის „მამებმა" დასავლეთიდან გადმოიღეს, დამანგრეველი აღმოჩნდა.

**განათლების სისტემის „რეფორმის" შედეგი ნათლად გამოჩნდა 2017 წელს, როცა სკოლის გამოსაშვები გამოცდები 48 434 მოსწავლიდან 12803-მა ვერ ჩააბარა, ხოლო დაწყებითი საგნების გამოცდაზე პედაგოგთა 30% არ გამოცხადდა.**

არასახარბიელო ვითარებაა უმაღლეს სასწავლებლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი უნივერსიტეტია და, მათ შორის, პრესტიჟულად ითვლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, GIPA — საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამ სასწავლებლებიდან მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტის, არათუ ასეულში, შვიდას საუკეთესოშიც კი ვერ ხვდება ვერც ერთი.

**ჟურნალ „თაიმსის" მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტის სარეიტინგო სიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 801-ე ადგილზეა.**

Times higher Education The warld university rankings-ის მიხედვით, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2016-2017 წლების სარეიტინგო სია ასეთია:

1. **ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);**
2. **კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (აშშ);**
3. **სტენფორდის უნივერსიტეტი (აშშ);**
4. **კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);**
5. **მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (აშშ);**
6. **ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ);**
7. **პრინსტონის უნივერსიტეტი (აშშ);**
8. **ლონდონის იმპერიული კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი);**
9. **შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ციურიხი, შვეიცარია);**
10. **კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლიში (აშშ).**

აღსანიშნავია, რომ ამ სარეიტინგო სიაში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 200 უნივერსიტეტია ჩამოთვლილი, ვერ ნახავთ სასწავლებლებს აღმოსავლეთი ევროპის იმ ქვეყნებისა, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინათ „გულში ჩაიხუტა" ევროკავშირმა და ნატომ. არადა, თავის დროზე სწავლების მაღალი დონით განთქმული იყო პრაღის (ჩეხეთი) ტექნიკური უნივერსიტეტი, ვარშავის (პოლონეთი) უნივერსიტეტი, ტარტუს (ესტონეთი), ვილნიუსის (ლატვია), ბუდაპეშტის (უნგრეთი), ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, კიევის (უკრაინა) უნივერსიტეტები. ერთადერთი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ასე თუ ისე შეინარჩუნა ძველი პრესტიჟი (ეს უნივერსიტეტი აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში პირველია), თუმცა მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების ასეულში ვერ ხვდება.

**დღეს განათლების სფერო დაპირისპირების მთავარი მოედანია და ამერიკული უნივერსიტეტები ამ დაპირისპირებაში წამყვან როლს თამაშობენ. სწორედ ამერიკულ უნივერსიტეტებში შეიმუშავებენ ცნობიერების გარდაქმნის ისეთ პროგრამებს, რომლებიც შემდეგ ინერგება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში. ეს არის მოზარდი თაობის ცნობიერების ტოტალურად გარდაქმნის, ფაქტობრივად, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროგრამები, რადგან ერთია ეროვნულ ტრადიციებსა და ეროვნულ ფასეულობზე, ფოლკლორზე, სიმღერებზე, ცეკვებზე, ფილმებზე, ლიტერატურაზე აღზრდილი ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ცნობიერების, მენტალიტეტის გარდაქმნა, და მეორე — შეცვლა სკოლის ან სკოლამდელი ბავშვებისა, რომლებიც დაახლოებით 10-12 წლის შემდეგ ადვილი სამართავები იქნებიან.**

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები გარე ძალების მიერ რომ არის მართული, მიუთითებს ისიც, რომ ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს, წლებია, საქმის მცოდნე, მომავალი თაობის სწორად აღზრდაზე ორიენტირებული, პატრიოტი და, რაც მთავარია, განათლებული ხელმძღვანელი არ ჰყოლია. საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას, პოლიტელიტას, რომლის წარმომადგენელთა შვილები, ძირითადად, უცხოეთში იღებენ განათლებას, არასოდეს უფიქრია, განათლების მინისტრად დაენიშნა ამ სფეროსთვის მართლაც შესაფერისი პიროვნება. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო 15 წელიწადი საქართველოს ნორმალური განათლების მინისტრი არ ეღირსა.

აი ეს მინისტრებიც: ნაციონალი **ალექსანდრე ლომაია** (2004-2007 წწ), რომელმაც ტელეკამერების წინ დაფაზე სიტყვა „ბავშვი" ვერ დაწერა; **გია ნოდია** (2008 წ) — არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" ყოფილი ხელმძღვანელი, რომელსაც ეკუთვნის ფრაზები: „ნოდარ დუმბაძე იყო კრიმინალური გაგების"; „დათა თუთაშხია" ძალიან სუსტი რომანია; „კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ, არ მესმის"; **ნიკა გვარამია** (2009 წ) — სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მსახური, გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ამჟამად „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი; **დიმიტრი შაშკინი (2009 2012)** — კიდევ ერთი პირწავარდნილი ნაციონალი; **ხატია დეკანოიძე** (2012 წ.) მიხეილ სააკაშვილის ძმის ცოლყოფილი, უკრაინის ნაციონალური პოლიციის ყოფილი უფროსი; **გიორგი მარგველაშვილი** (2012-2013 წწ) — „ქსლის მბეჭველი", „მდიდარი სექსის მქონე", ამჟამად „პლასტელინი პრეზიდენტი"; „თოჯინა" **თამარ სანიკიძე** (2013-2016 წწ) და **ალექსანდრე ჯეჯელავა** (2016 წლიდან დღემდე) — სოროსის ფონდის ყოფილი თანამშრომელი, „ტრანსფორმაციული ტრენერი" (ასე წერია „დაგუგვლის" შედეგად მოძიებულ მის ბიოგრაფიაში), რომელმაც მინისტრობა ქართულ ზღაპრებთან და ლექსებთან ბრძოლით დაიწყო.

უცხო ძალების მიერ თავსმოხვეული რეფორმებისა და ამ ადამიანების „მოღვაწეობის" შედეგად საქართველოში ფესვები მყარად გაიდგა უცხოურისადმი მეტისმეტმა სიყვარულმა, ზერელობამ, წიგნის უარყოფამ, შედეგად — უვიცობამ, გაუნათლებლობამ. სწორედ გაუნათლებლობის შედეგია ის, რაც გვჭირს — სიდუხჭირე, უმუშევრობა, უცხოელისადმი მონური მორჩილება, ეროვნული ტრადიციების დაკნინება-უარყოფა.

ადამიანს განათლება სჭირდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ფული გამოიმუშაოს, არამედ იმისთვისაც, რომ გაითვითცნობიეროს, ვინ არის ის სინამდვილეში, რა არის მისი ცხოვრების რეალური მიზნები და როგორი უნდა იყოს მათი მიღწევის მეთოდები. სწორი განათლება ადამიანს დააყენებს ნამდვილი განვითარების გზაზე.

ღირსეული ქვეყნის აშენება კი მხოლოდ განათლებულ და პატრიოტ ადამიანებს შეუძლიათ. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი განათლების სისტემის ძირფესვიანი გარდაქმნა, რადგან, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, **„სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამცთუ სვე-ბედი მომავალი თაობისა, არამედ სვე-ბედი თვით ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალი თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქნება".**

**ნიკა კორინთელი**

**საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები გარე ძალების მიერ რომ არის მართული, მიუთითებს ისიც, რომ ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს, წლებია, საქმის მცოდნე, მომავალი თაობის სწორად აღზრდაზე ორიენტირებული, პატრიოტი და, რაც მთავარია, განათლებული ხელმძღვანელი არ ჰყოლია. საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას, პოლიტელიტას, რომლის წარმომადგენელთა შვილები, ძირითადად, უცხოეთში იღებენ განათლებას, არასოდეს უფიქრია, განათლების მინისტრად დაენიშნა ამ სფეროსთვის მართლაც შესაფერისი პიროვნება. შემთხვევითი არ არის, რომ, ბოლო 15 წელიწადია, საქართველოს ნორმალური განათლების მინისტრი არ ეღირსა**



## ყველაზე დაბალი ანაზღაურება განათლების სფეროშია, ყველაზე მაღალი — სახელმწიფოს მმართველობაში

**საქართველოში დასაქმებულის საშუალო ხელფასი თვეში 900 ლარი და 40 თეთრია, თუმცა სექტორების მიხედვით საშუალო ანაზღაურების მოცულობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. „საქსტატის" მონაცემებით, ყველაზე დაბალი ანაზღაურებაა განათლების სექტორში და ის, 2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, თვეში 563 ლარსა და 90 თეთრს შეადგენს. უკლებლივ ყველა სექტორში კონტრაქტით დასაქმებულის საშუალო ანაზღაურება ამაზე მაღალია.**

სექტორები საშუალო ანაზღაურების მიხედვით:

**განათლება** — თვეში 563 ლარი და 90 თეთრი;

**სოფლის მეურნეობა** (კონტრაქტით დასაქმებულები) — თვეში 657 ლარი;

**სასტუმროები და რესტორნები** — თვეში 740 ლარი;

**კომუნალური მომსახურება** — თვეში 781 ლარი;

**მრეწველობა** — თვეში 826 ლარი;

**ვაჭრობა** — თვეში 853 ლარი;

**ჯანდაცვა** — თვეში 934 ლარი;

**თევზჭერა** — თვეში 955 ლარი;

**ელექტროენერგიის წარმოება/განაწილება** — თვეში 1115 ლარი;

**სამთომომპოვებელი მრეწველობა** — თვეში 1226 ლარი;

**სახელმწიფო მმართველობა** — თვეში 1295 ლარი;

**ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა** — თვეში 1332 ლარი;

**მშენებლობა** — 1498 ლარი;

**საფინანსო საქმიანობა** — თვეში 1907 ლარი.

## კემბრიჯის უნივერსიტეტის თანასწორობის სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელი: ყველა თეთრკანიანი რასისტია

**კემბრიჯის უნივერსიტეტის თანასწორობის სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯეისონ ოსამადე ოკუნდაიმ მხარი დაუჭირა პოლიციის მიერ დაკავებული შავკანიანი ნარკომოვაჭრის გარდაცვალების გამო ორი დღის წინათ ლონდონში მოწყობილ ძალადობრივ არეულობებს, პოლიციასთან შეტაკებებს და განაცხადა, რომ ყველა თეთრკანიანი რასისტია.**

„ყველა თეთრი ადამიანი რასისტია. თეთრი საშუალო კლასი, თეთრი მუშათა კლასი, თეთრი კაცები, თეთრი ქალები, თეთრი გეები, თეთრი ბავშვები — ყველა ასეთია. ძალიან სასიამოვნოა იმის ყურება, როგორ უიმედოდ არიან თეთრკანიანი საშუალო კლასის წარმომადგენლები იმის გამო, რომ მათ მიერ კოლონიზებულ დალსტონში შავკანიანები პროტესტს გამოხატავენ", — დაწერა სოციალურ ქსელ „ტვიტერში" კემბრიჯის უნივერსიტეტის თანასწორობის ჯგუფის შავკანიანმა ხელმძღვანელმა.

ჯეისონ ოსამადე ოკუნდაი, კემბრიჯის უნივერსიტეტის



ნიგერიული წარმოშობის 20 წლის სტუდენტი, ლონდონში დაიბადა და გაიზარდა. ის კემბრიჯის უნივერსიტეტის თანასწორობის ჯგუფის ლიდერია, რომლის მოვალეობაც რასიზმის, ნაციზმისა და სხვა სახის დისკრიმინაციულ გამოვლინებებთან ბრძოლაა.

სიკვდილის გზა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰიროსიმაში ერთადერთი ბომბით, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა ისტორიაში ყველაზე დიდებული საგანი უწოდა, დაიღუპა 146 ათასი ადამიანი, კიდევ 80 ათასი — ნაგასაკიში. აშშ-მა ეს არასაჭირო, სასტიკი და დანაშაულებრივი აქცია მაინც განახორციელა, მიუხედავად იმისა, რომ, ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედროების განცხადებით, იაპონია მზად იყო კაპიტულაციისთვის.**



# ჰიროსიმადან სირიამდე: 1945 წლიდან დღემდე ვაშინგტონის პოლიტიკამ 20 მილიონზე მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე 37 ქვეყანაში

**1945 წლის 6 აგვისტოს აშშ-მა, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, გამოიყენა ატომური ბომბი — ამერიკულ ბომბდამშენ B-29 EnolaGay-დან 19 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტის ატომური ბომბი ჩააგდეს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში. სამი დღის შემდეგ კი, 9 აგვისტოს, მეორე ატომური ბომბით ამერიკელებმა პირისგან მიწისა აღგავეს იაპონიის მეორე ქალაქი ნაგასაკი. უშუალოდ აფეთქების შედეგად დაიღუპა 200 ათასზე მეტი ადამიანი, სულ კი 1945-2013 წლებში რადიაციის ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებებით ჰიროსიმასა და ნაგასაკიში დაღუპულია 450 ათასი.**


ჰიროსიმა.
1945 წლის აგვისტო

მხოლოდ 1945 წლიდან დღემდე აშშ-მა მოკლა, დაასახიჩრა, უსახლკაროდ დატოვა 20 მილიონზე მეტი ადამიანი 37 ქვეყანაში.

1945 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩადენილი ყველაზე აღმაშფოთებელი დანაშაულების სია (არასრული) საინფორმაციო რესურსმა Global Researh-მა გამოაქვეყნა.

## აშშ-ის მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობები

* ტოკიოს დაბომბვა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს. ამერიკული ბომბდამშენების მიერ შექმნილ ცეცხლის ქარიშხალში დაახლოებით 100 ათასი იაპონელი ცოცხლად დაიწვა;

* ჰიროსიმაში ერთადერთი ბომბით, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა** ისტორიაში ყველაზე დიდებული საგანი უწოდა, დაიღუპა 146 ათასი ადამიანი, კიდევ 80 ათასი — ნაგასაკიში. აშშ-მა ეს არასაჭირო, სასტიკი და დანაშაულებრივი აქცია მაინც განახორციელა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედროების განცხადებით, იაპონია მზად იყო კაპიტულაციისთვის;

* 1950-1953 წლებში, აშშ-ის ძალისხმევით, კორეაში 4 მლნ ადამიანი დაიღუპა, მიზეზი: არ დაეშვათ ქვეყნის გაერთიანება სსრკ-ის მხარდაჭერილი მემარცხენე ძალების მიერ;

* „სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ჯვარზე გაკვრა“ (ტერმინი ეკუთვნის ცნობილ მეცნიერსა და პოლიტოლოგს — **ნოამ ჩომსკის**). აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა 1962-1975 წლებში სიცოცხლეს გამოასალმეს დაახლოებით 3 მლნ ვიეტნამელი, კამბოჯელი და ლაოსელი. მხოლოდ ერთი ოპერაციის — „ფენიქსის“ — შედეგად სიცოცხლე მოუსწრაფეს 40 ათასი ვიეტნამელს;

* ირანული რეისი №655. 1988 წლის 3 ივლისს ამერიკული სამხედრო ხომალდი Vincennes-ი შევიდა ირანის ტერიტორიულ წყლებში და ჩამოაგდო სამოქალაქო თვითმფრინავი. დაიღუპა 290 ადამიანი, Vincennes-ის მეთაურმა კი აშშ-ის ხელისუფლებისგან მიიღო ჯილდო „ღირსეული სამსახურისთვის“;

* „სიკვდილის გზა“. 1991 წელს ამერიკულმა თვითმფრინავებმა გაანადგურეს ტყვედ დანებებული ათიათასობით ერაყელი ჯარისკაცი. ლიბანური წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი **ჯოის ჩედიჩი**, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, წერდა: „ამერიკელი სამხედროები მანამდე ბომბავდნენ გზაზე მიმავალ ტყვე ერაყელებს, სანამ ყველა არ დახოცეს. გზის თავზე იმდენი თვითმფრინავი ირეოდა, რომ ავიადისპეტჩერებს ეშინოდათ, საჰაერო აპარატები ერთმანეთს არ დაჯახებოდა... ეს იყო მკვლელობა ათიათასობით ადამიანისა, რომლებსაც წინააღმდეგობის გაწევის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ;

**465 ათასი სირიელი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა ამ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. და ეს გამოწვეულია აშშ-ისა და მისი მოკავშირეების, მათ შორის, საუდის არაბეთის ინტერესებით**


პატრის ლუმუმბა



* ფელუჯა. 2004 წლის აპრილში აშშ-ის საზღვაო ქვეითებმა რადიოაქტიური საბრძოლო მასალების გამოყენებით ქიმიური შეტევების სერია განახორციელეს ერაყის ამ დიდ ქალაქზე;

* ბოლა ბოლუქი — ავღანეთის სოფელი, რომელიც 2009 წლის მაისში დაბომბეს ამერიკელებმა. დაიღუპა 113 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის — ათეულობით ბავშვი;

* ნოამ ჩომსკიმ ზუსტად აღწერა უპილოტო საჰაერო აპარატების ამერიკული სამხედრო პროგრამა და მას „თანამედროვეობის ყველაზე სასტიკი ტერორისტული კამპანია უწოდა“. პროგრამა, რომელიც ამერიკელებმა 2001 წელს აამოქმედეს, ამჟამადაც ხორციელდება. ჟურნალისტური გამოძიების ლონდონური ბიურო იუწყებოდა, სულ ცოტა, 3447 ავიადარტყმაზე, რომელთა შედეგადაც 10 ათასი ადამიანი დაიღუპა. მას შემდეგ, რაც ბიურომ მონაცემების შეგროვება დაიწყო, ამერიკული დრონების დარტყმებით 1427 ადამიანი დაიღუპა ავღანეთში, პაკისტანში, სომალისა და იემენში;

* იემენელები იყვნენ პირველები, რომელთა სისხლიც **დონალდ ტრამპმა** დაღვარა პროვინცია ბაიდაში. იქ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სპეცრაზმმა მოაწყო რეიდი, რომელიც დაგეგმილი იყო ობამას ადმინისტრაციის მიერ. შედეგად დაიღუპა 25 მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის — 10 ბავშვი, ერთ-ერთი იყო 8 წლის გოგონა **ნავარ ალ-ავლაკი**, შვილი ისლამისტი მოძღვრის — **ანვარ ალ-ავლაკისა**, რომელიც 2011 წლის სექტემბერში, პრეზიდენტ ბარაკ ობამას ბრძანებით, გამოასალმეს სიცოცხლეს. სპეცოპერაციისას, აგრეთვე, მოკლეს ანვარის უფროსი ძმა და მისი 16 წლის ვაჟი — **აბდულრაჰმანი.**

## ხოცვა-ჟლეტა შუამავლების დახმარებით

როგორი შემაშფოთებელიც უნდა იყოს იმპერიული სასაკლაოს ეპიზოდები, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უფრო მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს თავისი კლიენტებისა და შუამავლების მეშვეობით.

* 1960 წელს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოკლა კონგოს სახელმწიფო მეთაური, ანტიკოლონისტური მოძრაობის ლიდერი **პატრის ლუმუმბა.** მისი ადგილი კი, აშშ-ის მხარდაჭერით, დაიკავა სისასტიკით განთქმულმა **ჟოზეფ მობუტუმ**, რომელმაც წიაღისეულით მდიდარ ამ ქვეყანაში 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. აშშ, აგრეთვე, აფინანსებს და ყველანაირად ეხმარება რუანდის დიქტატორ **პოლ კაგამეს**, რომლის სინდისზეც ათიათასობით ადამიანის მკვლელობაა;

* 1965-1966 წლებში აშშ-მა დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიასთან ერთად მხარი დაუჭირა და დააფინანსა დემოკრატიულად არჩეული ინდონეზიის მემარცხენე მთავრობის დამხობა. ქვეყანაში დაიწყო არეულობები, რომელთა შედეგად მილიონამდე ინდონეზიელი გლეხი, მუშა და ინტელექტუალი დაიღუპა. გენერალი **სუჰარტო**, რომელიც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გადატრიალებას, თავისი ავტორიტარული მმართველობის 30 წლის განმავლობაში აშშ-ისგან იღებდა სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას;

* 1975 წელს სუჰარტო ვაშინგტონელი სპონსორების დახმარებით შეიჭრა აღმოსავლეთ ტიმორში და დაიწყო ამ ქვეყნის ანექსია. შედეგად დაიღუპა 180 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები;

* 1973 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით ხუნტამ დაამხო ჩილეს პრეზიდენტი **სალვადორ ალიენდე** და მის ადგილას დასვა მარიონეტი **აუგუსტო პინოჩეტი**, რომლის რეჟიმმაც აშშ-დან იმპორტირებული ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისას სიცოცხლეს გამოასალმა 30 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე;

* 1970 წლის ბოლოსა და 1980-იან წლებში აშშ-მა, საუდის არაბეთმა და პაკისტანმა დააარსეს ექსტრემისტული ისლამურ-ვაჰაბიტური მოძრაობა, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა „ალ ქაიდად“ და „თალიბანად“. ეს გააკეთეს იმისთვის, რომ დაემარცხებინათ საბჭოთა კავშირი ცივ ომში და გამოეწვიათ პროსაბჭოთა რეჟიმის დესტაბილი- ►

**აშშ-ის სამხედრო დანაშაულები შეეხო იმ ადამიანებსაც, რომლებიც ახლა ქოლერის ეპიდემიის მსხვერპლად იქცნენ. ამ დაავადებამ უკვე შეიწირა 400 ათასი ადამიანის სიცოცხლე. ქოლერას იწვევს ბაქტერია VIBRO CHOLERA, რომელიც აშშ-ის ხელში იარაღად იქცა იაპონიის (მეორე მსოფლიო ომში), სამხრეთი აფრიკის (აპარტეიდის პერიოდში), ერაყისა (სადამ ჰუსეინის მმართველობისას) და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.**

ფაქტები და მოვლენები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ზაცია ავღანეთში. ამ სუნიტი ჯიჰადისტების სამხედრო შენაერთებმა ასიათასობით ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ახლო აღმოსავლეთში;

* **რონალდ რეიგანის** პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა ავტორიტარულმა რეჟიმებმა ცენტრალურ ამერიკაში მოკლეს 300 ათასზე მეტი ადამიანი. გვატემალაში, სალვადორსა და ჰონდურასში ადამიანებს ხოცავდნენ და ასახიჩრებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოითხოვდნენ სამუშაო და სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და მიწის სამართლიანად განაწილებას;

* 1980-1988 წლებში აშშ მხარს უჭერდა ერაყს ირანთან ომში. ამ საშინელმა კონფლიქტმა, სულ ცოტა, მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დღესაც კი უამრავი ადამიანი იტანჯება ერაყის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად. ეს ქიმიური იარაღი კი ერაყელებმა აშშ-ის დახმარებით შექმნეს;

* სხვადასხვა შეფასებით, ამერიკის მიერ დაფინანსებულმა ისრაელის მთავრობამ სიცოცხლეს გამოასალმა ასიათასობით პალესტინელი. ისრაელი პალესტინელების მიმართ აპარტეიდის პოლიტიკას ატარებს, მიუხედავად ამისა, კვლავინდებურად იღებს აშშ-ისგან სამხედრო დახმარებას;

* 1999 წელს აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა განსაკუთრებული სისასტიკით დაბომბეს იუგოსლავია (ძირითადად, სერბეთი), დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის — 400 ბავშვი. სერბეთს ჩამოაჭრეს მისი ძირძველი მიწა კოსოვო და იქ დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს;

* 465 ათასი სირიელი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა ამ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. და ეს გამოწვეულია აშშ-ისა და მისი მოკავშირეების, მათ შორის, საუდის არაბეთის ინტერესებით;

* საუდის არაბეთის ხელისუფლება ყველაზე რეაქციულია მსოფლიოში, მან ათიათასობით სხვაგვარად მოაზროვნე გაანადგურა ამერიკული იარაღითა და ამერიკელების დიპლომატიური მფარველობით. ეს ქვეყანა სუნიტურ-ვაჰაბიტური იდეოლოგიის ბუდეა, რომელიც მხარს უჭერს „ალ ქაიდასა" და „ისლამურ სახელმწიფოსთან" დაკავშირებულ ჯიჰადისტებს. მათ საუდის არაბეთი აფინანსებს;

* ცივი ომის ეპოქაში ასიათასობით შავკანიანი აფრიკელი დაიღუპა აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი აპარტეიდის რეჟიმის გამო სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში.

**ნიკა კორინთელი**

**მომზადებულია Global Research-ის მიხედვით**

# ბიოლოგიური ომი: აშშ ქოლერას იემენის მცხოვრებთა დასახოცად იყენებს



**2015 წლის მარტიდან აშშ მხარს უჭერს საუდის არაბეთსა და მის მოკავშირეებს იემენის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ომში. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ინტერნეტრესურს Global Research-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა Biological Warfare: Us & Saudis use Cholera to kill Yemenis ('ბიოლოგიური ომი: აშშ ქოლერას იემენის მცხოვრებთა უმოწყალოდ დასახოცად იყენებს").**

აშშ-ის სამხედრო დანაშაულები შეეხო იმ ადამიანებსაც, რომლებიც ახლა ქოლერის ეპიდემიის მსხვერპლად იქცნენ. ამ დაავადებამ უკვე შეიწირა 400 ათასი ადამიანის სიცოცხლე. ქოლერას იწვევს ბაქტერია Vibro cholera, რომელიც აშშ-ის ხელში იარაღად იქცა იაპონიის (მეორე მსოფლიო ომში), სამხრეთი აფრიკის (აპარტეიდის პერიოდში), ერაყისა (სადამ ჰუსეინის მმართველობისას) და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

„კარგი შედეგი" რომ გამოიღოს, ქოლერა წყლით უნდა გავრცელდეს. სწორედ ეს ხდება დღეს იემენში. 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაბომბვებმა მნიშვნელოვნად დააზიანა იემენის ინფრასტრუქტურა: დაზიანებულია წყლის მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები, საავადმყოფოები, შედეგად, 25 მლნ ადამიანი ქოლერისგან დაუცველია.

მსოფლიოს ერთ-ერთი ღარიბი ქვეყნის წინააღმდეგ გაჩაღდა ბიოლოგიური ომი, რომელსაც მხარს უჭერდა და უჭერს აშშ-ის ორი ადმინისტრაცია, ამიტომ მისი შეწყვეტის ნიშნები ჯერ არ ჩანს. ბოლო პერიოდში მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების შემთხვევებმა კიდევ უფრო მოიმატა არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ ერაყის ქალაქ მოსულიში და სირიის რაკაში. ეს არის ის, რასაც აკეთებს იმპერია, როცა მისი ავტორიტეტი ეცემა.

იემენში აშშ განაგრძობს მხარდაჭერასა და მონაწილეობას დანაშაულებრივ ქმედებებში და აშშ-ის კონგრესი, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და საზოგადოების დიდი ნაწილი ამის წინააღმდეგ არ გამოდის. როგორც ჩანს, განზრახ ავრცელებენ ტოქსინს, რომელიც, ძირითადად, აზიანებს ბავშვებს. თუ მკურნალობა ხელმისაწვდომი არ არის, ქოლერა ადამიანს რამდენიმე დღეში კლავს.

ქოლერა სწრაფად ვრცელდება ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის იემენი. აქ წყლის მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები დაბომბილია და სწორედ ეს არის მაღალი მოკვდავობის მიზეზი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი ამჟამად 124 ქვეყანაა. მისი იურისდიქცია ვრცელდება საერთაშორისო დანაშაულებზე, აგრესიის გამოვლენაზე, გენოციდზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ ან სამხედრო დანაშაულებზე. აშშ არ არის ამ ორგანიზაციის წევრი. იყო დრო, როდესაც „იურიდიული ვალდებულებების" არმქონე აშშ-ს ჰქონდა მორალური ვალდებულებები, არ ჩაედინა ასეთი დანაშაულები, მაგრამ ახლა გაურკვეველმა ნაციონალურმა ინტერესებმა აშშ მიიყვანა იქამდე, რომ ეს ქვეყანა სასტიკი პოლიციური სახელმწიფოების კომპანიაშია — საუდის არაბეთის, ეგვიპტის, ბაჰრეინისა და კუვეიტის. ეს ქვეყნები თავს ესხმიან იემენის დაუცველ მოსახლეობას, რომლის უმრავლესობაც — ჰაუტები — საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვის.

**აშშ, დიდი ხანია, არის სახელმწიფო, რომელიც მშვიდად ყოფნის საშუალებას არავის აძლევს. შეუძლებელია, ეს კარგად დასრულდეს.**

**მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# ამერიკელი არქიეპისკოპოსი: თუ გსურთ, იხილოთ ევროპის სახე 100 წლის შემდეგ, შეხედეთ ახალგაზრდა მუსლიმი იმიგრანტების სახეებს



**ასე მიმართა ამერიკელმა არქიეპისკოპოსმა ჩარლზ შაპუმ კათოლიკე მრევლს კალიფორნიის ერთ-ერთ ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას.**

არქიეპისკოპოსის აზრით, ნებისმიერი ცივილიზაციის მომავალი შვილების გაჩენაზეა დამოკიდებული და ამ საკითხში მუსლიმები სხვა ჯგუფებს ჯობნიან.

„ისლამს მომავალი აქვს, რადგან ისლამს ბავშვების სჯერა, — ამბობს შაპუ, — ტრანსცენდენტული რწმენის გარეშე, რომელიც ცხოვრებას აზრს აძლევს, არ არსებობს ბავშვების გაჩენის აზრი, ხოლო ბავშვების გარეშე არ არსებობს თავგანწირვის მიზეზი ან მომავალი".

მუსლიმებისგან განსხვავებით ქრისტიანული ევროპა უიმედოდაა, რაც მის ისეთ დაბალ შობადობაში გამოისახება, რომ ის საზოგადოების გადარჩენისთვის აუცილებელ მაჩვენებლებს ჩამორჩება. ამ დემოგრაფიულ დაცემასთან ბრძოლა მხოლოდ იმიგრაციის ხარჯზე ხდება.

„ევროპის ექვსი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერებს შვილები საერთოდ არ ჰყავთ. მათი სამყარო მათთან ერთად მთავრდება. ძნელია, მოიშორო განცდა, რომ ევროპის უდიდესი ნაწილი უკვე მკვდარია ან კვდება ისე, რომ ჯერ არ იცის ამის შესახებ", – განაცხადა არქიეპისკოპოსმა.

საფრანგეთის პრეზიდენტს, აგრეთვე, გერმანიის, ბრიტანეთის, იტალიის, შვედეთისა და ნიდერლანდების ლიდერებს შვილები არ ჰყავთ. მსგავსი რამ, ალბათ, ევროპის ისტორიაში არასდროს ყოფილა. ეს იმის ეჭვის საფუძველს იძლევა, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები, როგორც ლიდერები, ნაკლებად წუხან თავიანთი ქვეყნების მომავალზე, რადგან მათ არ ჰყავთ შვილები.

# პოლონეთის მომავალი ევროკავშირში გაურკვეველია

**ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობასა და ევროკავშირს შორის დაძაბულობის მატების ფონზე პოლონეთის მომავალი ევროკავშირში გაურკვეველია.**

„დღეს არსებობს კითხვები ევროკავშირში პოლონეთის მომავალზე", — განაცხადა პოლონეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა დონალდ ტუსკმა, რომელიც ახლა ევროპის საბჭოს ხელმძღვანელია.



„ევროპის ტრიბუნალის გადაწყვეტილების ასეთი ქედმაღლური უარყოფა რაღაც ძალიან სახიფათოზე მეტყველებს. ეს აშკარა მცდელობაა, შექმნან კონფლიქტი პოლონეთსა და ევროკავშირს შორის. ეს იმის გამოცხადების მცდელობას ჰგავს, რომ პოლონეთს არ სჭირდება ევროკავშირი და პოლონეთი არ სჭირდება ევროკავშირს. ვშიშობ, ჩვენ ახლოს ვართ ამ მომენტთან", — განაცხადა ტუსკმა.

დაძაბულობა პოლონეთსა და ევროკავშირს შორის პოლონეთის მიერ სასამართლოს სისტემის რეფორმირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკასთან ერთად მიგრანტების მიღებაზე უარის თქმას მოჰყვა.

ევროკავშირი იმუქრება, რომ, თუ ეს ქვეყნები მიგრანტების მიღებაზე არ დათანხმდებიან, ევროკავშირი მათ წინააღმდეგ სადამსჯელო ზომებს მიიღებს, რაც დაფინანსების შეჩერებაში, ხმის უფლების ჩამორთმევასა და ბლოკიდან გაძევებაში შეიძლება გამოიხატოს.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეთანხმება, რომელსაც სააკაშვილმა ხელი მოაწერა საქართველოს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღებისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ, „ქართული დიპლომატიის დიდი მიღწევა“ და „სააკაშვილის გამარჯვება“ კი არ იყო, როგორც ამას აცხადებდა სააკაშვილის პროპაგანდისტული მანქანა, არამედ სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე დიდი მარცხი მედვედევ-სარკოზის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ.**

# სააკაშვილმა სამჯერ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა

**„სამხრეთ ოსეთი მზად არის, რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით უზრუნველყოს ტვირთების ტრანზიტი რუსეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის, ოღონდ, მხოლოდ როგორც თანასწორუფლებიანმა პარტნიორმა“, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა 2017 წლის 2 ივნისს პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის კულუარებში.**

**„მივესალმებით ამ კონსტრუქციულ და საპასუხისმგებლო პოზიციას, რომელიც ამიერკავკასიაში სავაჭრო-ეკონომიკური კომუნიკაციის სისტემის განვითარების რეალურ პერსპექტივას ქმნის, რაც რეგიონის ყველა ქვეყნის ინტერესებში შედის“,** — ასეთი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია, რომელმაც მოუწოდა თბილისს, „ასეთივე კონსტრუქციული განწყობა გამოეჩინა, — **„უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს 2011 წლის 9 ნოემბრის ცნობილი შეთანხმება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებს შორის საქონლით ვაჭრობის საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმების ძირითადი პრინციპების შესახებ, რომლის მიხედვით დაკისრებული ვალდებულებების დადასტურებას ქართული მხარე, უკვე დიდი ხანია, თავს არიდებს„.**

**„2011 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმების ამგვარი ინტერპრეტაცია პრინციპულად მიუღებელია ქართული მხარისთვის და ოფიციალური მოსკოვისთვის ეს იმთავითვე ცნობილი იყო“,** — აღშფოთდნენ საპასუხოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და მოუწოდეს რუსეთს, **„დაბრუნდეს სამართლებრივ ჩარჩოებში და შეუდგეს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას“.**

თუმცა შემდგომი მოვლენები საფუძველს იძლევა, ეჭვი შევიტანოთ ქართული საგარეო-პოლიტიკური უწყების „აღშფოთების“ გულწრფელობაში. თანმიმდევრულად მივყვეთ:

2017 წლის 7 ივლისს პრაღაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხებში — **ზურაბ აბაშიძემ** და რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გრიგორი კარასინმა** მოილაპარაკეს, დაესრულებინათ კონსულტაცია ზემოთ აღნიშნული შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე და გადასულიყვნენ კონტრაქტების გაფორმებაზე შვეიცარიულ კომპანია SGS-თან, რომელიც გააკონტროლებს საქონლისა და ტვირთის მოძრაობას რუსეთიდან საქართველოს გავლით და პირიქით — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნებით. ამისთვის უახლოეს ხანში ჩამოყალიბდება შეთანხმების იმპლემენტაცის სამმხრივი რუსულ-ქართულ-შვეიცარიული სამუშაო ჯგუფი. **„ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ამის თაობაზე კონსულტაციები აღარ იქნება — დროა, კონკრეტული შეთანხმებების გაფორმებაზე გადავიდეთ. სასურველია, შვეიცარიულ კომპანიასთან კონტრაქტების ხელმოწერა უახლოეს მომავალში მოხდეს და იმპლემენტაციის სტადიაზე გადავიდეთ“,** — განუცხადა აბაშიძემ რუსეთის მედიას პრაღაში მრავალსაათიანი მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ.

ესე იგი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „აღშფოთება“ ისევე მოჩვენებითია, როგორც ევროპის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, რასაც ახლავს **გაეროს, ეუთოსა** და **ევროკავშირის** წარმომადგენლების ოფიციალური ვიზიტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც ისინი ჰპირდებიან იქაურ ლიდერებს, რომ **„დაითანხმებენ ქართულ მხარეს მათთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაზე“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „აღშფოთება“ ისეთივე არაგულწრფელია, როგორიც ევროკავშირის მისიის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ევროპელი დამკვირვებლები, რომლებსაც, როგორც გაირკვა, **სამხრეთ ოსეთის მხარემ 4 თვით ადრე შეატყობინა სასაზღვრო ბანერების დაყენების თაობაზე. რა გამოდის — ზემოჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ?!**

შეუძლებელია, „აღშფოთებულ“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არ ესმოდეთ, რომ საქართველოს პროამერიკელმა ყოფილმა პრეზიდენტმა, ცნობილმა რუსოფობმა **მიხეილ სააკაშვილმა სამჯერ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, როდესაც მათთან რამდენიმე ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელთა შინაარსი ქართველი ხალხისთვის უცნობია.** ესენია:



**1.** მედვედევი-სარკოზის ორი გეგმა საქართველოში საომარი კონფლიქტის მოსაგვარებლად (2008 წლის 12 აგვისტოსი და მოდიფიცირებული — 2008 წლის 8 სექტემბრის), რომლებსაც სააკაშვილმა 15 აგვისტოს მოაწერა ხელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების შემდეგ — სწორედ იმ ბოლო ფურცელზე, რომელზეც უკვე იყო **ბაგაფშისა** და **კოკოითის** ხელმოწერები. ეს ორი დოკუმენტი, პრაქტიკულად, უკვე ხელშეკრულებებია ძალის გამოუყენებლობის შესახებ და ისინი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების საზღვრებში აღიარებენ;

**2.** ზემოთ ნახსენები 2011 წლის 9 ნოემბრის შეთანხმება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობებს შორის საქონლით ვაჭრობის საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმის პრინციპების შესახებ, რომელზეც უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. აქ საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს, შეთანხმების მიხედვით, საქართველო კონტროლის უფლებას იღებს ყველა ტვირთზე, როგორც კი რუსეთიდან საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გავლით, მდინარე ფსოუთი და როკის გვირაბით, საქართველოში მოხვდება — ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაუკონტროლებელ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე.

სინამდვილეში კი ეს შეთანხმება, რომელსაც სააკაშვილმა ხელი მოაწერა საქართველოს მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღებისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ, „ქართული დიპლომატიის დიდი მიღწევა“ და „სააკაშვილის გამარჯვება“ კი არ იყო, როგორც ამას აცხადებდა სააკაშვილის პროპაგანდისტული მანქანა, არამედ **სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე დიდი მარცხი მედვედევ-სარკოზის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ,** რადგან:

**1**. საქართველომ უარი თქვა თავდაპირველ უმთავრეს მოთხოვნაზე — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანაზე და, შეთანხმების მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ ნეიტრალური შვეიცარიული კომპანია SGS-ის მიერ ელექტრონულ მონიტორინგზე დათანხმდა. ანუ, მოხდება კონტეინერების მარკირება — სატვირთო ტრეილერებზე დამაგრდება ჩიპები, რომელთა მეშვეობით, თანამგზავრული ნავიგაციის სისტემით კოსმოსიდან გაკონტროლდება და შვეიცარიული კომპანია SGS-ი ელექტრონულ ინფორმაციას მათი რაოდენობისა და გადაადგილების შესახებ ორივე მხარეს — ქართულსა და რუსულს — გადასცემს. საბაჟო პროცედურების უფლება კი, რომელიც გულისხმობს ტრაილერების გაჩერებას, დალუქული კონტეინერების გახსნასა და ტვირთის უშუალოდ დათვალიერებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, შვეიცარიულმა კომპანია SGS-მა ვერ მიიღო,

**2.** ელექტრონულ მონიტორინგს განახორციელებენ არა საერთაშორისო დამკვირვებლები გაეროს, ევროკავშირის ან ეუთოს წარმომადგენელთა სახით, როგორც თავდაპირველად მოითხოვდა ქართული მხარე, არამედ კერძო შვეიცარიული კომპანია SGS-ის წარმომადგენლები;

**3.** შვეიცარიული კომპანია SGS-ი დაქირავებულია შუამავლის — შვეიცარიის და არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ან ევროკავშირის მიერ, როგორც მოითხოვდა ოფიციალური თბილისი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ, შეთანხმების მიხედვით, შვეიცარიული კომპანია SGS-ი თავის თავზე იღებს ზემოაღწერილ მონიტორინგს „სამი სატრანსპორტო დერეფნით“, კერძოდ:

**ა) რფ**: საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე „ვესიოლოე“ (უროჟაინაიას ქუჩა სოჭის რაიონის დაბა ფსოუში) — **საქართველო**: საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ქალაქ ზუგდიდში, მდინარე ენგურზე გადებული ხიდის წინ;

**ბ) რფ**: საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე „ზემო ზარამაგი“ (რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიის ალაგირის რაიონის სოფელი ზარამაგი ან სოფელი ნარი, როკის გვირაბის ჩრდილოეთ პორტალის შემდეგ) — **საქართველო:** ქალაქ გორის მახლობლად;

**გ) რფ:** საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე „ზემო ლარსი“ (რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთი-ალანიას ვლადიკავკაზის ოლქი) — **საქართველო:** საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ სოფელ სტეფანწმინდაში.

გამოდის — **თუ ფსოუ, ზარამაგი და ზემო ლარსი რუსეთის საზღვარია, რაც არავისთვის სადავო არ არის, ესე იგი, საქართველოს საზღვარი, შეთანხმების მიხედვით, სააკაშვილის წყალობით, ზუგდიდში, გორსა და ყაზბეგში გადის.** ყაზბეგის შემთხვევის გარდა: ზემო ლარსი-ყაზბეგის სასაზღვრო გადასასვლელზე არანაირი „სატრანსპორტო დერეფანი“ არც ყოფილა და არც არის, საქართველოსა და რუსეთს აქ ყოველთვის რამდენიმეკილომეტრიანი ნეიტრალური ტერიტორია ყოფდა, სადაც ტრეილერები ვერ დაიკარგება, ამიტომ სამონიტორინგოც არაფერია.

არანაკლებ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში — **ვინ გაუწევს მონიტორინგს რუსეთიდან საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო გზებით მომავალ სამხედრო ტვირთებს, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი?** ვისგან მიიღებს საქართველო ინფორმაციას ტვირთებზე, რომლებიც რუსეთიდან სოხუმის, ოჩამჩირის, გაგრისა და ახალი ათონის საზღვაო ნავსადგურებში ჩადის, ხოლო სატრანსპორტო ავიაციით — სოხუმისა და გუდაუთის აეროპორტებში?

ან საქართველოში რუსეთიდან აზერბაიჯანის გავლით რკინიგზითა (სასაზღვრო გადასასვლელი ბეიუკ-კიასიკი — სარკინიგზო საკონტროლო-გამშვები პუნქტი „გარდაბანი“) და საავტომობილო გზით (საავტომობილო საკონტროლო-გამშვები პუნქტები: „წითელი ხიდი“, „ვახტანგისი“, „ცოდნა“) შემოსული ტვირთების საქმე როგორღა იქნება? გაუწევს მათ მონიტორინგს შვეიცარიული კომპანია SGS-ი?

გაუწევს მონიტორინგს შვეიცარიული კომპანია SGS-ი „ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის“ სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც მალე შევა ექსპლუატაციაში? თუ განზე გადავდებთ არარენტაბელურობის საკითხს და გავითვალისწინებთ სამხედრო მდგენელს ყარაბაღში ომის შემთხვევაში, ამ ახალი რკინიგზის საშუალებით ქართული დერეფნით რუსეთის ტვირთის ტრანზიტი შესაძლებელია.

საქართველოს საგარეო საქმეთა „აღშფოთებულ“ სამინისტროში უდავოდ იციან, რომ რუსეთის მხრიდან თითქმის მზად მყოფი დაღესტნიდან კახეთში მომავალი ავტომაგისტრალი — ავარო-კახეთის გზა — ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიხსნება, როგორც ბუნებრივი კატაკლიზმების გახშირების გამო არასაიმედო ყაზბეგი-ზემო ლარსის მონაკვეთის ალტერნატივა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ, 2018 წლის ივლისში, ამ სახიფათო მონაკვეთზე, დარიალისა და დევდორაკის ხეობების გადაკვეთის ადგილას, ექსპლუატაციაში შევა 8,5 მ სიგანის 1,7-კილომეტრიანი დევდორაკის გვირაბი, რომელზეც საქართველოს მთავრობა 20 მილიონ დოლარს ხარჯავს, ეს მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალს აქცევს წინანდებურად აქტუალურ საავტომობილო მარშრუტად, რომელიც სომხეთსა და საქართველოს რუსეთთან აკავშირებს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გზასთან ერთად, რომლებიც რუსეთის ინტერესებში და საქართველოს სატრანსპორტო დერეფნების სტრატეგიაში შედის.

ასევე, შეუძლებელია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არ მოესმინათ რფ-ის მთავრობის თავმჯდომარის — **დიმიტრი მედვედევის** ამასწინანდელი განცხადებები ახალი პროექტის — შავი ზღვის ირგვლივ წრიული ჩქაროსნული მაგისტრალის შესახებ, რომელიც გაივლის თურქეთზე, ბათუმზე, ფოთზე, აფხაზეთსა და ყირიმზე.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი**

**P.S. მაშ ასე: ქართულ სატრანსპორტო დერეფნებში, დიდი ალბათობით, მალე „ჩრდილოეთის ქარი“ დაუბერავს, რაც ხელს აძლევს არა მხოლოდ რუსეთს, სომხეთს, თურქეთსა და ირანს, არამედ საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად ეკონომიკურ მოგებას მოუტანს.**

**რუსეთის ინიციატივა — ტრეილერები ტანკების ნაცვლად — შეამცირებს დაძაბულობას ქართულ და აფხაზურ, ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. ისინი ხომ იძულებული იქნებიან, შესაბამისი სტრუქტურების დონეზე ითანამშრომლონ და პასუხისმგებლობით მოეკიდონ მართლწესრიგის უზრუნველყოფას კონფლიქტის ზონებში, სადაც სატრანსპორტო დერეფანი გაივლის?!**

**რაც შეეხება პოლიტიკურ მდგენელს, სავარაუდოა, რომ საქართველოს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არაღიარება თანდათანობით ახალ რეალიებთან ადაპტირდება, დროებით მეორე პლანზე გადავა და ადგილს დაუთმობს ხელსაყრელ ეკონომიკურ ტრენდს, რომელიც მისცემს სტიმულს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ჰუმანიტარული კონტაქტების აღდგენას. ჩიხში შესული პრობლემა, რომელიც „წითელ ხაზად“ გადის საქართველოსა და რუსეთს, საქართველოსა და აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს შორის, რომლებიც დღეს, რუსეთის ყოველმხრივი დახმარებისა და დოტაციების მიუხედავად, ეკონომიკური და ჰუმანიტარული ხასიათის სიძნელეებს განიცდიან, მომავალში შეიძლება თავისთავად მოგვარდეს, მხარეთა განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე.**

ბიჭი უკვე ხუთი წლისაა, ჰქვია რაილი-პრინც ჰაირონი, ცხოვრობს ბირმინჰემში, იპრანჭება გოგონების კაბებში, ატარებს დიადემას და დედას მეორე ყურის ბიბილოც გაუხვრიტია მისთვის საყურის ჩამოსაკიდებლად: ერთი ბიბილო დედამ ჯერ კიდევ ხუთი თვისას გაუხვრიტა. ქალბატონი ჩარლი პირველად სწორედ ამის გამო გააკრიტიკეს. კრიტიკა არც ახლა აკლია, მაგრამ იგი ჯიუტად დგას თავისაზე და არ აპირებს ბიჭის აღსაზრდელად აჩემებული პრინციპების შეცვლას. მიაჩნია, რომ „სისულელეა, ბიჭებს ერთი რამ მოსწონდეთ, გოგოებს — მეორე. ნება მიეცით, იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან. და ნუ მასწავლით, როგორ უნდა აღვზარდო ჩემი ბიჭი. თუ არ მოგწონთ მისი გარეგნობა, ნუ უყურებთ“.

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# იაპონიაში გამოსცეს დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები ლგბტ საგანში დაწყებითი კლასებისთვის

**იაპონურმა გამომცემლობა Otsuki Shoter-მ ასეთი სახელმძღვანელოების მთელი სერია დაბეჭდა, — იუწყება Japan Times.**

აბა, როგორ! იაპონელი პატარები იმთავითვე უნდა იყვნენ გათვითცნობიერებული ჰომოსექსუალობის, ბისექსუალობისა და ტრანსგენდერობის საფუძვლებში. პატივისცემით უნდა მოეკიდონ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს, მათ გენდერულ იდენტურობას. გამომცემლობა ირწმუნება, რომ დამხმარე სასწავლო საშუალებები ამ „კეთილშობილურ“ და „კაცთმოყვრულ“ მიზნებს ემსახურება. მაშასადამე, ტრანსგენდერობა, ბისექსუალობა, გეობა და ლესბოსელობა გადახრა კი არ არის, არამედ ღირსებაა.

ამ სახელმძღვანელოებში, სხვა მასალებთან ერთად, წარმოდგენილია რეალური ადამიანების ისტორიები, რომლებშიც ეს „გმირები“ პატარებს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას იმ სიძნელეთა გადასალახად, რომლებიც მათ პირადად დაძლიეს პედერასტობის ყოველდღიურობაში. ეს არის საკუთარი თავის აღქმის შეცნობის პროცესი, ქამინაუტის რისკები, მიუღებლობა ახლობლების მიერაც კი და ტრანსგენდერობის გარდაქმნის რთული გზა.

ეს „ფილოსოფია“ ბავშვებმა უკეთ რომ აღიქვან, სახელმძღვანელოები უხვად არის ილუსტრირებული.

მაგრამ თურმე ასეთი თავგამოდება საკმარისი არ ყოფილა: „საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალობის მიუხედავად, მასწავლებლები არასაკმარისად არიან მონდომებული, რათა ბავშვებს ჩაუნერგონ პატივისცემა სხვა ადამიანების მიმართ მათი განსხვავებული ნიშნების(?) გამო“, — არ მალავს უკმაყოფილებას განათლების დარგის სპეციალისტი **ნაოკი ოგი,** მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, რადგან, მისი აზრით, სიტუაცია უმჯობესდება. ამას კი ხელს შეუწყობს აღნიშნული დამხმარე „ლიტერატურის“ გამოცემა.

ამ ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელება საქონლის რეალიზაციის თანამედროვე მიღწევების დონეზეა აწყობილი: შეტანილია სკოლებში, წიგნის მაღაზიებში, გამოწერა ინტერნეტის საშუალებითაც შეიძლება.

ასე ზრდიან იაპონიაში ახალ, წინწაწეულ თაობას და მასწავლებლებსაც ურჩევენ, მიჰყვნენ ლგბტ „ცნებასა“. ტოტიგის პრეფექტურის ერთ-ერთი მასწავლებელი კოლეგებს ასეთი რჩევით მიმართავს: „ბოლო დროს მოწყობილმა გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ ყოველ კლასში ერთი ლგბტ-ბავშვი სწავლობს. თუ გსურთ, თქვენს მოსწავლეებთან ნდობისა და პატივისცემის ატმოსფერო შექმნათ, უნდა აითვისოთ ცოდნის აუცილებელი მინიმუმი“, ე.ი. პედერასტობის საფუძვლები ჯერ თქვენ თვითონ უნდა აითვისოთ.

იაპონიის განათლების სამინისტრომ ცოტა ხნის წინათ ოფიციალური ცირკულარით პედაგოგებს მოსთხოვა, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ ლგბტ-ყმაწვილების მიმართ.

მაგალითად, ასე: შედის პირველკლასელებთან ხანდაზმული პედაგოგი და ბავშვებს მიესალმება: დილა მშვიდობისა, ამომავალი მზის ქვეყნის ბავშვებო! განსაკუთრებული სითბოთი მოგესალმებით თქვენ, მომავალო მამათმავლებო, ტრანსგენდერებო, ლესბოსელებო და სხვანო, ვინც „მოდიხართ მანდ მომავლიდან!“

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## როცა დედა შვილს პედერასტად ზრდის

**არ გსმენიათ?
ახლა გაიგებთ, თუ, რა თქმა უნდა, წაიკითხავთ The Sun-ის მიერ გავრცელებუ ამ ინფორმაციას.**



ბიჭი უკვე ხუთი წლისაა, ჰქვია **რაილი-პრინც ჰაირონი**, ცხოვრობს ბირმინჰემში, იპრანჭება გოგონების კაბებში, ატარებს დიადემას და დედას მეორე ყურის ბიბილოც გაუხვრიტია მისთვის საყურის ჩამოსაკიდებლად: ერთი ბიბილო დედამ ჯერ კიდევ ხუთი თვისას გაუხვრიტა. ქალბატონი **ჩარლი** პირველად სწორედ ამის გამო გააკრიტიკეს. კრიტიკა არც ახლა აკლია, მაგრამ იგი ჯიუტად დგას თავისაზე და არ აპირებს ბიჭის აღსაზრდელად აჩემებული პრინციპების შეცვლას. მიაჩნია, რომ „სისულელეა, ბიჭებს ერთი რამ მოსწონდეთ, გოგოებს — მეორე. ნება მიეცით, იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან. და ნუ მასწავლით, როგორ უნდა აღვზარდო ჩემი ბიჭი. თუ არ მოგწონთ მისი გარეგნობა, ნუ უყურებთ“.

თავის მეოთხე დაბადების დღეზე ბიჭი პრინცესას კაბაში გამოწყობილი გამოეცხადა სტუმრებს.

25 წლის დედის აზრით, ბავშვის სქესი არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს მის თვითგამოვლენაში. არადა, დედისავე თქმით, ბიჭი გატაცებულია ფეხბურთით და უყვარს თანატოლ ბიჭებთან თამაში.

# უკრაინელი ბიზნესმენი «ოქსფორდის დიპლომების» გაყიდვის გამო დააპატიმრეს

**უკრაინა კვლავ აღიბეჭდა დასავლეთის პრესის ყდებსა და თავფურცლებზე, და კვლავ სკანდალური მიზეზის გამო. ამჯერად საქვეყნოდ თავი მოიჭრა უკრაინელმა ბიზნესმენმა სავოვმა, რომელმაც ოქსფორდის ყალბი დიპლომების გაყიდვა დაიწყო.**



უკრაინელმა თავისი ბიზნესი კლიენტებზე ორიენტული პრინციპით წამოიწყო: „განათლებას“ მოწყურებულ ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, შეთავაზებული წინადადებებიდან, რომლებიც ხელს აძლევდა, ის აერჩიათ. საუკეთესო, ანუ VIP-პაკეტის ღირებულება 9 300 გირვანქა სტერლინგი ღირდა.

„სწავლის ძირი ძვირი არის“, — ბოდიშის მოხდით გამოვიყენოთ დავით გურამიშვილის შეგონების ეს უხერხული რემინისცენცია.

**THE TIMES თავის პუბლიკაციაში წერდა, რომ უკრაინელი, არც მეტი, არც ნაკლები, თავისი „ბიზნესით“ „ექსპლუატაციას უწევდა“ „ოქსფორდის აკადემიურ რეპუტაციას“ და უნივერსიტეტის სახელით ყალბი დიპლომებისა და სიგელების გაყიდვით მილიონობით(!) ფუნტ სტერლინგს ატრიალებდა.**

გაიძვერამ ბიზნესი ააწყო ევროპის ბიზნესასამბლეის აზრის გამოყენებით. სწორედ ამ ორგანიზაციის მეშვეობით იყიდებოდა „დიპლომები“, გამოგონილი ჯილდოები, ისეთები, როგორიც იყო „სოკრატეს საერთაშორისო ჯილდო“ და „დედოფალ ვიქტორიას სამახსოვრო ჯილდო“.

შეგახსენებთ, რომ წინა შემთხვევა, როცა უკრაინამ ბრიტანეთისა და ევროპის პრესაში „გაიბრწყინა“ უკრაინელის მიერ ამერიკელი ბიზნესმენის გაუპატიურება იყო ლუდის ოქტობერფესტის ფესტივალზე გერმანიაში.

# გარდაცვლილ საყვარელს ცოცხალი საყვარელი განასახიერებდა

**აშშ-ის ოჰაიოს შტატის მცხოვრები მამაკაცი მაცივარში ინახავდა ცხედარს თავისი გარდაცვლილი მეგობრისა, რომელსაც საკმაო ხნის განმავლობაში მამაკაცის ახალი შეყვარებული განასახიერებდა.**



როგორც ქალაქ იანგსთაუნის პროკურორმა თქვა, წყვილი გარდაცვლილი ქალის სახლში ცხოვრობდა. ამერიკელის ახალი საყვარელი გარდაცვლილის საკრედიტო ბარათებით სარგებლობდა, უვლიდა მის ძაღლს. ეს დანაშაულებრივი სქემა მას შემდეგ გაიშიფრა, როცა მაცივრის მფლობელმა მაცივარი თავის მეგობარს შესანახად გადასცა. ამ უკანასკნელმა ცხედარი შემთხვევით იპოვა და სასწრაფოდ შტატის ხელისუფლებას აცნობა.

ქალის სიკვდილის მიზეზს პროკურატურა ირკვევს. დანაშაულში ეჭვმიტანილები დააპატიმრეს.

უცხოური პრესა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ შემდგომი ღონისძიებები მნიშვნელოვნად გამკაცრდება საშინაო პოლიტიკაში, უფლებადამცველთა, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ოპოზიციის მიმართ. საგარეოპოლიტიკურ სფეროში კი რუსეთი სულ უფრო რწმუნდება, რომ მკაცრი პოლიტიკა, სინდისის ქენჯნის გარეშე გადადგმული ასიმეტრიული ნაბიჯები გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე დიალოგი დასავლეთთან.**

## The Independent: ინგლისსა და უელსში ნარკოტიკებისგან სიკვდილის რეკორდი დამყარდა



**ეს ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებს ეფუძნება.**

გამოქვეყნებული მასალებით, 2016 წელს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების გარდაცვალების 3744 შემთხვევა აღირიცხა, რაც 70-ით ჭარბობს წინა წლის მონაცემებს.

ნარკომანების უმეტესობა დოზის გადაჭარბებით დაიღუპა, ასევე — ნარკოტიკების მოხმარების გამო ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული თვითმკვლელობით.

გარდაცვლილთა ნახევარზე მეტი მოიხმარდა ჰეროინს ან მორფინს, სხვები — ანტიდეპრესანტებს, კოკაინსა და ამფეტამინებს.

მკვეთრად იმატა სიკვდილის შემთხვევებმა იმ ადამიანებისა, რომლებმაც დაიწყეს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და სინთეთიკური ნარკოტიკების მიღება.

2016 წლის 20 აგვისტოს დიდი ბრიტანეთის სასაზღვრო კონტროლის სამსახურმა დააკავა გემი „ბიანკა", რომელსაც გადაჰქონდა ტონაზე მეტი კოკაინი. ის დააკავეს ქალაქ ფალმუტის ნავსადგურში. კოკაინის პარტიის ღირებულება 80 მილიონ დოლარს აჭარბებდა.

## Daily Mail: უხუცესმა ოჯახმა საიდუმლო გაამჟღავნა



**დონელების გვარის მსოფლიოში უხუცესი ოჯახი ირლანდიაში ცხოვრობს. ოჯახში 13 და-ძმაა, რომელთა ჯამური ასაკი 1000 წელიწადზე მეტია. ეს რეკორდი გინესის რეკორდების წიგნში 2017 წელს ჩაიწერა.**

დონელებს არ დაუმალავთ, თუ რით შეიძლება აიხსნას მათი ხანდაზმულობა. ისინი მიიჩნევენ, რომ მთავარი მიზეზი ცხოვრების აქტიური წესია: ყოველთვის ბევრს მუშაობენ, თამაშობენ ფეხბურთს, ჭამენ ბევრ ვაშლს, რომელიც საკუთარ ბაღში მოჰყავთ, პრაქტიკულად არ მოიხმარენ ალკოჰოლურ სასმელს. ვაშლი, რომელიც დღემდე მოჰყავთ დონელების ფერმაში, დიდ ბრიტანეთში საუკეთესოდ ითვლება. მას ვაშლის ცნობილი ღვეზელის დასამზადებლად იყენებენ.

ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრი — **ლეო** 70 წლისაა. მისი აზრით, მათი ხანგრძლივი სიცოცხლის მთავარი განმსაზღვრელია ის, რომ მთელი ოჯახი დღეში ორჯერ მიირთმევდა შვრიას. „ჩვენ ყოველთვის ვიცავდით მამის დანაბარებ რიტუალს — ძილის წინ აუცილებლად რაიმე თბილს ვჭამდით. შვრიის ფაფას საღამოს 10 საათზე და დილის 7 საათზე მივირთმევდით. შვრია რძით და ცოტა ვაშლის ხილფაფა — ესაა მთელი რეცეპტი. ფაფა ძილის წინ და ფაფა გაღვიძების შემდეგ — ასეთ წესს მივსდევდით ყოველდღიურად.

დონელების მშობლები — პიტერი და ელენი, ირლანდიაში 1921 წელს დასახლდნენ. ოჯახში 16 შვილი იყო. დღეისთვის მათგან ცოცხალი 13 დარჩა. ყველაზე უფროსი — შონი 92 წლისაა. ქალბატონი მორინი, რომელიც 91-ისაა ამბობს, რომ ოჯახის ყველა წევრი ახლაც ისევე ჯანმრთელადაა, როგორიც 50 ან 60 წლისანი იყვნენ.

ხანდაზმულობის საერთაშორისო ცენტრის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, დაწვრილებით შეესწავლათ დონელების ოჯახის წევრთა დიეტა — იყო თუ არა ყველაფრის თავიდათავი შვრია. გამორიცხული არ არის, რომ დიდ როლს თამაშობდა პროდუქტების ხარისხი. ლეოს თქმით, ოჯახი არასოდეს მოიხმარდა ნახევარფაბრიკატებს, მხოლოდ საკუთარ ფერმაში მოყვანილი პროდუქტებით კმაყოფილდებოდა. შვრიას არასოდეს ყიდულობდნენ, თავად მოჰყავდათ. ოჯახს დღეს ორგანული კვების მიმდევრებად თვლიან.

კვერცხი, ქათმისა და საქონლის ხორცი საკუთარი წარმოებისა აქვთ.

სავსებით დასაშვებია, რომ შვრიის ფაფის რეგულარული მიღება ხელს უწყობს სიცოცხლის გახანგრძლივებას. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ადამიანების, რომელთა რაციონში მუდმივად იყო პურეული, 15 პროცენტი ნაკლებად კვდებოდა გულის პრობლემების მიზეზით.

შვრია შეიცავს ვიტამინ B12-ს, რომელიც მელატონინის გამომუშავებისთვის აუცილებელია, აკონტროლებს ძილს და ადამიანის ბიოლოგიურ საათს. ბეტა-გლუკანი ამცირებს „ცუდი" ქოლესტერინის დონეს და გულსისხლძარღვთა დაავადებების ალბათობას. ცნობილია, რომ შვრიის ფანტელები ათეროსკლეროზის განვითარებას უშლის ხელს.

## Le Tempos: კრემლმა ხიდები არ დაწვა, მაგრამ თავისი ძალა აჩვენა



**ვლადიმერ პუტინი ელოდა ზეიმს, რომელიც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს ეძღვნებოდა, რათა „სასჯელი ტრიუმფის ფერებით წარმოედგინა და ამერიკელი დიპლომატების რუსეთიდან გაძევების ისტორიაში არნახული ფაქტის შესახებ ეცნობებინა საზოგადოებრიობისთვის", — წერს აღნიშნული გამოცემა.**

პუტინი იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში, სადაც საბჭოთა კავშირის შემდგომი პერიოდისთვის უდიდესი საზღვაო აღლუმი გაიმართა. ეს აღლუმი გადაიცემოდა რუსეთის ტელევიზიით სირიის ტარტუსისა და ყირიმის სევასტოპოლის აღლუმებთან ერთად, რათა ხაზი გაესვა რუსეთის არმიის ძლიერებისთვის.

Le Tempos წერს, რომ ძალის დემონსტრაცია პუტინისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, მან თავისი პოპულარობა დააფუძნა დაპირებაზე, რომ რუსეთს ისეთ ზე სახელმწიფოდ გარდაქმნიდა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა აშშ-ს. რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში, პუტინი სულ უფრო ნაკლებად აპირებს საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციების დათმობას.

„პუტინს გაუქრა ყოველგვარი ილუზია, რომ ტრამპს შეუძლია მართოს დამუხრუჭებისა და საპირწონეების ამერიკული სისტემა და დომინირებდეს ამერიკის დემოკრატიულ აპარატში", — იმოწმებს გამოცემა რუსი პოლიტოლოგის, ანდრეი კოლესნიკოვის მოსაზრებას.

**რაც უფრო ძლიერია ამერიკის სანქციები, მით მატულობს რუსეთის პრეზიდენტისადმი რუსეთის საზოგადოების მხარდაჭერა,** — წერს პუბლიკაციის ავტორი და იმოწმებს კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგის, **სერგეი მარკოვის,** სიტყვებს. სხვა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კრემლში შექმნილი ვითარებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ არიან, რადგან იმედოვნებდნენ ურთიერთობის ნორმალიზებას.

ჯერჯერობით ახალ სანქციებზე რუსეთის პასუხი მხოლოდ „სიმტკიცის მაგვარი" რამეა, რადგან დიპლომატების ურთიერთგაძევება ყველაზე ნაკლებად მტკივნეული პროცესია ურთიერთუკმაყოფილების გამოსახატავად. მეტიც, ამ ღონისძიებას უკუქმედების ეფექტი არ აქვს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს მხოლოდ „საცოდავი შეყვირებაა", რადგან აშშ რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებული არ არის.

პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ შემდგომი ღონისძიებები მნიშვნელოვნად გამკაცრდება საშინაო პოლიტიკაში, უფლებადამცველთა, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და ოპოზიციის მიმართ. საგარეოპოლიტიკურ სფეროში კი **რუსეთი სულ უფრო რწმუნდება, რომ მკაცრი პოლიტიკა, სინდისის ქენჯნის გარეშე გადადგმული ასიმეტრიული ნაბიჯები გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე დიალოგი დასავლეთთან.** „კრემლმა ხიდები არ დაწვა, მაგრამ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები აშკარად უბიძგებს მას წინაღობების ტესტირებისკენ", — ასკვნის Le Tempos-ის ჟურნალისტი.

## BBC News: პატიმრები ამერიკის ციხიდან ორიგინალურად გაიქცნენ



**ინციდენტი ალაბამას შტატში 31 ივლისს მოხდა, დეტალები კი 2 აგვისტოს შეიქნა ცნობილი.** პატიმრებმა ციხიდან გასასვლელ კარზე დაწერილი ციფრები ახალბედა მცველის დასაბნევად მელნით დაფარეს. „როცა ზედამხედველს დაუძახეს და საკანში შეშვება სთხოვეს, მან შეცდომით ციხის კარი გაუღო", — ნათქვამია პენიტენციური დაწესებულების განმარტებით ბარათში. კორპუსიდან გასულებმა საბნებისა და ციხის ტანსაცმლის გამოყენებით შეძლეს მავთულხლართიან კედელზე გადასვლა და მიმალვა.

გაიქცა 12 კაცი. მათგან 11 რამდენიმე საათში დააკავეს. გაქცეულთაგან ერთი, **ბრედლი ენდრიუ კილპატრიკი** ორი დღე-ღამის განმავლობაში იმალებოდა.

## ERR: ევროკავშირის ყოველ მესამე მოქალაქეს უცხოეთში მხოლოდ ერთკვირიანი შვებულების გატარება შეუძლია

**ამას იუწყება ERR , „ევროსტატის" მონაცემებზე დაყრდნობით. მეტი ხნით დასვენების შესაძლებლობას ხელმოკლეობა არ აძლევს. ასეთი ვითარება დამახასიათებელია ესტონეთისთვის, ხოლო ბალტიის დანარჩენ ორ ქვეყანაში შვებულების სტატისტიკა ოდნავ უმჯობესია.**

„რადიო 4"-ის საინფორმაციო სამსახური იუწყება, რომ 2016 წელს ესტონეთის მოქალაქეთა 30 პროცენტს ერთკვირიანი დასვენების სახსარიც არ გააჩნდა.



ამერიკული სანქციები ევროპულ კომპანიებს, რომლებიც ბუნებრივი აირის მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობით არიან დაკავებული, 11 მილიარდი დოლარით აზარალებს. გერმანიამ და ავსტრიამ პირდაპირ დაადანაშაულეს აშშ, რომ იგი ცდილობს, ევროპული ბაზრიდან განდევნოს კონკურენტები და გამოათავისუფლოს ადგილი ამერიკული ბუნებრივი აირისთვის.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის წინააღმდეგ მიმართულმა ამერიკულმა სანქციებმა ევროკავშირს დაარტყა



**ევროპელმა მოხელეებმა მკაცრად გააკრიტიკეს რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის სენატის მიერ მიღებული და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი სანქციების ახალი პაკეტი.**

ვაშინგტონის ცალმხრივი ღონისძიებების მავნებლობაზე ამჟერად უმაღლეს დონეზე ალაპარაკდნენ. ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ შემზღუდავი ღონისძიებები არა მხოლოდ ევროკავშირის ეკონომიკას დააზარალებს, არამედ უარყოფითად იმოქმედებს ბრიუსელისა და თეთრი სახლის ურთიერთობაზე და ევროკავშირის დაშლას შეუწყობს ხელს.

**ამერიკული სანქციები ევროპულ კომპანიებს, რომლებიც ბუნებრივი აირის მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობით არიან დაკავებული, 11 მილიარდი დოლარით აზარალებს. გერმანიამ და ავსტრიამ პირდაპირ დაადანაშაულეს აშშ, რომ იგი ცდილობს, ევროპული ბაზრიდან განდევნოს კონკურენტები და გამოათავისუფლოს ადგილი ამერიკული ბუნებრივი აირისთვის.** ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მოუწოდა ევროკავშირს, შეეწინააღმდეგოს ამ გადაწყვეტილებას. ბერლინში დაადასტურეს, რომ უარს ამბობენ სანქციებზე და შეამოწმებენ, შეესაბამება თუ არა ეს კანონი საერთაშორისო ნორმებს.

„ჩვენ კვლავაც მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, რომ ამერიკული სანქციების მიზანი ევროკავშირის ეკონომიკა არ უნდა გახდეს იმ შემთხვევაში, როცა სანქციები რუსეთის ქმედების წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვენ პრინციპულად უარვყოფთ ექსტერიტორიული მოქმედების სანქციებს, ანუ — მესამე ქვეყნებზე მოქმედ ღონისძიებებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

**ანგელა მერკელი** გერმანული ბიზნესის იგნორირებას არჩევნების წინ ვერ შეძლებს. დიუსელდორფის მიწის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა „გაზპრომისთვის“ ადრე დაწესებული Opal-„ჩრდილოეთის ნაკადისთვის“ დამატებითი სიმძლავრეების გამოყენების აკრძალვა (ეს გაზსადენი უკრაინისა და პოლონეთის შემოვლით გაჰყავთ). ერთ დღეში ამ გზით ტრანზიტმა 40 პროცენტით მოიმატა.

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები გააფთრებულები არიან. პოლონეთი სანქციების საკითხში სრულად უჭერს მხარს ვაშინგტონს. ღონისძიებების გაფართოება, საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, ვარშავის სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება. ფინეთის ყოფილი პრემიერმინისტრი კი საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას.

ევროპულმა პრესამ, საერთო ჯამში, არ გაამწვავა ევროპულ კომპანიებზე სანქციების ამოქმედების ნეგატიური ზემოქმედების საკითხი. გაზეთმა „გარდიანმა“ მხოლოდ მიანიშნა, რომ ღონისძიებების პაკეტმა კიდევ უფრო გახლიჩა ძველი ევროპა: აშშ-ისთვის ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად ქვეყნები თავიანთი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე ამოქმედდნენ.

სამაგიეროდ ხმა ამოიღო ევროკომისიის ხელმძღვანელმა **ჟან-კლოდ იუნკერმა.** მან თქვა, რომ ევროკავშირი თავის ეკონომიკურ ინტერესებს დაიცავს და ადეკვატურ პასუხს გასცემს შტატებს.

ჟან-კლოდ იუნკერმა ცოტა იეშმაკა: განცხადება მან შვებულებაში გასვლის წინა დღეს გააკეთა, — არდადეგებზე დაითხოვეს საერთოდ ევროკომისია, ამიტომ შედეგების განმხილველი და საპასუხო ღონისძიებების დამსახველი პრაქტიკულად არავინ დარჩა. ამ საკითხს, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ შემოდგომაზე თუ დაუბრუნდებიან.

# «თავდაცვითი» შეიარაღებით უკრაინის აღჭურვა მხოლოდ სიკვდილის მომტანია



**რუსეთ-ამერიკის კრიზისის გამწვავების პარალელურად პენტაგონმა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიმუშავეს „თავდაცვის მომაკვდინებელი იარაღით“ უკრაინის მომარაგების ერთობლივი გეგმა, რომელიც სასურველი პერსპექტივაა, როგორც ამერიკელი, ასევე, რუსეთის გენერლებისთვის: საშუალება მიეცემათ ,ერთმანეთზე გამოსცადონ თავიანთი უახლესი შეიარაღების ეფექტიანობა. ამასთანავე, გაიზრდება მსხვერპლის რაოდენობა აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტში, მაგრამ ამას ვინ დაგიდევთ.**

Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნულია, რომ აშშ უკრაინას შეაიარაღებს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა „ჯაველინებით“, და შესაძლებელია, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებითაც დაეხმაროს. იმის გამო, რომ საჰაერო ბრძოლა ამოსავლეთ უკრაინაში ამჟამად არ მიმდინარეობს, კომპლექსების გადაცემის აუცილებლობა დღის წესრიგში არ დგას. ხოლო რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი შეტევის განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია.

უკრაინაში აშშ-ის ახალმა წარმომადგენელმა **კურტ ვოლკერმა** განაცხადა, რომ „ამჟამად უკრაინაში გაცილებით მეტი რუსული ტანკია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ერთად“.

სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ინფორმაცია მიიღო კიევში, სადაც ზუსტად არ იციან, რამდენი ტანკია დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში. ასახელებენ 1000 საბრძოლო მანქანას. რუსეთის ტელევიზიამ კი გაკვრით აჩვენა დაპირისპირებული მხარეების საბრძოლო ძლიერების ამსახველი ცხრილი, რომლის მიხედვით, აღმოსავლეთ უკრაინაში 700 ტანკია. შედარებისთვის: გერმანიისა და საფრანგეთის ტანკების საერთო რაოდენობა 949-ს არ აღემატება.

რუსეთმა უარყო სეპარატისტებისთვის ტანკების მიწოდების ბრალდება, განაცხადა, რომ ისინი ან ომის დროს ნაალაფარია, ან საბჭოთადროინდელ უზარმაზარ საწყობებშია ნაპოვნი.

„ტანკსაწინააღმდეგო“ კომპლექსების გადმოცემა ძალიან გამოგვადგება, განაცხადა უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარემ **ანდრეი პარუბიიმ** ივნისში გამართულ პრესკონფერენციაზე, დებალცევოსთან ბრძოლაში რამდენიმე ასეული რუსული ტანკი რომ დაგვეწვა, ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების გზაზე.

„ჯაველინების“ გამოყენება სეპარატისტების ტანკების წინააღმდეგ, ისევე, როგორც უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილის ფრონტზე რუსული ტანკების წინააღმდეგ, დიდი ურთი ბუზის მოკვლის მცდელობას დაემსგავსებოდა. რუსეთს ნებისმიერ სხვა ქვეყანაზე მეტი ტანკი აქვს — 20 000-ზე მეტი, მაგრამ ეს ისეთი მასალაა, რომლის დაწვა ადვილად შეიძლება: ძველი მოდელებია — 1973 წლის T-72 და ათი წლის შემდეგ მწყობრში ჩამდგარი T-80. მათი უმეტესობა რაოდენობრივი უპირატესობის დემონსტრაციისთვის თუ გამოდგება. მოწინააღმდეგემ, რამდენიც უნდა დაწვას, ზოგიერთი ნებისმიერ შემთხვევაში მოახერხებს გარღვევას.

რუსეთი ცვალებადი წარმატებით იყენებდა მათ ლოკალურ კონფლიქტებში, 1990 წლიდან ჩეჩნეთის სამოქალაქო ომით დაწყებული, 2008 წელს საქართველოში შეჭრამდე, როცა პატარა ქვეყნის ძალები უცებ იქნა გადათელილი. ამჟამად სწორედ ამ დაძველებული ტექნოლოგიების იმედზეა უკრაინის არმია. ორივე ქვეყანამ განახორციელა T-72-ის მოდერნიზაცია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

T-72-ისა და T-80-ის გაუვნებლობა წარმატებით შეიძლება საბჭოთა იარაღის მეშვეობით, რომელიც საკმარისად აქვს როგორც უკრაინის შეიარაღებულ ძალებს, ასევე მოხალისეებს. „ჯაველინი“, რომლითაც აშშ-ის არმია 1990-იან წლებში აღიჭურვა, გამიზნულია რუსეთის საუკეთესო ტანკის — T-90-ის გასანადგურებლად, რომელიც თანამედროვე დინამიკური საშუალება „რელიქტით“ არის აღჭურვილი. „ჯაველინი“ ასეთ სისტემებს დღეს არსებულ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებზე უკეთ აზიანებს. ასეა მიჩნეული, თორემ დღემდე „ჯაველინით“ აფეთქებული T-90 არავის უნახავს. შარშან სირიელმა ამბოხებულებმა ნაკლებად თანამედროვე რაკეტით — BGM-71 TOW-2Aთი შეუტიეს T-90-ს, რომელიც აღჭურვილი იყო დინამიკური დაცვის სისტემით „კონტაქტ-5“-ით, მაგრამ საბრძოლო მანქანას პრაქტიკულად ვერაფერი დააკლეს. „ჯაველინი“, ალბათ, გაანადგურებდა, მაგრამ, საეჭვოა, შეძლებდა კი ამის გაკეთებას, თუ T-90 აღჭურვილი იქნებოდა დაცვის უფრო თანამედროვე სისტემით.

რუსეთი ამტკიცებს, რომ უახლესი ტანკები — T-14-ები — გაუძლებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნებისმიერ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებას: მათი დაცვითი სისტემა „რელიქტისაზე“ უკეთესია, მაგრამ T-14-ს — „არმატას“ — ჯერ არ გაუვლია ყველა სახის გამოცდა.

რუსეთი მიმდინარე კონფლიქტებს თავისი ახალი შეიარაღების საცდელ პოლიგონად განიხილავს. პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა, რომ სირიის კონფლიქტში მონაწილეობა ბიუჯეტის გამოყენების თვალსაზრისით სწავლებისა და სამხედრო მომზადების არსებულ პრაქტიკულ ღონისძიებებთან შედარებით გაცილებით რაციონალური იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამერიკელი გენერლებიც დაინტერესებულნი არიან ამ ხასიათის გამოცდით, რადგან აშშ-ს თანამედროვე რუსული ტანკების საწინააღმდეგო იარაღის დამუშავება და დამზადება სჭირდება...

მომაკვდინებელი მოქმედების იარაღით უკრაინის მომარაგება, სამხედრო თვალსაზრისით, მიზანშეუწონელია, თუ, რასაკვირველია, შტატებს არ სურს დაკარგული სახალხო რესპუბლიკების დაბრუნების საქმეში უკრაინისთვის ხელის შეწყობა, მაგრამ ეს შეცდომა იქნება.

სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ნაბიჯის გადასადგმელად აშშ-ს ხელი უბიძგოს საშინაო პოლიტიკურმა მიზეზებმა, სიტუაციამ, რომელმაც აიძულა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი, ჩასულიყო ესტონეთში, საქართველოსა და ჩერნოგორიაში, რათა ეს ქვეყნები ამერიკის მხარდაჭერაში დაერწმუნებინა, ხოლო პრეზიდენტ ტრამპს ხელი მოეწერა კონგრესის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციების კანონპროექტზე.

დასასრულ, უკრაინის შეიარაღება, დიდი ალბათობით, უფრო სისხლისმღვრელს გახდის ამ ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტს, რომელსაც უკვე ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

**ლეონიდ ბერშიდსკი,**
**Bloomberg, აშშ**

# ჩრდილოეთ კორეა: მზად ვართ, აშშ-ს ბირთვული იარაღის გამოყენებით მკაცრი გაკვეთილი ჩავუტაროთ



**აზია-წყნარი ოკეანის ზონის ქვეყნების შეხვედრაზე ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი იუნ ჰომ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ აპირებს ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებას. მინისტრის თქმით, მსოფლიოს საფრთხეს, ჩრდილოეთ კორეის რაკეტები კი არა, აშშ უქმნის. იუწყება The Wall Street Journal-ი .**

ჩრდილოეთი კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აშშ-ის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, ჩრდილოეთ კორეა მზად არის, ბირთვული იარაღის გამოყენებით, აშშ-ის მკაცრი გაკვეთილი ჩაუტაროს. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნებს შეუძლიათ, არ იღელვონ, სანამ ამერიკას დაუჭერენ მხარს და შეუერთდებიან.

ფხენიანში, აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ აშშ-ის უგუნური საქციელი მხოლოდ ამ ქვეყნის გაქრობას დააჩქარებს.



წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეროვნული სკოლა „გამოგვიზრდის ჩვენს საკუთარს ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“.

# არის კი დღეს ეროვნული სკოლა ქვეყნის განვითარებისა და წარმართების დედაბოძი?

**1860-იანი წლებიდან ქართული კულტურის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. საქართველოში უფროსი თაობის მრწამსის კრისტალიზაციამ „ცისკრის“ ფურცლებზე სათანადო პირობები შექმნა საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი თაობის გამოსვლისთვის. ამ თაობას აერთიანებდა ერთიანი მსოფლმხედველობრივი საფუძველი — დასავლეთევროპელი და რუსი განმანათლებლების მოძღვრების პოზიციებზე დგომა.**

„თერგდალეულთა“ საერთო მიზანი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის შეცვლა და განახლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად მათ საერთო თვალთახედვა ჰქონდათ მთელ რიგ საკითხებზე. დღეს არსებობს კი ერთიანი, საერთო თვალთახედვა? დღევანდელ სკოლას შეუძლია აღზარდოს ისეთი ქართველი ინტელიგენცია, რომელიც ქვეყნის განვითარების დედაბოძი იქნება? სკოლაში ჩატარებული გამოცდების შედეგები, სამწუხაროდ, ამის იმედს არ იძლევა. ათეული წლებია, ჩვენს სკოლებში ექსპერიმენტებს ატარებენ სწავლებაში, თვით სკოლასაც რამდენიმეჯერ გამოუცვალეს სახელი — ჯერ საშუალო იყო, შემდეგ — ზოგადსაგანმანათლებლო, ახლა კი საჯაროა. რას ნიშნავს საჯარო? რა უპირატესობა აქვს მას? — არავინ იცის და არც არავინ კითხულობს. განათლების მინისტრი კი ქართულ ზღაპრებში „იქექება“ და თავისი „ორიგინალური თვალსაზრისით“ ცდილობს ჩვენს გაოცებას. თუმცა გაოცებას ნამდვილად ახერხებს, მაგრამ არა იმ მხრივ, როგორადაც მას სურს — ბატონმა ჯეჯელავამ ზღაპრებში კი „გაიჯეჯილა“, მაგრამ ვერც კომბლეს, ვერც ნაცარქექიას „ჩირქი ვერ მოსცხო“, თავი კი ნამდვილად სამასხაროდ გაიხადა.

ასეთ მინისტრს დაქვემდებარებული სკოლების მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს კი ნესტანი და დარეჯანი შეყვარებულები ჰგონიათ, სამკუთხედის კუთხეების რაოდენობაზე დაფიქრება სჭირდებათ, ბარათაშვილის ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ წაკითხვისას მხოლოდ ერთი აზრი მოსდით თავში: — ნეტა, როდის იყო მტკვარი ანკარაო?!

მსგავსი მაგალითები, ალბათ, ადრეც იყო, მაგრამ ამჯერად უამრავია. დღეს ქართულმა სკოლამ უარი თქვა ჩვენი საამაყო კლასიკოსი პოეტების ლექსების ზეპირად დასწავლაზე (?!). არადა, ილიას თუ მოვუსმენთ, სკოლის დანიშნულება ის არის, რომ მოზარდ თაობას „აუხილოს გონების თვალი“, „მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული თაობა. განა დღევანდელი სკოლა ამას შეძლებს? განათლების მესვეურნი მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს — იმ საძირკველს, ანუ სკოლას ანგრევენ, რომელზეც ერის ძლიერების ფუნდამენტური შენობა უნდა აღიმართოს.

რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? იმას ვერ დაველოდებით ან ილია გაცოცხლდება და მოგვხედავს, ან ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი თუ მთელი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, მაგრამ ასე ხელებჩამოშვებული დგომა და იმის ყურება, როგორ ინგრევა საუკუნეების განმავლობაში დიდის რუდუნებით შექმნილი ქართული განათლების სისტემა და ეს ქვეყანა ხელიდან როგორ მიდის, ნამდვილად დანაშაულია. ახლა სწორედ იმ მდგომარეობაში ვართ, როგორც ბატონი ოტია იოსელიანი ბრძანებდა:

„სადა ხარ, ღმერთო!
შენი შექმნილი ქვეყანა რომ ხელიდან მიდის,
გზა-კვალი არ ჩანს, კაცი არ ჩანს გამდები ხიდის,
გახდა ქვეყანა მოღალატის, გამცემის, ფლიდის,
ხელიდან მიდის, მიდის და მიდის!..
...ცას ვილა ჩივის, აღარაა პატრონი მიწის,
ხელიდან მიდის, მიდის და მიდის!...
ქალი ქალს არ ჰგავს, უპერანგო პერანგს რად იხდის,
კაცი არა ჩანს მოძულე სიძვის!
არავინაა გამკითხავი, არავინ იძვრის,
ქვეყანას ფასი დაედო კიტრის,
ხელიდან მიდის, მიდის და მიდის“!

აქვე გთავაზობთ მიმოხილვას სწავლა-აღზრდის საკითხებზე, რომელიც „დროების“ (1866-1885) ფურცლებზე ქვეყნდებოდა.



ილია ჭავჭავაძე:

## «დედა ენა უპირველესი საგანი, უკეთესი და აუცილებელი სახსარია, რათა სკოლამ თავისი დანიშნულება აღასრულოს»

განათლების სისტემასა და პედაგოგიკურ აზრს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ამ სფეროში „თერგდალეულებისა“ და მათი ერთ-ერთი მთავარი ორგანოს — „დროების“ უდიდესი დამსახურება და ნოვატორობა ისაა, რომ მათ სწავლა-აღზრდის ორგანიზებისა და წარმართვის საქმე ევროპელი განმანათლებლების თეორიულ პრინციპებზე დააფუძნეს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერება და ტექნიკა უკვე გაბატონებულია, აუცილებელია საყოველთაო განათლება. „თერგდალეულებიც“ განათლების აპოლოგეტები არიან. ამას ისინი არა მხოლოდ თეორიულად მოითხოვდნენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ: ჩამოაყალიბეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, გახსნეს სკოლები და სხვ., მაგრამ, განათლება რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, აუცილებელი იყო სალიტერატურო-სამეცნიერო მეტყველების ხალხის მეტყველებასთან დაახლოება.

**ილია ჭავჭავაძეს** ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული, როდესაც აღნიშნავდა, რომ **ეროვნული სკოლა „გამოგვიზრდის ჩვენს საკუთარს ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“.**

„თერგდალეულებმა“ სამეცნიერო-სალიტერატურო ენის ძირეული რეფორმა მოახდინეს. სამეცნიერო-სალიტერატურო ენა ხალხისათვის მისაწვდომი და იოლად გასაგები გახადეს.

ენის რეფორმასაც ცხარე სჯა-ბაასი, შეხლა-შემოხლა მოჰყვა, მაგრამ „თერგდალეულებმა“ ეს საქმე გამარჯვებით დააგვირგვინეს. ისინი ხელოვნება-მწერლობას ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდნენ. ხალხისა და ქვეყნის ჭირ-ვარამი, შვება-ლხენა, მწერლობა ხელოვნების ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს თვალსაზრისი მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სხვათა ნაწერებში. ყოველი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ შეხედულების.

განმანათლებლური იდეების გავრცელების შედეგად, რასაც ილია ჭავჭავაძემ „ევროპეიზაცია“ უწოდა, უფროსი თაობის რეტროგრადულ ღირებულებათა სისტემა, სალიტერატურო ენით დაწყებული და სწავლა-განათლების მეთოდებსა და დანიშნულებაზე წარმოდგენით დამთავრებული, საზოგადოებრივი ცხოვრების პერიფერიაში მოექცა.

„თერგდალეულების“, მათ შორის „დროების“, პოზიციას სწავლა-განათლების საკითხებზე ის განმანათლებლური მრწამსი ასაზრდოებს, რომ **კულტურის ყველა უბანი რაციონალიზმის თეორიულად ღრმადგააზრებულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს.** თერგდალეულთა თეორიულ ნააზრევში ერთ-ერთი მთავარი საკვანძო სიტყვა „გონება“ ხდება. გრიგოლ ორბელიანი თავის საპოლემიკო ლექსში „პასუხი შვილთა“ ახალ თაობას, „შვილებს“, შემთხვევით როდი ადანაშაულებს გონების უზენაესობის პრინციპის წამოყენებაში: „შკოლა“ გამართეს და დაიწყეს იმის ქადაგება,



ნიკო ნიკოლაძე:

## «აღზრდა არის კაცის გამზადება ცხოვრებისათვის»



რომ „ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“. „დროების“ ერთ-ერთი ავტორის — **ილია ჭავჭავაძის თქმით, სკოლის დანიშნულება არის ის, რომ მოზარდ თაობას „აუხილოს გონების“ თვალი“, „მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული „კაცი“.** ა. ნანეიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლიტერატურას **„დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდობის გონებით განვითარებაზე“** („დროება“, 1881, №80). „დროების“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი — ნ. ნიკოლაძე აღზრდის მიზანს მოზარდის „გონებისა და ზნეობის“ სრულყოფაში ხედავს („კრებული“, 1871, №3).

**განათლების სისტემის მოწყობის საკითხზე „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილებში გატარებულია ის აზრი, რომ მოზარდი თაობის გონებრივი განვითარება მიზნად უნდა ისახავდეს სრულყოფილი პიროვნების, ჭეშმარიტი მოქალაქის ჩამოყალიბებას.** განმანათლებლობისა და პედაგოგიკური აზრის უდიდესი წარმომადგენლების — იან ამოს კომენსკის, იოჰან ჰაინრიხ პესტალოცისა და კონსტანტინ უშინსკის კვალად, **იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ პიროვნების „ჰარმონიული განვითარება შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისა“.**

**„დროების“ ავტორები თავგამოდებით იცავდნენ იმ აზრს, რომ ჰარმონიულად განვითარებული და ქვეყნისათვის სასარგებლო მოქალაქის აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე.** ამ მხრივ ტიპურად უნდა მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის განცხადება, რომ **„დედა ენა უპირველესი საგანი, უკეთესი და აუცილებელი სახსარია, რათა სკოლამ თავისი დანიშნულება აღასრულოს“** („დროება“, 1881, №33). წერილში „სამშობლო ენის პროგრამაზედ“ **სერგი მესხი** იცავს იმ აზრს, რომ **„პირველი დაწყებითი სწავლა ბავშვს თავის სამშობლო, გასაგებ და დედის ძუძუსთან შეზრდილს ენაზედ უნდა გადასცეს მასწავლებელმა“** („დროება“, 1879, №59). აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ი. ა. კომენსკის ხატოვანი სიტყვები, რომ „მშობლიური ენის სკოლა წარმოადგენს ზაფხულს, რომელსაც მწიფე პურის თავთავები მოაქვს“. „დროების“ ფურცლებზე ეროვნული სკოლის, მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის ერთ-ერთი უმთავრეს ფაქტორთაგანია.

პედაგოგიკის საკითხებში „თერგდალეულების“ განმანათლებლური პოზიცია ვლინდება იმ ფაქტშიც, რომ ისინი გადაჭრით უარყოფდნენ სწავლა-აღზრდის სქოლასტიკურ მეთოდებს, მოითხოვდნენ სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის დაცვას, მოზარდი თაობის სათანადო მომზადებას ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობისათვის. **მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით გამართულ მწვავე კამათში, სწავლების რომელი მეთოდია სრულყოფილი — „კლასიკური“ თუ „რეალური“, „დროებამ“ ერთხმად დაიკავა პოზიცია უკანასკნელის სასარგებლოდ.** ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი და „დროების“ სხვა ავტორები, ევროპელი განმანათლებლების იდეებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად ასაბუთებდნენ, რომ კლასიკური განათლება ცალმხრივობით ხასიათდება, ნაკლებად უთმობს ყურადღებას „ნამდვილ, ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას“ (ნ. ნიკოლაძე — „კრებული“, 1871 №3). ნიკო ნიკოლაძის მიერ რეალური განათლების სისტემის დასაცავად დაწერილ წერილში გატარებულია ის აზრი, რომ **„აღზრდა არის კაცის გამზადება ცხოვრებისათვის“** („დროება“, 1871, №12), ხოლო ამ ამოცანას კლასიკური განათლება ვერ უზრუნველყოფს, ვინაიდან ძირითადად ჰუმანიტარული საგნებით იფარგლება და უგულებელყოფს საბუნებისმეტყველო საგნებს.

„დროებამ“ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში რეალური განათლების სისტემის დანერგვას, პროფესიული სწავლების გავრცელებასა და სპეციალური სასწავლებლების გახსნას.

სერგი მესხი:

## «პირველი დაწყებითი სწავლა ბავშვს თავის სამშობლო, გასაგებ და დედის ძუძუსთან შეზრდილს ენაზედ უნდა გადასცეს მასწავლებელმა»

მოამზადა
**დარეჯან ანდრიაძემ**

**სამოციანელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ სწორედ მშრომელი ხალხი შეადგენს ისტორიის მამოძრავებელ და ჭეშმარიტად პატრიოტულ ძალას. ამგვარად, სამოციან წლებში ახალი ეტაპი დაიწყო როგორც ეროვნული და სოციალური მოძრაობის ისტორიაში, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და თვით პატრიოტიზმის გაგებაში.**

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს 60-იანელებს (თერგდალეულებსა და ხალხოსნებს), რომელთა უმრავლესობამ სწავლა-განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და რუსეთის დემოკრატიულ იდეებს ეზიარა. თუმცა ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვა თერგდალეულები, ისევე, როგორც ა. ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ერთსულოვანნი იყვნენ. ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის მიმართ, რადგან მასთან იყო დაკავშირებული საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. „რუსეთის საკითხი“ მათ აინტერესებდა არა განყენებულად, არამედ სამშობლოს ბედთან დაკავშირებით. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, საქართველოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს.**

# მშვიდობისა და წინსვლის საწინდარი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №29 (405)

## ჭეშმარიტი და ცრუ პატრიოტიზმი

ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები კარგად ხედავდნენ, რომ ორი ძირითადი მიმართულება — ჯანსაღი და ყალბი პატრიოტიზმი — არსებობდა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ საქართველოშიც. იქაც და აქაც ეს აშკარად მჟღავნდებოდა როგორც საკუთარი სამშობლოს, ისე სხვა ერებისადმი დამოკიდებულებაში.

როგორც ვიცით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით „მამათა და შვილთა“ შორის ბრძოლის გამწვავებისას, ქართულ პრესაში ხშირად იმართებოდა კამათი იმის შესახებ, თუ ვინ ჩაითვლება ნამდვილ მამულიშვილად.

**ი. გოგებაშვილი** სამართლიანად მიუთითებს, რომ ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები „მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათი დამცირებით ჩვენი თავი ავამაღლოთ“, ან ძველ, დრომოჭმულ „დაწყობილობათა რესტავრაცია“ მოვახდინოთ, არა. მათ „სურთ არა მკვიდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდგან. ისინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესნი მოდასავლეთენი (ზაპადნიკები) **ბელინსკი, დობროლიუბოვი,** ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუვის“ (**გერცენი**) და „რა ვქნათ?“ (**ჩერნიშევსკი), შჩედრინი** და სხვანი. ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასავე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს, სახელდობრ — ეროვნული ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავება“ (ტ. I, გვ. 375).

ნამდვილ პატრიოტად ჩაითვლება, — ამბობს **ი. გოგებაშვილი**, ის, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია“ (ტ. I, გვ. 371). ასეთი პატრიოტები, ავტორის რწმენით, არიან რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები (იგულისხმებიან, ცხადია, პირველ ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი).

ეს მრავალმხრივ საყურადღებო წერილია, რომელშიც ი. გოგებაშვილმა სწორად დაახასიათა დამყაყებული ნაციონალიზმი და ჯანსაღი პატრიოტიზმი, განსაკუთრებით გახაზა ქართველ და რუს სამოციანელთა ეროვნული კონცეფციების მსგავსება. აქ საქმე გვაქვს ფრიად საინტერესო და სამართლიან ანალოგიასთან.

ცნობილია, რომ „სრულიად რუსეთის დემოკრატ-რევოლუციონერი ჩერნიშევსკი და მისი თანამოაზრენი შეუპოვრად იბრძოდნენ როგორც რუსი, ისე სხვა ხალხების სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. „სიძულვილი სიყვარულიდან“ — ასეთი იყო ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და სხვა ნამდვილ რუს პატრიოტთა მებრძოლი ჰუმანიზმის გამომხატველი ერთგვარი ფორმულა-დევიზი, სიძულვილი მჩაგვრელებისადმი გამოწვეული იყო ჩაგრულებისადმი სიყვარულით, მეტიც, ამ სიყვარულიდან მოდიოდა სახელოვან რევოლუციონერთა სიძულვილი დაბეჩავებულ ხალხში გავრცელებული მონური მორჩილების, უვიცობისა და ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც რუსეთის წინსვლას აბრკოლებდა. ნ. ჩერნიშევსკის სამართლიანი მტკიცებით (მაგალითად, ცნობილ წერილში „შემობრუნების დასაწყისი ხომ არ არის?“) ექსპლუატირებული გლეხობის მძიმე მდგომარეობის მოსასპობად მათდამი სენტიმენტური თანაგრძნობა კი არ არის საჭირო, არამედ ბრძოლა მათში დამკვიდრებული მონური ფსიქოლოგიისა და სხვა მანკიერებათა წინააღმდეგ.

მაგრამ სწორედ სამშობლოს ამ ნამდვილი სიყვარულისათვის სწამებდნენ ჩერნიშევსკის რუსეთისადმი სიძულვილს კატკოვი და სხვა რეაქციონერები თუ ფსევდოპატრიოტები.



**ნამდვილ პატრიოტად ჩაითვლება, — ამბობს ი. გოგებაშვილი, ის, «ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია»**

თითქმის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა საქართველოშიც (თუმცა აქ სპეციფიკური პირობების გამო წინა პლანზე ეროვნულმა საკითხმა წამოიწია). ქართველი კონსერვატორები და ნაციონალისტებიც ხომ ამტკიცებდნენ, რომ თერგდალეულები „რუსოფილები“ არიან და საქართველო სძულთო... ერთი (ზერელე) შეხედვით ასეთი ბრალდებისათვის მათ საბუთებიც საკმაოდ მოეპოვებოდათ, გავიხსენოთ, მაგალითად**, ილია ჭავჭავაძის** „ბედნიერი ერი“ და „კაცია-ადამიანი?!“, **აკაკი წერეთლის** სატირული ლექსები და დაუმთავრებელი რომანი „იმერლები“, რომელშიაც საქართველო შედარებულია „დიდსა და ბნელ აკლდამასთან, სადაც „ძველი აზრების კაცნი დაბოდიალობენ“. თუ ჩერნიშევსკიმ რუსებს „მონების ერი“ უწოდა, ილიამ თავისი ერი ისეთი ეპითეტებით შეამკო, როგორიცაა: „უწყინარი“, „უჩინარი“, „ქედდრეკილი“, „უშფოთველი“, „ყოვლად მთმენი“, „მუნჯი“, „თვალაზმული“, „უზრუნველი“ და სხვ., მაგრამ ეს ეპითეტებიც, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარულით, კაეშნით შეპყრობილი სიყვარულით იყო ნაკარნახევი. გავიხსენოთ „აჩრდილის“ ავტორის გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები:

**„ჩემზედ ამბობენ:**
**„ის სიავეს**
**ქართვლისას ამბობს,**
**ჩვენს ცუდს არ მალავს,**
**ეგ ხომ ცხადი**
**სიძულვილია!“**
**ბრიყვნი ამბობენ,**
**კარგი გული კი**
**მაშინვე სცნობს —**
**ამ სიძულვილში**
**რაოდენიც სიყვარულია“.**

აქ მკვეთრად გამოვლინდა ი. ჭავჭავაძის „სიძულვილი სიყვარულიდან“, მისი ჯანსაღი, გონივრული, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი, მისი მაღალი და კეთილშობილი აზრები და გრძნობები. ნამდვილი მამულიშვილობა, დიდი ილიას ღრმა რწმენით, იმას როდი ნიშნავს, რომ გიყვარდეს ყველა ქართველი — მჩაგვრელიც და ჩაგრულიც, პარაზიტიც და მშრომელიც, რადგან იგი შენი თანამემამულეა; რომ მოგწონდეს ყველაფერი ქართული — ავიც და კარგიც, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართულია. თათქარიძეებს და მის მსგავს ცოცხალ ლეშებს „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი, გასაგებია, კაცურკაცებად ვერ ჩათვლიდა.

საქართველოსადმი ასეთი გონივრული დამოკიდებულება ახასიათებდა თითქმის ყველა ჩვენს სამოციანელს და ხალხოსანს. აი, მაგალითად, რას წერდა **ანტონ ფურცელაძე:**

„...თავისი ინტერესების დაცვა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ წაექიდო ყველა, თუმცა დამკვიდრებულს, მაგრამ წამხდარს ანუ უსარგებლო ნიჭს, გარემოებას, წყობილებას, ზნეს, ინტერესების დაცვა უნდა ისახებოდეს იმაში, რომ ასწონოს ერმა, რაც შეუძენია და რაც შეადგენს მისს წარმატების სახსარს, და დაიცვას; რაც არის სავნო და უვარგისი, ის მოჰკვეთოს და აღმოფხვრას“.

გავიხსენოთ, აგრეთვე, ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერლის **სტეფანე ჭრელაშვილის** გამონათქვამი: **„აღზრდაც არის და აღზრდაც. რომელ გემოვნებაზედ სწადიათ პატრიოტების აღზრდა? რუსეთში აქსაკოვებიც, ხომიაკოვებიც, კირეევსკებიც, კატკოვებიც პატრიოტათა სთვლიან თავსა და იძახიან პატრიოტული გრძნობის გაღვიძებასა და აღზრდაზე. დობროლიუბოვიც, პისარევიც, ჩერნიშევსკიც, ბელინსკიც პატრიოტნი იყვნენ და ზრდიდნენ ამ გრძნობას თავის ხალხში. რომელი პატრიოტობა გინდათ, რომ აღიზარდოს ჩვენს საზოგადოებაში? რომელი პატრიოტების მომხრენი ხართ — პროგრესულისა თუ რეაქციონულისა? აი, მხოლოდ როდესაც ამ ერთ-ერთს ამოირჩევთ, აღამაღლებთ, ააყვავებთ ყოველმხრივ, მაშინ შეგიძლიათ დაბადოთ სიცოცხლე თქვენ თანამედროვეებში და ღვაწლზედაც მაშინ წარადგინოთ თქვენი პრეტენზიები“.**

ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი საქართველოში, ისევე როგორც ბელინსკი, ჩერნიშევსკი და სხვა პროგრესული მოღვაწენი რუსეთში, შეუპოვრად ებრძოდნენ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას, შოვინიზმსა და ნაციონალიზმს, მონამორჩილობას, პარაზიტიზმსა და რუტინას — ყოველგვარ მანკიერებასა და ბოროტებას, რაც „ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია“.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი სამოციანელები და რევოლუციონერი ხალხოსნები გაცილებით ახლოს იდგნენ რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან, ვიდრე ქართველ ცრუპატრიოტებთან.

მართალია, სოციალურ მოტივებს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც ვხვდებით, მაგრამ მათი პატრიოტიზმი არ შერწყმია მშრომელი ხალხის სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას. თერგდალეულთა თაობამ გადალახა თავის წინამორბედთა — რომანტიკოსთა — მსოფლმხედველობის ერთგვარი ცალმხრივობა, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა მჭიდროდ დაუკავშირა მშრომელი ხალხის სოციალური ჩაგვრიდან განთავისუფლების იდეას და საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტა მოგვცა. ამის შედეგად პატრიოტულმა მოტივმა, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ადრეც ძლიერად ჟღერდა, სამოციან წლებში ახლებური ხასიათი მიიღო. რომანტიკული ოცნება და ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის დაემყარა რეალურ და მყარ საფუძველს — ხალხს. სამოციანელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ სწორედ მშრომელი ხალხი შეადგენს ისტორიის მამოძრავებელ და ჭეშმარიტად პატრიოტულ ძალას.

ამგვარად, **სამოციან წლებში ახალი ეტაპი დაიწყო როგორც ეროვნული და სოციალური მოძრაობის ისტორიაში, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და თვით პატრიოტიზმის გაგებაში.**

დასასრული შემდეგ ნომერში

**მომზადდა ვანო შადურის**
**წიგნიდან**
**„რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2004 წელს საქართველოს ესტუმრა ამერიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი. ამ ვიზიტის შედეგად 2004 წლის სექტემბერში თბილისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ალექსეევკის დასახლებაში, საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის (ლაბორატორიის) შექმნის შესახებ. ბიოლოგიურად საშიში ობიექტის ასაგებად ასეთი უცნაური ადგილის შერჩევამ არ შეაშფოთა ქვეყნის ხელმძღვანელობა. 2006 წელს, როცა, ოფიციალური მონაცემებით, ჯერ კიდევ გრძელდებოდა ობიექტის მშენებლობა, უკვე მიმდინარეობდა კვლევები, ხოლო სენატორის მორიგი ვიზიტის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა გაასაიდუმლოა ლუგარის ცენტრის საქმიანობა.**

# საქართველოს მოსახლეობა — პენტაგონის ბიოლაბორატორიების საცდელი მასალა?

დასასრული. დასაწყისი იხ. №28-29 (404-405)

**პენტაგონი ფულს არ იშურებს რეფრენს-ლაბორატორიების გასახსნელად. მაგალითად, ყაზახეთში, ალმათის ლაბორატორიის მწყობრში ჩასადგომად შტატების სამხედრო უწყებამ „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების“ პროგრამებით 170 მილიონი დოლარი გაიღო.**



მიზანი თითქოს კეთილშობილურია: „გაცილებით იოლია ამერიკის საზღვრებს დაშორებულ ტერიტორიაზე ამ საფრთხის თავიდან აცილება“, — ამტკიცებდა ყოფილი დირექტორი კარანტინისა და ზოონოზური ინფექციების სამეცნიერო ცენტრისა, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა რეფრენს-ლაბორატორია. „ბიოლოგიური იარაღის წარმოების შესახებ გავრცელებული ხმების საწინააღმდეგოდ ვაცხადებ, რომ ეს პოზიცია ეწინააღმდეგება ყაზახეთის საერთაშორისო ვალდებულებებს“, — განაცხადა სამეცნიერო ცენტრის ახალმა დირექტორმა **ბახით ათშაბარმა.** მისი აზრით, სავსებით **ნორმალურია, რომ ეს ლაბორატორია აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ დააფინანსა, რადგან „...მასობრივი განადგურების იარაღის შემცირების სფეროს ეს უწყება განაგებს“.**

აი, რა მარტივად გასაგები ყოფილა ყველაფერი!

რეფრენს-ლაბორატორიას ალმათიში სტრატეგიულ „საინფორმაციო-ანალიტიკურ რესურსს“, „მსხვილ კვლევით ბაზას“ უწოდებენ. ეს არის სეისმომდგრადი ოთხსართულიანი შენობა, რომელსაც მრავალდონიანი დაცვა აქვს. ლაბორატორია ორიენტირებულია „ბიოლოგიური მუქარის შემცირებაზე არა მხოლოდ ყაზახეთში, არამედ მთელ რეგიონში: სწორედ ასეა განსაზღვრული ალმათის რეფრენს-ლაბორატორიის დანიშნულება ვიდეომასალაში, რომელიც ექსპლუატაციაში მის შესვლას ეძღვნება.

რეფრენს-ლაბორატორიების მშვიდობიან მისიაზე ოფიციალურ დონეზე ლაპარაკობენ **სომხეთშიც**: აქ 2017 წელს ამოქმედდება ბიოქსელი, თავისი ცენტრებით ერევანში, გიუმრიში, იჯევანსა და ლორის, გაგარკუნის, სიუნიქსის ოლქებში. გულუხვი საჩუქრები, რომელთა ღირებულებამ გადააჭარბა 18 მილიონ დოლარს, სომხებმა უკვე მიიღეს პენტაგონიდან.

ამ ქვეყნის მოხელეები და მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ რეფრენს-ლაბორატორიების გამო ატეხილი ხმაური უსაფუძვლოა და რომ არავითარ ბიოლოგიურ იარაღზე ლაპარაკიც არ შეიძლება. **აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიზანი კეთილშობილურია: „ბიოლოგიური საფრთხის შემცირება“, მონიტორინგი, სამეცნიერო კვლევების განხორციელება. პასტორალური სურათია: ამერიკელ სამხედროებს, რომლებიც მტრედების სახით არიან მოვლინებული, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ნისკარტით მიაქვთ მშვიდობიანი ბიოლაბორატორიები იმ მიზნით, რათა რომელიმე შემთხვევითმა მგზავრმა სომხეთიდან ან ყაზახეთიდან არ დააავადოს ამერიკელები ცნობილი ან „უცნობი“ პათოგენებით.** ადგილობრივი ფრინველებიც შეიძლება სტუმრად ეწვიონ ამერიკელ ფერმერებს და იქ ეპიდემია გაავრცელონ, მაგრამ, ამასთანავე, არავინ იცის და არც შეიძლება იცოდეს აშშ-ის სამხედრო უწყების ჭეშმარიტი მიზნები, ხოლო **უკრაინისა და საქართველოს მაგალითები საერთოდ უარყოფს მოსაზრებას პენტაგონის მაღალი და კეთილშობილური მისიის შესახებ.**

2002 წელს საქართველომ, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, ხელი მოაწერა შეთანხმებას ერთობ ბუნდოვანი სახელწოდებით „თანამშრომლობის შესახებ ტექნოლოგიებისა და პათოგენების სფეროში, რომლებიც დაკავშირებულია ბიოლოგიურ იარაღთან და ამ სფეროში ინფორმაციის გაუვრცელებლობასთან“. 2003 წელს საქართველოს პარლამენტმა ამ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. **2004 წელს საქართველოს ესტუმრა ამერიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი. ამ ვიზიტის შედეგად 2004 წლის სექტემბერში თბილისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ალექსეევკის დასახლებაში, საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის (ლაბორატორიის) შექმნის შესახებ. ბიოლოგიურად საშიში ობიექტის ასაგებად ასეთი უცნაური ადგილის შერჩევამ არ შეაშფოთა ქვეყნის ხელმძღვანელობა. 2006 წელს, როცა, ოფიციალური მონაცემებით, ჯერ კიდევ გრძელდებოდა ობიექტის მშენებლობა, უკვე მიმდინარეობდა კვლევები, ხოლო სენატორის მორიგი ვიზიტის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა გაასაიდუმლოა ლუგარის ცენტრის საქმიანობა.**

აი ასე, ნაწილ-ნაწილ შეიძლება აღვადგინოთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პენტაგონის საქმიანობა ბიოლოგიური ლაბორატორიების ქსელის შექმნის მიმართულებით: 1990-იან წლებში აფორმებდნენ განიარაღების საერთო შეთანხმებებს, 2000-იან წლებში — კონკრეტულ შეთანხმებებს „თანამშრომლობის“ თაობაზე, მათ კვალზე კი აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო იწყებდა ბიოლაბორატორიებისა და ბიოსადგურების მშენებლობასა და მოდერნიზაციას. იქ, სადაც ხელისუფლება პროამერიკულით შეიცვალა, კვლევები და მონიტორინგი ბიოქსელის შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა.

**პენტაგონმა ზუსტად იცის, რისთვის სჭირდება აშშ-ს ბიოლოგიური ლაბორატორიების ქსელი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რუსეთის გარშემო. მხოლოდ ამ ყოფილ რესპუბლიკებში სჯერათ ამერიკელი სამხედროების კეთილშობილების, რომლებიც «ბიოლოგიური» საშიშროების შესამცირებლად იღვწიან**




**ბიოლაბორატორიების პოტენციურ საფრთხეზე ლაპარაკი მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკრაინასა და საქართველოში ეპიდემიებმა იფეთქა. ამიტომ გასაგები უნდა იყოს მათი პოზიცია, ვინც ამბობს, რომ სომხეთსა და ყაზახეთში არ ღირს რეფრენს-ლაბორატორიების საშიშროების საკითხზე ყურადღების გამახვილება, ანუ იმ ბიოლაბორატორიებზე ლაპარაკი, რომლებიც აიგო და აღიჭურვა პენტაგონის ფულით: ამერიკელები მზად არიან, დასახული მიზნებისკენ წლების განმავლობაში იარონ; ხოლო ქსელი, რომელსაც ისინი ამჟამად ქმნიან, თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას გამოავლენს არა დღეს, არამედ — როცა ამის დრო დადგება.**

ასე მოხდა ალექსეევკის ბიოლაბორატორიის შემთხვევაში, რომელიც მწყობრში ჩადგა 2011 წელს. შექმნის ეტაპზე და 2013 წლამდე ეს ობიექტი არ ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობის კონტროლს და მუშაობდა აშშ-ის არმიის უოლტერ რიდის ინსტიტუტის ამოცანების შესასრულებლად. სამხედრო ლიტერატურაში იგი აღნიშნული იყო, როგორც „უცხოეთში მომუშავე კვლევითი ქვედანაყოფი“, ე.ი. ეს ბიოლაბორატორია ორმაგი დანიშნულებისა რომ იყო, ამაში ეჭვის შეტანა უაზრობა იქნებოდა.

რა დაჯდა ამ ობიექტის აგება?

**ქართველი მოხელეები თავდაპირველად ასახელებდნენ 15 მილიონ დოლარს. გარკვეული დროის შემდეგ 95 მილიონ დოლარამდე გაზარდეს დანახარჯი. სენატორი ლუგარი მხოლოდ 30 მილიონ დოლარზე ლაპარაკობდა. მოგვიანებით პრესაში დაიწერა 250-300 მილიონი დოლარი, რომელიც დაიხარჯა მხოლოდ ლუგარის ცენტრის თუ „ბიოლოგიური მუქარის შემცირების“ ქართული ქსელის შექმნაზე, რომელშიც შედის თბილისის, ქუთაისის, ქობულეთის ობიექტები და მათი ბიოსადგურების ქსელი.**

იმის გამო, რომ ალექსეევკის ობიექტი გასაიდუმლოებული იყო და წლების განმავლობაში სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარებოდა, შეუძლებელია მასზე დახარჯული თანხის და იქ მიმდინარე კვლევების ხასიათის ზუსტად დადგენა. **2013 წელს, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ლუგარის ცენტრი ფორმალურად დაიხურა, ხოლო ქსელის აღჭურვილობა (22 ლაბორატორიისა) გადაეცა საქართველოს ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროს, მაგრამ 2015 წლამდე პენტაგონი დე ფაქტო იყო ქართული ბიოქსელის პატრონი, გამოკვლევებისა და მონიტორინგის სპონსორად კი დღემდე რჩება. საქართველო მხოლოდ 2018 წლისთვის გეგმავს ბიუჯეტიდან ამ ქსელის დაფინანსებას. გამორიცხულია, რომ აშშ-ის სამხედრო უწყებამ ხელი აიღოს ამერიკის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ქსელის კონტროლზე.**

პირველი, ვინაც გაასაჯაროვა ლუგარის პროექტის საშიშროების შესახებ ინფორმაცია, იყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, **მიხეილ სააკაშვილის**, ყოფილი მრჩეველი, ამერიკელი ჟურნალისტი **ჯეფრი სილვერმანი.** „თბილისის სანახებში მდებარე ლუგარის ლაბორატორიაში აწარმოებენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და მათ ადგილობრივ მოსახლეობაზე გამოცდიან. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ცხოველებსა და ადამიანებზე საშიშ ექსპერიმენტებს ატარებენ“, — განუცხადა მან პრესას და დაადასტურა, რომ პენტაგონის მიერ შექმნილი ბიოლაბორატორიები 1972 წლის კონვენციისთვის გვერდის ასაქცევად არის განხორციელებული.

ჯეფრი სილვერმანის მონაცემებით, 2013 წელს ალექსეევკის ლაბორატორიის პერსონალი დაავადდა. მაშინ მათ ფარულად მკურნალობდნენ, ინციდენტის შესახებ ინფორმაციას მედიაში რომ არ გაეჟონა. მსგავს შემთხვევაზე ლაპარაკობენ ალექსეევკაში მცხოვრები მოქალაქეებიც: 2012 წელს დაავადდნენ ფილიპინელებიც (ოთხი ადამიანი), რომლებიც ლაბორატორიაში მუშაობდნენ. მათგან ორი გარდაიცვალა.

**ვარაუდობენ, რომ ღორების აფრიკული ჭირი საქართველოდან გავრცელდა რუსეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთში კი „მოულოდნელად“ აღმოაჩინეს კოღოები, რომელთა ნაკბენი სასიკვდილო იყო. „ახლახან აფხაზეთში აღმოაჩინეს „ზიკას“ ვირუსის გადამტანი კოღოები. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ისინი ამ შემთხვევამდე არავის უნახავს.**

**„ეს მწერი სამხრეთ ამერიკის მკვიდრი კოღოა. ვირუსი კი ლაბორატორიაში არის შექმნილი. შეიძლება ზუსტად განისაზღვროს, რომელ ლაბორატორიაში იყო კონსტრუირებული — ამერიკულ ლაბორატორიაში“,** — ამბობს **იგორ ნიკულინი.**

ამ დროს კი ყაზახეთში აწყობენ სწავლებას ვირუს „ებოლას“ ლოკალიზაციის მიზნით: ვაითუ ამერიკაში ჩავიდა ამგვარი ვირუსით დაავადებული ტურისტი? ამერიკული ლაბორატორიები მზად არიან, გამოიკვლიონ, რამდენად მდგრადია ყაზახეთის მოსახლეობა ამ დაავადებისადმი, როგორ მოქმედებს პათოგენი ყაზახებზე. ეს მონაცემები საშუალებას მისცემთ, უკვე სხვა ქვეყნების ლაბორატორიებში მიიღონ ახალი თვისებების მქონე პათოგენი და შემდეგ უკვე სხვა ვირუსით ინფიცირებული ტურისტი ჩამოვა თვითმფრინავის ტრაპიდან ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში, ან კიევში, ან ერევანში.

**პენტაგონმა ზუსტად იცის, რისთვის სჭირდება აშშ-ს ბიოლოგიური ლაბორატორიების ქსელი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რუსეთის გარშემო. მხოლოდ ამ ყოფილ რესპუბლიკებში სჯერათ ამერიკელი სამხედროების კეთილშობილების, რომლებიც „ბიოლოგიური“ საშიშროების შესამცირებლად იღვწიან.**

ამ პუბლიკაციაში მოყვანილი მაგალითები საწინააღმდეგოს მეტყველებს.

**მომზადებულია fondsk.ru-ს მიხედვით**

**გასაოცარია შვრიის სამკურნალო თვისებები, რომელზეც ჰიპოკრატეც მიუთითებდა. შვრიას აქვს აღდგენითი ეფექტი, გამოიყენება ტუბერკულოზის სამკურნალოდ, ფილტვის დაავადებებისას, ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის გასაძლიერებლად. გამოიყენება, აგრეთვე, ღვიძლის სამკურნალოდ, ალერგიული დაავადებებისას, აღადგენს გულის რიტმს, აწესრიგებს ნერვულ სისტემას.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# შვრიის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

**შვრია (ლათ. Avena) — ბალახოვანი მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახისა. შვრიის ფესვთა სისტემა ფუნჯაა, ფოთოლი — ხაზური, ყვავილი — საგველა, ნაყოფი — მარცვალა. პოლიმორფული გვარია, აერთიანებს 70-მდე სახეობას, რომელთა შორის არის ერთწლოვანი, მრავალწლოვანი, კულტურული და ველური მცენარეები.**

## გავრცელება

შვრია ეკუთვნის ძველი კულტურების რიცხვს, მაგრამ მისი მოყვანა ხორბალთან, ქერსა და ფეტვთან შედარებით გვიან დაიწყეს. შვრია ევროპული ქვეყნებისთვის უფრო ადრე იყო ცნობილი, რადგან ჩრდილოეთის ქვეყნები ტენით უფრო მდიდარია. გავრცელებულია, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში. დიდ ფართობებზე ითესება გერმანიაში, ნორვეგიაში, შოტლანდიაში, აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვ.

პურეულის მსოფლიო წარმოებაში შვრიის სათესი ფართობი მეექვსე-მეხუთე ადგილზეა. საქართველოში შვრიის ფართობი უმნიშვნელოა და იგი, ძირითადად, ჯავახეთის ზეგანზე, ქართლისა და კახეთის რაიონებში მოჰყავთ. შვრიის საშუალო მოსავლიანობა 1.5-2,0 ტონამდეა ჰექტარზე, მაგრამ მოვლა-მოყვანის ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისას შესაძლებელია 4-5 ტონამდე მარცვლის მიღება ჰექტარზე.

## შვრიის გამოყენება

ბოლო ათ წელიწადში შვრიის კულტურისადმი ინტერესი გაიზარდა, მისი, როგორც სასურსათე, საწარმოო და სამკურნალო თვისებების მქონე მცენარისა, რომლის საკვებ ღირებულებასაც მის მარცვალში შემავალი **ცილები** (9,0-19,5%), **სახამებელი** (40-56%) და **ცხიმები** (4-6%) განსაზღვრავს.

ეს მცენარე ასევე შეიცავს ამინომჟავებს, მათ შორის **გლუტამინის მჟავას**, მდიდარია **E, PP, B1, B2, B3, B6** და სხვა ვიტამინებით. მარცვალი შეიცავს უჯრედისს, თუთიას, მანგანუმს, რკინასა და ალკალოიდებს. მარცვალი გამოიყენება ბურღულეულის, ხოლო ხორბალთან ნარევში საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად. შვრიის ქიმიური შენაერთები უმაღლესი ხარისხისაა და იგი ძვირფასი პროდუქტია, რომლის მონელებაც ადვილია.

შვრიიდან დამზადებული პროდუქტები მნიშვნელოვანია დიეტურ და ბავშვთა კვებაში. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა შვრიის ფქვილზე, ბურღულსა და ყავაზე, ყველა ეს პროდუქტი ხასიათდება ანტიალერგიულობით.

**გასაოცარია შვრიის სამკურნალო თვისებები, რომელზეც ჰიპოკრატეც მიუთითებდა. შვრიას აქვს აღდგენითი ეფექტი, გამოიყენება ტუბერკულოზის სამკურნალოდ, ფილტვის დაავადებებისას, ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის გასაძლიერებლად. გამოიყენება, აგრეთვე, ღვიძლის სამკურნალოდ, ალერგიული დაავადებებისას, აღადგენს გულის რიტმს, აწესრიგებს ნერვულ სისტემას.**

შვრიის წყალხსნარი გამოიყენება შარდმდენად და თირკმელების დაავადებების სამკურნალოდ. მწვანე შვრია გამოიყენება ორგანიზმის გასაწმენდად, დაღლილობის, უძილობის, არასაკმარისი მადის დროს. შვრიას აქვს სკლეროზის საწინააღმდეგო ეფექტი.

**შვრია კარგი საკვებია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისთვის. შვრიის ჩალა და ბზე კვებითი ღირებულებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა კულტურების იგივე ანარჩენები. პარკოსან ბალახებთან ნარევი შვრია კარგია მწვანე საკვებად და თივად.**

შვრიას ხშირად თესავენ ცერცველასთან ნარევში. ცერცველა-შვრიის ნარევი საუკეთესოა დაკავებულ ანეულზე დასათესად. იგი იძლევა დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვან მწვანე საკვებს ან თივას და ადრე ათავისუფლებს მინდორს საშემოდგომო კულტურებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად.



## შვრიის ბიოლოგიური თავისებურებები და გარემო პირობები

შვრია თვითგამანაყოფიერებელი მცენარეა, მაგრამ მის ნიშან-თვისებებს ფართო ცვალებადობა ახასიათებს. შვრიის თესლი, კილებით არის დაფარული, ამის გამო მის გაღივებას შედარებით მეტი დრო და წყალი სჭირდება.

შვრია სითბოსადმი არ არის მომთხოვნი, იგი ზომიერი ჰავის მცენარეა. აღმოცენებიდან ყვავილედის გამოტანამდე შედარებით გრილი ამინდით კმაყოფილდება.

გაზაფხულის სუსხს კარგად იტანს. მისი ფუნჯა ფესვთა სისტემა 120 სანტიმეტრ სიღრმეზე ჩადის ნიადაგში და აღმონაცენი ადვილად იტანს 7-8 გრადუს ყინვას. ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურა აღმოცენების შემდგომ პირველ ოთხ კვირაში 10-120C-ია. ტენით საკმარის პირობებში კარგად ვითარდება და ნაკლებად ზიანდება მავნებლებით. მაღალი ტემპერატურის მიმართ უფრო მეტად მგრძნობიარეა, ვიდრე ხორბალი და ქერი.

შვრია ნიადაგისადმი უფრო ნაკლებმომთხოვნია, ვიდრე სხვა საგაზაფხულო პურეული, რაც გამოწვეულია კარგი ფესვთა სისტემით და მაღალი შეთვისების უნარით. იზრდება ქვიშნარ, თიხნარ და ტორფიან ნიადაგებზე. შვრია დადებითად რეაგირებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ერთი ტონა მარცვლის საწარმოებლად შვრია, საშუალოდ, მოიხმარს 30 კილოგრამ აზოტს, 13 კილოგრამ ფოსფორს და 26 კილოგრამ კალიუმს. მათ შორის ყველაზე ეფექტიანია აზოტი. საკვები ნივთიერებების მიმართ მოთხოვნა შვრიას ყველაზე მაღალი აქვს აღერებიდან მარცვლის სიმწიფემდე.

კარგი მოსავალი მიიღება შავ მიწებზე საკმარისი ტენიანობისას. სხვა კულტურებზე უკეთესად ცხოველმყოფელობს მჟავე ნიადაგებზე. მშრალ ქვიშიან ნიადაგებზე წყლის ნაკლებობა იწვევს წვრილთესლიანობას, ცუდ ამოვსებულობას, გადიდებულ კილიანობასა და ფხიანობას. შვრიის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მაღალი მოსავლის მისაღებად მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია სპეციფიკურია.

შვრია რეალურად ყოველთვის ავადდება სოკოვანი დაავადებით (ჟანგა, გუდაფშუტა), ამიტომ თესლის შეწამვლა აუცილებელია.

მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მაღალხარისხიანი თესლის თესვა. სათესლედ მხოლოდ მსხვილი მარცვლები უნდა გამოვიყენოთ.



შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას იძლევა, ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევა, როდესაც შემოდგომის ნათესი, კლიმატური პირობების გამო, სამეურნეო მნიშვნელობას კარგავს, ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა.

ამ თავისებურების გათვალისწინებით საშემოდგომო თესვა ემთხვევა საშემოდგომო ხორბლის თესვის პერიოდს; საგაზაფხულო თესვა, შესაძლებელია, ჩატარდეს ადრე გაზაფხულზე, დაზიანებული საშემოდგომო ნათესების გადასათესად ან საგაზაფხულო თავთავიანების თესვის პერიოდში.

## შვრიის სახეობები

შვრია გამოირჩევა სახეობათა მრავალფეროვნებით, რომელთა შორის არის მრავალწლოვანი და ერთწლოვანი, კულტურული და ველური ფორმების 70-მდე სახეობა. პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 11 სახეობას, რომელთაგან საქართველოში გავრცელებულია ორი სახეობა: კულტურული შვრია (Avena sativa L.), ხასიათდება გვალვაგამძლეობით და მლაშე ნიადაგებისადმი შემგუებლობით, და ველური შვრია — შვრიუკა (Avena Fatua L.), ასარევლიანებს პურეულის ნათესებსა და მინდვრის კულტურებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ოთარ ლიპარტელიანი,**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ცოტნე სამადაშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
**ნანა ჩხუტიაშვილი,**
**ზეინაბ სალარიძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები



**შვრია კარგი საკვებია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისთვის. შვრიის ჩალა და ბზე კვებითი ღირებულებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა კულტურების იგივე ანარჩენები. პარკოსან ბალახებთან ნარევი შვრია კარგია მწვანე საკვებად და თივად. შვრიას ხშირად თესავენ ცერცველასთან ნარევში. ცერცველა-შვრიის ნარევი საუკეთესოა დაკავებულ ანეულზე დასათესად. იგი იძლევა დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვან მწვანე საკვებს ან თივას და ადრე ათავისუფლებს მინდორს საშემოდგომო კულტურებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად**

# «საქართველომ ნატოში შესვლის სურვილი უნდა დაივიწყოს»





**ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსმა, პოლიტოლოგმა, პროფესორმა ჯონ მირშაიმერმა „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტთან საუბრისას განაცხადა, რომ რუსეთმა სამხედრო ძალა საქართველოში, უკრაინასა და სირიაში მხოლოდ საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დასაცავად გამოიყენა.**

„საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტებში რუსეთი იმის გამოა ჩართული, რომ, როგორც მოსაზღვრე ქვეყანას, რუსეთს, ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესები აქვს და ეს სავსებით გასაგებია. რუსეთმა ჩათვალა, რომ ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით და ნაბიჯები, რომლებიც საქართველომ 2008 წელს, ხოლო უკრაინამ 2014 წელს გადადგა, ამ ინტერესებს საფრთხეს უქმნიდა. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა რუსეთმა ამ ქვეყნებში სამხედრო ინტერვენცია“, — აღნიშნა პროფესორმა.

მისივე განმარტებით, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების უფლებაზე საუბარი საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებზე რეალურად ძალიან საშიში და სულელური წარმოდგენაა.

„საქართველო და უკრაინა ესაზღვრება ისეთ ძლიერ ქვეყანას, როგორიც არის რუსეთი, და რუსეთის სტრატეგიული ინტერესები მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, სხვანაირად იმ შედეგს მიიღებენ, რომელიც უკვე მიიღეს... თუ ფიქრობ, რომ ნატოში შესვლის უფლება გაქვს, იმის მიუხედავად, რას ფიქრობს რუსეთი, დიდ პრობლემებს შეიქმნი... საქართველომ ნატოში შესვლის სურვილი უნდა დაივიწყოს, რუსეთთან რაც შეიძლება ახლო ურთიერთობა დაამყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ევროპასთან ინტეგრაცია, ისიც მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით“, — განაცხადა ჯონ მირშაიმერმა.



# «სააკაშვილს 11 წლით პატიმრობა ემუქრება»

**„საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, სისხლის სამართლის ოთხი საქმის მიხედვით, 11 წლით პატიმრობა ემუქრება“, — განაცხადა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ნათია სონღულაშვილმა უკრაინულ გამოცემა „ობოზრევატელთან“ ინტერვიუში.**

**„საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის 4 საქმეს აწარმოებს, რომლებზეც გამოძიება დასრულდა და სამართლებრივი განხილვა მიმდინარეობს.**

**ყველა საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს“,** — განაცხადა სონღულაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა 26 ივლისს ჩამოართვეს. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა უკრაინის მოქალაქეობა 2015 წლის 29 მაისს მიიღო, რის გამოც საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს.

# კიევში სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავეს



**უკრაინის დედაქალაქში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე კოხტა კოდუა დააკავეს, რომელსაც გვიდი კვაჭახიას სახელზე გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა.**

კოხტა კოდუას დაკავების შესახებ ინფორმაცია Front News International-ს უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ყოფილ მოადგილეს, კოხტა კოდუას, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წელს დაუსწრებლად მიუსაჯა თავისუფლების 9 წლით აღკვეთა.

2013 წლის 15 ივნისს დაწყებული გამოძიების ფარგლებში ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს მიწაში დამარხული რვა კასრი, რომლებშიც აღმოჩნდა დიდი ოდენობით სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ნარკოტიკული საშუალებები და ვიდეოფირები წამებისა და სექსუალური ძალადობის ამსახველი ჩანაწერებით.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ჩანაწერებზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წელს ორ პიროვნებას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება — ისინი მიიყვანეს ზუგდიდის რაიონის ტყეში სპეციალურად მოწყობილ კონსპირაციულ მიწურში, სადაც შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **მეგის ქარდავამ**, ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა **კოხტა კოდუამ, დავით ჩაგინავამ**, თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ **კობა თოდუამ** და **თეიმურაზ უბირიამ** გამოგონილი ტერორისტული აქტის მომზადებაზე აღიარების მისაღებად სასტიკად სცემეს, გააშიშვლეს, დააბეს მაგიდაზე და აწამეს. ამის შემდეგ აღნიშნული პირების ბოლომდე გატეხვის მიზნით მათზე განხორციელდა გაუკუღმართებული სექსუალური აქტი. ამ სასტიკ ძალადობრივ ქმედებებს ვიდეოკამერით იღებდა კოხტა კოდუა.

მისივე ცნობით, აღნიშნულ საქმეზე ბრალდების მხარის მრავალთვიანი მუშაობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი თერთმეტი პირი, მათ შორის, კოხტა კოდუა, რომელსაც სასჯელის ზომად 9 წლით პატიმრობა განესაზღვრა.



# ანაკლიაში ირანელი ნარკორეალიზატორი დააკავეს

**შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, 1981 წელს დაბადებული ს.რ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.**

დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ლიზერგიდის“ შემცველი 6 ფირფიტა, 3 აბი „მეტადონი“, 18 შეკვრად დაფასოებული მარიხუანა და 3 შეკვრად დაფასოებული გამომშრალი მარიხუანა ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

შეგახსენებთ: დაუზუსტებელი სუბსტანციის ნივთიერების ტოქსიკური ეფექტის დიაგნოზით, ბოლო დღეების განმავლობაში განმუხურში მიმდინარე „ჯემფესტიდან“ ზუგდიდის საავადმყოფოში რამდენიმე ადამიანი გადაიყვანეს, მათგან ერთ-ერთის, 22 წლის გოგონას, გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# იტალიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დაჯარიმება მოითხოვა, რომლებსაც მიგრანტები ევროპაში გადაჰყავთ

**მას შემდეგ, რაც იტალიის ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაცია Jugend Rettet-ს ჩამოართვა გემი, რომლითაც მას არალეგალი მიგრანტები აფრიკიდან იტალიაში გადაჰყავდა, იტალიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა მატეო რენციმ მოითხოვა დაჯარიმება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც მიგრანტების არალეგალურად გადაყვანით არიან დაკავებული.**



იტალიის ყოფილმა პრემიერმა მხარდაჭერა გამოხატა იტალიის მოქმედი ხელისუფლების მიმართ, რომელმაც არალეგალი მიგრანტების გადამყვანი არასამთავრობოების მიმართ მოქმედება გაამკაცრა. „ისინი, ვინც პატივს არ სცემენ წესებს, უნდა დაისაჯონ“, — განაცხადა რენციმ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გამწვავებული საიმიგრაციო კრიზისის ფონზე, როცა ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრანტების არალეგალურად გადაყვანაში დაადანაშაულეს, იტალიის ხელისუფლებამ შეიმუშავა არასამთავრობო ორგანიზაციების ქცევის კოდექსი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე მათ საქმიანობას გამჭვირვალობას შესძენს და ხელისუფლებას მათი საქმიანობის კონტროლის მეტ საშუალებას მისცემს. რამდენიმე არასამთავრობომ კოდექსზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894